პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ა, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76 } მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია ძამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 6 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 153 (2499)

ყრილობის დღიური

— გუშინ, დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გარშემო და საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კახიანი.

— ამხ. კახიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ, ცეკას ანგარიშის გამო, ერთხმად მიიღო ასეთი დადგენილება: „საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი ცნობილ იქნას სწორად, ჩატარებული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად".

რეზოლუციის შესამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია 29 კაცის შემადგენლობით.

— საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. სტურუას მოხსენება ცენტრ. საკონტროლო კომისიის საქმიანობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა

სოციალისტური მშენებლობა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ამოცანები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება

ამხანაგებო! ჩემი საანგარიშო მოხსენება შეეხება ცენტრალური კომიტეტის ერთ-ნახევარ წელზე მეტი ხნის მუშაობას, მეხუთე ყრილობიდან მეექვსემდე. ამ დროის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ცეკას ექვსი პლენუმი, რომელიც იხილავდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და მათ შესახებ სათანადო გადაწყვეტილებები გამოჰქონდა.

ამავე პერიოდის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა მეტად მნიშვნელოვან მოვლენას. ჩვენი ორგანიზაცია გამოიკვლია უმაღლესმა ხელმძღვანელმა ორგანომ—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ გამოკვლევის შედეგად, როგორც თქვენ იცით ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია შემდეგი: „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი დამაკმაყოფილებლად სცნობს საქართველოს კომპარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობას".

აი როგორ შეაფასა საქართველოს კომპარტიის მუშაობა ჩვენი პარტიის უზენაესმა ხელმძღვანელმა ორგანომ.

ამასთან ერთად ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში. ჩვენი ყრილობის მუშაობის დროს ჩვენ ხაზს გაუსვამთ ყველა იმ ნაკლოვანებებს, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს კომპარტიის მუშაობაში და დავრაზმავთ ჩვენ ძალებს იმისათვის, რომ ეს დეფექტები გამოვასწოროთ, გადავლახოთ დაბრკოლებანი და მუშაობა წინ წავსწიოთ.

ინდუსტრიალიზაციის გზით

ჩვენ საანგარიშო მოხსენებას დავიწყებ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხიდან: საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რეკონსტრუქტიული პერიოდი ნიშნავს სერიოზულ გარდატეხას საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაში. მაშასადამე, ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის გარდატეხის ახალ პერიოდში, მთელი სახალხო მეურნეობის, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, სოციალიზმის ტექნიკური ბაზის გაძლიერების ნიადაგზე.

„სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია წარმოადგენს სოციალიზმის შეტევას სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელი ფრონტის გასწვრივ. ეს მუშათა კლასის ფრიად სერიოზული ნაბიჯია სოციალიზმისაკენ". (სტალინი)

გავხდეთ სამრეწველო - აგრარულ ქვეყნად

ამხანაგებო, ამრიგად საბჭოთა კავშირი და, კერძოდ, საქართველოც შევიდა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ეპოქაში, მისი ტექნიკური ბაზის გაძლიერების ნიადაგზე. თუ ავიღებთ მრეწველობის განვითარებას, დავინახავთ, თუ რა მიღწევები გვაქვს. 1928—29 წელი წარმოადგენს პირველ წელს იმ ხუთწლიანი გეგმისას, რომელსაც სამართლიანად დიდ სოციალისტურ სამუშაოთა გეგმა უწოდეს. თუ ავიღებთ ციფრებს, დავინახავთ, რომ ხუთწლიან გეგმას შედეგათ მოჰყვება ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა აგრარულ - სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად.

1927—28 წელში სოფლის მეურნეობა შეადგენდა 69,3 პროც., ხოლო მრეწველობა — 31,7 პროც..

1928—29 წლ. სოფლის მეურნეობა შეადგენს უკვე 63,3 პროც., მრეწველობა კი—36,7 პროც.. 1932—33 წლ. ე. ი. ხუთწლედის დასასრულს შეფარდება ასეთი იქნება: სოფლის მეურნეობა 53,1 პროც., მრეწველობა კი — 46,9 პროც.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, თუ როგორ ვითარდება ჩვენი ქვეყანა, როგორ იზრდება მრეწველობის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში. 5 წლედის დასასრულს, 1927—28 წელთან შედარებით, მრეწველობა თითქმის ერთი სამად გაიზრდება, ხოლო სოფლის მეურნეობა 1 ნახ.-ჯერ.

ცენზიანი მრეწველობის განსაზოგადოებული სექტორის საერთო პროდუქცია 1927—28 წელს შეადგენდა 95,6 პროც., კერძო და საკონცესიო სექტორი კი—4,4 პროც.. ხუთწლედის დასასრულს ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926—27 წელთან შედარებით გაიზრდება ერთ და იმავე ფასებში 40,3 პროც..

საერთოდ მრეწველობის ზრდა წინა წელთან შედარებით 1926—27 წლის განმავლობაში გამოიხატება 17 პროც. 1927—28 წლის განმავლობაში 20,3 პროც. 1928—29 წლის პირველ ნახევარში 30 პროც.. თუ კი ავიღებთ მიმდინარე წლის 8 თვეს, მაშინ ჩვენ გვექნება გადიდება 37 პროც. 1929-30 წელს მარგანეცის და აბრეშუმის მრეწველობის დარგში, საკონტროლო ციფრების მიხედვით, ჩვენ გვექნება პროდუქციის გადიდება 59,1 პროცენტით. ეს გარემოება, ამხანაგებო, აიხსნება იმით, რომ ამჟამად საქართველოში ჩვენ გვაქვს მრავალი ახალი მშენებლობა, რომელთაგან ბევრი უკვე მუშაობას იწყებს და ეს მოგვცემს მრეწველობის პროდუქციის გადიდებას.

თუ ავიღებთ კაპიტალურ დაბანდებათა ჯამს, ჩვენ დავინახავთ შემდეგ ზრდას: 1927-28 წელს დაბანდებული იყო 8.263 ათასი მანეთი. 1928—29 წელს 12.800 ათასი მანეთი. 1929—30 წელს საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად) დაბანდებული იქნება 29,368 ათასი მანეთი.

1923—24 წლიდან 1927—28 წლამდე მრეწველობაში სულ დაბანდებული იყო 23,847 ათასი მანეთი, ხოლო ახალი 5 წლედის განმავლობაში კი დაბანდებული უნდა იქნეს—93.839 ათასი მანეთი.

სამრეწველო მშენებლობის ნაკლოვანებანი

გადავალ მშენებლობის ობიექტების განხილვაზე. განზრახული გვაქვს ავაშენოთ ფერო-მარგანეცის ქარხანა, ქაღალდის ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, ლითონის ქარხანა, ცემენტის ქარხანა და სამშენებლო მასალათა ქარხანა აფხაზეთსა და აჭარისტანში.

რაც შეეხება ჩვენს ნაგებობათა ნაკლოვანებებს, უნდა ითქვას, რომ ძირითად ნაკლს წარმოადგენს მშენებლობის ვადების გაჭიანურება. თუ ავიღებთ ტფილისის მაუდის ქარხანას, ის დამთავრებულ იქნება მხოლოდ მიმდინარე წლის ოქტომბერში, მაშინ, როდესაც ჩვენ უკვე დიდი ხანია, რაც მისი შენების დამთავრებაზე ვლაპარაკობთ.

გარდა ამისა აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ნაკლოვანებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მრეწველობის მშენებლობაში, ეხლა ცოტათ თუ ბევრად უკვე გამოსწორებულია. თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენ ყოველწლიურად გვიხდებოდა ლაპარაკი მარელისის ფაბრიკის შესახებ, რომელიც ისეთ სკამებს ამზადებდა და უშვებდა, რომელზედაც ჯდომა ფრიად ძნელი იყო მათი იშვიათი სიძვირის გამო. თითოეული სკამი ჯდებოდა 8-9 მან., ხოლო ბაზარზე მისი ფასი 6 მანეთი იყო. ამჟამად ამ ფაბრიკის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ეხლა თვითეული სკამი ჯდება 5 მანეთი, და თურმე მისი ღირებულება შესაძლოა დაყვანილი იქნეს 4—50 კაპ. ეხლა ყოველდღიურად ამზადებენ 500 სკამს, ხოლო შესაძლებელია 600—1000 სკამის დამზადება.

ამგვარად, ეხლა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არის მარელისის ფაბრიკაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ ჟამად საერთოდ დეფექტები არ მოგვეპოვება. ავიღოთ მაგალითად, ქუთაისის ბაზრის ქარხანა, რომელიც ამას წინად დამთავრდა; თუმცა ის აგებულია ძალიან კარგად, ყველაფერი იქ მექანიზირებულად მოწყობილი და ბეტონით ნაგები, მაგრამ მთელი ეს სიმშვენიერე ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა და საეჭვოა, რომ ეს იყოს თანხების რაციონალური მეურნეობა.

მე ვფიქრობ ჩვენ მაინც გვაქვს მთელი რიგი შეცდომებისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გეგმიანობას ჩვენ კიდევ ვერ შევითვისებთ და ვერ შევისწავლეთ ის, როგორც საჭიროა. გარდა ამისა ჩვენ არა გვყავს საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა საკმაო რაოდენობაც. თქვენ იცით, რომ ამ საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა ნაწილი მავნებლობას ეწევა განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენ მოწამე ვართ კაპიტალისტური ელემენტების რამოდენიმეთ გამოცოცხლებისა. ეს აუცილებლად დაკავშირებულია იმ მავნებლობასთან, რომელსაც სპეციალისტთა ერთი ნაწილი ეწევა.

ეს საერთო მოვლენაა და მას ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოშიაც. ის აყენებს ჩვენს წინაშე აგრეთვე მუშათა კლასის რიგებიდან, მუშებისა და გლეხებისაგან სპეცების მომზადების აუცილებელი საჭიროების საკითხს. ამას გვიკარნახებს შექმნილი მდგომარეობა, მით უმეტეს ეხლა, როდესაც ჩვენ ფართოდ შევუდექით დიდ საამშენებლო მუშაობას საქართველოში.

მშენებლობა ავტონომიურ რესპუბლიკებში

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენ მშენებლობის დიდ გაშლა-განვითარებას ვამჩნევთ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკებში. თუ ავიღებთ აჭარისტანს, იქ შენდება „აზნავთშენის" ნავთის საწმენდი ქარხნები. ერთი მათგანი უკვე დამთავრებულია. ეს მშენებლობა სულ უფრო და უფრო ვითარდება. განზრახულია აგრეთვე ზეთის სახდელი და კრეკინგ ქარხნების აგება.

გარდა ამისა, აგებულია პირველი ნავთსადენი ბაქო-ბათომი. ხუთწლიან გეგმის მიხედვით ჩვენ მალე შევუდგებით ბაქო-ბათომის მეორე ნავთსადენის გადაკეთებას. ეს დიდი საქმეა აჭარისტანის და არა მარტო აჭარისტანის, არამედ მთელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციისათვისაც. აფხაზეთში დაწყებულია ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების დამუშავება. შექმნილია „ტყვარჩელ-მშენი" და ამით უდიდესი პრობლემაა გადაჭრილი. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან ჩვენ ვიწყებთ დამუშავებას ტყვარჩელის ნახშირისას, რომელიც თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება დონეცის ქვანახშირს, თუმცა მოიპოვებოდნენ ისეთი სპეცები, რომლებიც ამტკიცებდნენ—ტყვარჩელის ნახშირი არ ვარგაო და წინადადებას იძლეოდნენ დონეცის ქვა-ნახშირი მიგვეწოდებია კერჩის ლითონის დამმუშავებელ ქარხნებისათვის, რაც არ იქნებოდა სახეირო. ამ ჟამად საკითხი გადაჭრილია: კერჩის ქარხნებისათვის გაზიდულ იქნება ტყვარჩელის ნახშირი. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი ამის შემდეგ გიგანტიური ნაბიჯით წავა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით.

რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას, აქ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: 1926—27 წელს 42 საწარმოში გამომუშავებული იქნა 6.436.239 მანეთის პროდუქცია. მუშების რიცხვი იყო 1.925.

1927—28 წელს 47 საწარმოში გამომუშავებული იქნა 9.781.000 მანეთის პროდუქცია; მუშათა რიცხვი შეადგენდა 2.112 კაცს. კაპიტალური დაბანდებანი საკრედიტო ხაზით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უდრიდა 2.259.000 მანეთს; ხოლო ხუთ-წლედის მიხედვით განზრახულია 9.035.000 მან. დაბანდება, ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილობრივი მრეწველობა მტკიცე ნიადაგზე დგება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელ მრეწველობას, თქვენ იცით, რომ ცეკამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ც.კ. აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებაში (იმ მრეწველობის, რომელიც ს.მ.უ.ს. ექვემდებარება) არის მთელი რიგი მიღწევები, რაიც გამოიხატება წარმოების გაფართოებაში განსაკუთრებით საფეიქრო, ტყავის, თამბაქოს და აბრეშუმის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დაპყრობის გადიდებაში და თვითღირებულების ნაწილობრივ შემცირებაში".

ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და გამოვარკვიეთ, რომ ამ მრეწველობის განვითარებაში გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები.

„საწარმოო პროგრამის შესრულება ოპტიმალური ვარიანტით 1928—29 წ. პირველ ნახევრისათვის: თამბაქოს ტრესტი 48,9 პროც.; ტყავტრესტი—ტყავის წარმოება—44,7 პროც.; აბრეშუმის ტრესტი 43,1 პროც., საპონ-ზეთის—44 პროც., საწარმოო პროგრამა იმავე ვადაში შევასრულეთ გადამეტებით: ტყავტრესტი,—ფეხსაცმელების წარმოება—58,6 პროც., საფეიქრო ტრესტი—60,1 პროც., გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების სფეროში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემით (გარდა აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთისა) არის 139 სხვადასხვა წარმოება. ხე-ტყის სახერხი, აგურ-კრამიტის, კირის, რძის და ყველის საკეთებელი, რექტიფიკაციული და სხვა ქარხნები, საფრინველო, სარემონტო სახელოსნო, სამჭედლო და სხვ.".

შემდეგ, ამხანაგებო, არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენს ძირითად დარგს, რომელიც დღემდე ჩამორჩენილი იყო და მხოლოდ დღეს თანდათანობით ვითარდება და მიდის წინ. მე მოგახსენებთ **ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაზე**. თქვენ იცით, რომ იქ უკანასკნელ დრომდე ბატონობდა ჰარიმანი, და იცით, მემარჯვენე უკლონისტები ამტკიცებდნენ, რომ არა მარტო კულაკი, არამედ კონცესიონერებიც, რომლებიც ჩვენთვის რამდენიმე უცხო სხეულს წარმოადგენენ, ეზრდებიან სოციალიზმს; მაგრამ ნამდვილად ისინი არა თუ შეეზარდენ ჩვენ სოციალისტურ სისტემას, არამედ საქმეს გვიფუჭებენ და ამ მხრივ ზოგიერთ შედეგებსაც აღწევენ. მაგალითისათვის უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ქარხნები, როცა ისინი ჰარიმანისაგან გადმოგვეცა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. ამ მრეწველობის მიღების შემდეგ ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდექით მის აღდგენას.

თუ კონცესიონერების მუშაობის დროს ჭიათურის მრეწველობაში სულ 800 მუშა იყო, ეხლა, ერთი წლის შემდეგ, ჩვენ გვაქვს მუშათა რიცხვის თვალსაჩინო გადიდება ამ წარმოებაში, მათი რაოდენობა 9.000 კაცს შეადგენს. თქვენ იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ჭიათურის მაზრისათვის, სადაც აგრარული მოსახლეობა მეტად მრავალრიცხოვანია და სადაც ჩვენ მოვახერხებთ ყველა ზედმეტი მუშა ხელის საქმეში ჩაბმას.

საწარმოო პროგრამა, რომელიც ამ წლისათვის გათვალისწინებული იყო, შესრულებულია; სრული იმედი გვაქვს, რომ 5 წლიანი გეგმა სავსებით შესრულებული იქნება.

ამ 5-წლის განმავლობაში ჩვენ მარგანეცის საქმეში უნდა დავაბანდოთ 34 მილიონი მანეთი, თითქმის 46 პროც. ამ თანხისა უნდა მოხმარდეს 2 ფერო-მარგანეცის ქარხნის აშენებას. 2 ფერო-მარგანეცის ქარხნის აშენება ნიშნავს იმას, რომ საქართველო თითონ აწარმოებს მარგანეცის მადნის გადამუშავებას. პირველი ფერო-მარგანეცის ქარხანა და მისი საერთო პროდუქცია უნდა იქნეს 100.000 ფუთი ფერო-მარგანეცი.

„საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია"

რაც შეეხება ელექტროფიკაციის განვითარების საქმეს, ჩვენ აქ უეჭველი მიღწევები გვაქვს.

ლენინი ამბობდა, რომ:

„თუ ელექტროფიკაციას გავატარებთ, მაშინ 10—20 წლის შემდეგ მიწადმოქმედების ინდივიდუალიზმი და ადგილობრივ ბრუნვაში მისი თავისუფალი ვაჭრობა ოდნავადაც არ იქნება საშიშარი; თუ არ განხორციელდა ელექტროფიკაცია, მაშინ აუცილებელი იქნება კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება".

(ლენინი—„სასურსათო გადასახადის შესახებ". ლენინის თხზულებათა მე-4 კრებული).

აი რატომ არის, ამხანაგებო, რომ რეკონსტრუქციის ხანაში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ ენერგიულ ბაზის შექმნას, ე. ი. ელექტროფიკაციას. ლენინის თქმით, კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

საქართველოში ჩვენ გვაქვს უკვე ზემო-ავჭალის ელექტრო-სადგური, დაწყებულია რიონჰესის აგება და განზრახულია თოფარავანის მძლავრი სადგურის აგება.

წარსულ ყრილობაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ზაჰესი დატვირთული არ არის. ცენტრში ამბობდნენ, რათ უნდა გვიტაცებდეს ელექტრო-სადგურების მშენებლობა, როდესაც ჩვენი ერთად-ერთი სადგური ზაჰესი დატვირთული არ არისო. ეხლა ცხოვრებამ უარყო ყველა ეს მოსაზრება და ჩვენ იძულებული ვართ ვიქონიოთ არა მარტო ზაჰესის 18.000 ცხენის ძალა, არამედ, ავიყვანოთ მისი ძალოვნება 36.000 ცხენის ძალამდე, მხოლოდ შემდეგ პერიოდში—54.000-მდე.

ამას გარდა რიონჰესი აგებული უნდა იქნეს სრული სიმძლავრით, ე. ი. მას უნდა ექნეს 60.000 ცხენის ძალა. საჭიროა აგრეთვე აშენებული იქნას თოფარავანის სადგური, რომლის სიმძლავრე უნდა იყოს არა ნაკლები — 100 ათასი ცხენის ძალისა, ელექტრონის ენერგია დაგვჭირდება ქაღალდის ფაბრიკისათვის, ფერო-მარგანეცის ქარხნებისათვის, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის და სხვა. სწორეთ ამიტომ ამ 5 წლის განმავლობაში ჩვენ იძულებული ვართ ფართოთ გავშალოთ ქვეყნის ელექტროფიკაცია და ავაშენოთ აგრეთვე გუმჰესი, ალაზჰესი. ოზურგეთის და სხვა ადგილობრივი სადგურები, რისთვისაც ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, დაახლოვებით 75 მილიონ მანეთის გაღება გათვალისწინებული.

უკვე ამ ციფრიდან თქვენ აშკარად ხედავთ, თუ რა ფართოთ არის დასმული ეს საკითხი.

ეხლა მე მსურს მოგახსენოთ შემდეგი როდესაც ჩვენ საქართველოში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ვატარებთ, ზოგიერთ წრეებში მას ერთგვარი წინააღმდეგობით ხვდებიან. ამ წრეებში ამბობენ: განა საჭიროა საქართველოში ინდუსტრიალიზაციის გატარება, როდესაც იგი სასოფლო სამეურნეო ქვეყანაა. ამიტომ მათი აზრით აქ ნედლეულის რაიონების მოწყობაა საჭირო. დიდი ფაბრიკებისა და ქარხნების აგებაზე თითქმის ფიქრიც არ არის საჭირო.

ასეთ ლაპარაკს ბევრისაგან გაიგონებთ, ერთის მხრით ამას ამბობენ ის პირები, რომელნიც ქართველ ნაციონალისტების ბანაკში იმყოფებიან და რომელთაც, ალბად, არ უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით განვითარდეს; მეორეს მხრით, ამასვე ამბობენ ზოგიერთი ეკონომისტები და საგეგმო ორგანოებში მომუშავენი, რომელნიც გამოდიან იმავე მოსაზრებიდან, რომ აუცილებელია ნედლეულის ბაზისის გამაგრება, ხოლო შემდეგ კი ფაბრიკებისა და ქარხნების აგება.

იმისათვის, რომ ეს გარემოება ნათელვყოთ, მე აქ მოვიყვან ორ თვალსაზრისს. ერთია ქართველი ნაციონალისტების, ხოლო მეორე კი არანაციონალისტების, არამედ კომუნისტებისა, მაგრამ კომუნისტების ისეთი გადახრით, რომელნიც ფიქრობენ, რომ მაინცა და მაინც საჭირო არ არის ამთავითვე განსაკუთრებით ვიზრუნოთ საქართველოს ინდუსტრიალიზაციაზე.

თქვენთვის, ყველასათვის კარგად ცნობილი სეით დევდარიანი ამ საკითხის შესახებ თავის შეხედულებას გამოსთქვამდა იმ წერილში, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენ არ გაუშვით. უნდა ითქვას, რომ ის, საერთოდ, გვისაყვედურებს, თითქმის ჩვენ მის წერილებს არ ვათავსებთ, ხოლო შემდეგ ისეთ „უპატიოსნებასაც" ვსჩადივართ, რომ ვსწერთ და ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რაც არ ყოფილა გამოქვეყნებული. მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, ვარღვევთ ამ ტრადიციებს, ასეთი ტრადიციები ბურჟუაზიის დროს არსებობდა, ჩვენ ვილაპარაკებთ, იმის შესახებაც, რაც არ ყოფილა გამოქვეყნებული, რისი გამოქვეყნებაც პრესაში არ შეიძლება. აი სეით დევდარიანის წერილი „ინდუსტრიალიზაცია და სოციალიზმი". ამ წერილის დასასრულს სეით დევდარიანი სწერს:

„ვამთავრებ რა წერილს („ინდუსტრიალიზაცია და სოციალიზმი"), საჭირო მიმაჩნია აღვნიშნო—გარდაუვალ კანონს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რამდენად უფრო სწრაფად ბრუნავს კაპიტალი, მით უფრო კარგია ეს მრეწველობისათვის. კაპიტალის ბრუნვის ტემპი პირდაპირ პროპორციულია კაპიტალის დაგროვების მიმართ. ეს გეგმიანი მუშაობის სფეროს ეკუთვნის. ამ მუშაობაში ანგარიში უნდა გაეწიოს დროის და სივრცის პირობებს. გიგანტიური წამოწყებანი ერთბაშად, ეკონომიური ჩამორჩენილობის პირობებში ნიშნავს, რომ კაპიტალი უმოძრაოდ რჩება დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი ცალმხრივობა მშენებლობაში ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. მრეწველობა ხდება მუხრუჭად ბიუჯეტისათვის. მაშასადამე, გიგანტიურ წამოწყებებთან ერთად საჭიროა ისეთები, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ფართო ბაზრის მოთხოვნებთან, მალე გვიბრუნებენ დაბანდებულ კაპიტალს და იძლევიან მაქსიმალურ რენტაბელობას. ასეთივე წამოწყებები შესაძლოა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობის ხაზით. ბაზარზე თანაბარი მოთხოვნილება როგორც ლითონის და რკინის ნაწარმოებებზე (მძიმე მრეწველობა), ისე მანუფაქტურაზე და სხვ. (მსუბუქი მრეწველობა).

სწორედ ამ გარდაუვალ კანონების წრეში შესული ინდუსტრიალიზაცია იქნება გზა სოციალიზმისაკენ".

ყურადღება მიაქციეთ, ამხანაგებო, იმას, რომ ვითომ დევდარიანი მხარს უჭერს ინდუსტრიალიზაციას. მაგრამ ამავე დროს ის ძალიან მოხერხებულად აფუჩეჩებს საკითხს და სწერს, რომ საჭიროა საქართველოში ინდუსტრიის განვითარება, ხოლო ამავე დროს კონტრაბანდათ ატარებს ისეთ აზრებს, რომ საჭიროა კაპიტალის სწრაფი ბრუნვის მიღწევა, რომ საქართველოს პირობებში დიდს ფაბრიკებს და ქარხნებს არ შეუძლია ერთბაშათ მოგვცეს დიდი ეფექტი და მიტომ უმჯობესი იქნება მსუბუქი მრეწველობის ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ერთბაშად მოგვცემენ ეფექტს და სხვადასხვა. ამხანაგებო, ეს სავსებით შემცდარი შეხედულებაა. ჩვენს ეპოქაში, როდესაც ჩვენ შევდივართ რეკონსტრუქციის პერიოდში, ჩვენთვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მანქანები, უამისოდ წინსვლა შეუძლებელია. აი რატომ არის ასეთი შეხედულება აშკარად ყალბი და გამოუსადეგარი, უნდა ვსთქვა, რომ ამ შეხედულებას მხარს უჭერენ და ემხრობიან ა.-კავ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ზოგიერთი მუშაკები, რომლებიც, მაგალითად, სწერდნენ:

„თუ ერთ რაიონს უკვე ამ ჟამად შეუძლია შეუდგეს დიდი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობას, მეორე რაიონმა ჯერ უნდა შეატრიალოს თავისი ჩამორჩენილი სოციალურ-სამეურნეო ურთიერთობანი, რათა სწორად ჩამოაყალიბოს თავისი ნედლეულის ბაზა". (ამხ. სმირნოვის თეზისებიდან).

ჯერ კიდევ მოიპოვება ბრძენი ხალხი, რომლებსაც ჰგონია, რომ ეს სწორი შეხედულებაა, ნამდვილად კი ეს სავსებით შემცდარი შეხედულებაა, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ველოდეთ რაღაც „ჩამოყალიბებას" და შემდეგ შევუდგეთ დიდი ფაბრიკა-ქარხნების აგებას; ეს ხომ შეგვიშლიდა შეუჩერებლად წინსვლას სოციალიზმისაკენ... ჩვენ უნდა ვეცადოთ ავაშენოთ ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თანდათან გააძლიერებდა ჩვენი მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონას. აი ის გზა, რომელიც ჩვენთვის არის ერთად ერთი სწორი, და ამ მხრით საქართველომ გამონაკლისი არ უნდა შეადგინოს.

როგორ მუშაობს ჩვენი მრეწველობა

ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ თვითღირებულება

ეხლა, ამხანაგებო, გადავიდეთ საკითხზე, თუ რამდენად კარგად მუშაობდა ჩვენი მრეწველობა, როგორი მიღწევები ჰქონდა მას.

გასულ წელს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თვითღირებულება შემცირების ნაცვლად გაიზარდა 0,6 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება დაეცა 3 პროცენტით. მიმდინარე წელს ამ მხრივ დიდი გარდატეხა მოხდა. პირველი ნახევარი წლის განმავლობაში თვითღირებულება შემცირდა დაახლოვებით 6 პროცენტით. წლიური გეგმით კი უნდა შემცირდეს 8 პროცენტით. ცენტრალურმა კომიტეტმა სამეურნეო ორგანოებს მისცა ასეთი დავალება—შეასრულონ დირექტივა გადაჭარბებით, არ შეჩერდნენ საკონტროლო ციფრზე, არამედ წავიდნენ წინ.

რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, აქ გადიდება უდრის 10 პროცენტს, წლიური დავალება კი იყო 15 პროცენტი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ ციფრსაც უნდა გადავაჭარბოთ, ვინაიდან უდიდესი შესაძლებლობანი არ არის სავსებით გამოყენებული, სამუშაო დღე არ არის საკმაოდ დატვირთული. თუ ავიღებთ ჭიათურის მრეწველობას, დაინახავთ, რომ იქ არის 7 საათის სამუშაო დღე, მაგრამ მუშები დატვირთულნი არიან 3 ნახ. საათით.

ამხ. ლენინი ამბობდა, რომ მუშათა კლასში შედიან ხშირად ისეთი ელემენტები, რომელთაც არ უნდა ჰქონდეთ ადგილი მუშათა წრეში. ასეთი ელემენტია, მაგალითად, წვრილი ბურჟუაზია, რომელიც წარმოებაში შედის მოკლე ხნით. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა სოფლიდან ჩამოსული მუშები ამბობდნენ: „ჩვენ გვინდა ფაბრიკაში მუშაობა იმისთვის, რომ გადავიხადოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი", ან „მე მინდა მივიღო პროფკავშირის წევრის წიგნაკი, რომ შევიდე უმაღლეს სასწავლებელში"-ო.

ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა პროფესიონალურმა კავშირებმა, რადგან ჩვენში იმდენად ძლიერია უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის სურვილი, რომ ყველას უნდა გახდეს უნივერსანტი (სიცილი).

პროფკავშირების მუშაობა

ჩვენი პროფესიონალური კავშირები ჩქარი ტემპით იზრდებიან. 1929 წლ. 1-ლ აპრილისათვის პროფკავშირების წევრთა რიცხვი აღწევდა 192.145 კაცს. ეს ძალიან კარგია. მთელს მრეწველობაში მუშათა რიცხვი 25.000 კაციდან (1928 წლ. 1-ლ აპრილს) გაიზარდა 31.630 კაცამდე. (1929 წლ. 1 მაისს), ე. ი. 26,7 პროცენტით. 1927—28 წელს მრეწველობაში მუშაობდა 4.740 მუშა-ქალი, ეხლა კი მათი რიცხვი აღწევს 6.000-მდე. ესეც, ეჭვს გარეშეა, დიდი მიღწევაა.

მაგრამ მთავარი, რასაც ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ესაა შრომის დისციპლინის და შრომის ნაყოფიერების დაწევის საკითხები. პროფკავშირების მუშაობაში, როგორც ეს აღნიშნა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის აპრილის პლენუმმა, ადგილი აქვს ტრედიუნიონიზმის ელემენტებს, ცეხური განწყობილებისა, კარჩაკეტილობისა და საერთო კლასობრივი ინტერესების მივიწყების ელემენტებს. როდესაც ამის შესახებ ლაპარაკობენ, პროფკავშირის ზოგიერთ მომუშავეებს ეს სწყინთ, მაგრამ ჩვენ სიმართლე უნდა ვთქვათ, სწორეთ იმიტომ, რომ ასეთ მოვლენებს შემდეგისათვის ადგილი აღარ ექნეს. ზოგიერთი პროფკავშირები ეგუებიან მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენების განწყობილებას. არის ასეთი ლაპარაკიც პარტიულებს შორის; მაგ. რაიკომის ერთ-ერთმა წევრმა სთქვა: „ჩვენ უნდა მოვეპყრათ წარმოებას ისე, როგორც შვილები მამას, ე. ი. ის, რასაც მოითხოვენ შვილები, ის უნდა შეასრულოს მამამ"-ო. ზოგჯერ სამეურნეო მუშაკებსაც აქვთ ასეთი მიმართულება.

ამხანაგებო, ასეთი განწყობილებით ჩვენ ვერასოდეს აღმოვფხვრით სიზარმაცეს და უყაირათობას, ამას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ თუ გვინდა შრომის დისციპლინის გაძლიერება. ამას აქვს არა მარტო სამეურნეო, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ლენინი კომუნისტური შაბათობის შესახებ, რომლის ათი წლის თავი, სხვათა შორის, ეხლა სრულდება, და რომელსაც ის რაცხდა მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენად, თავის წერილში „დიადი დასაწყისი" სწერდა:

„ეს არის დამარცხება საკუთარი ჩამორჩენილობისა, უთავდარიგობისა, წვრილ-ბურჟუაზიული ეგოიზმისა, ყველა იმ ჩვეულებისა, რომელნიც წყეულმა კაპიტალიზმმა მემკვიდრეობით დაუტოვა მუშასა და გლეხს. როცა ეს გამარჯვება საბოლოოდ განმტკიცდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა, სოციალისტური დისციპლინა; მაშინ და მხოლოდ მაშინ გახდება შეუძლებელი უკან-კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება და კომუნიზმი ნამდვილად დაუძლეველი იქნება" (ლენინი. ტ. 16, გვ. 242).

შემდეგ ის ამბობს:

„კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და იქნება საბოლოოდ დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი შეჰქმნის ახალ, გაცილებით უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერებას.

კომუნიზმი არის შრომის უმაღლესი ნაყოფიერება, კაპიტალისტურთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება მოხალისე, შეგნებული, შეკავშირებული მუშებისა, რომელნიც მოწინავე ტექნიკას იყენებენ" (ლენინი. ტ. 16, გვ. 245—255).

აი, ამხანაგებო, რას ნიშნავს შრომის ნაყოფიერება. სწორედ ამიტომ საჭიროა მუშების ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანოთ იმის შეგნება, თუ რას ნიშნავს შრომის ნაყოფიერება.

რა კი ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი კომუნისტური შაბათობის შესახებ, საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ლენინგრადის მუშებმა ეხლა წამოაყენეს ძალიან კარგი პროექტი, რომელმაც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მრავალ მუშათა ცენტრებში, ამ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სპეციალური კვირაობის—ინდუსტრიალიზაციის დღის მოწყობა და აქედან შემოსული მთელი თანხის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის გადადება. ეს ჩვენ მოგვცემს რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს მრეწველობის განვითარებისათვის. ეს სწორედ იმ „დიადი დასაწყისის" გაგრძელებაა, რომლის შესახებაც ლენინი სწერდა, რომ მუშებს შეუძლიათ შეგნებულად და ნებაყოფლობით იმუშაონ, და ყოველივე ის, რასაც ისინი ამ მუშაობაში აიღებენ, გადასდვან საერთო ფონდში ქვეყნის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ამხანაგებო, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მუშები ნამდვილი ხელმძღვანელია თავისი წარმოებისა.

მე ვფიქრობ, რომ ლენინგრადის მუშების მიერ დაწყებულმა საქმემ საქართველოშიაც უნდა ჰპოვოს გამოძახილი, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ამ ტრიბუნიდან, რომ ვალდებული ვართ გავატაროთ იგი ცხოვრებაში.

ლენინგრადის მუშებმა დაადგინეს, რომ 6 აგვისტო კომუნისტური შაბათობის დღეთ იქნეს გამოცხადებული. ძველი კალენდრით 6 აგვისტო ფერისცვალებაა. მათ გადასწყვიტეს ამ ფერისცვალებას კომუნისტური შაბათობის ფერისცვალება მისცენ. მე ვფიქრობ, რომ ეს დიდი საქმე სათანადო გამოძახილს ჰპოვებს თბილისისა და მთელი საქართველოს მუშების შორის (ტაში), და ამრიგათ ჩატარებული იქნება არა ერთი, არამედ შეიძლება ორი და სამი შაბათობაც და შემდეგში თანდათანობით მოეწყობა ასეთი შაბათობა იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოთ პროლეტარულ სახელმწიფოს, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდოდა მეთქვა იმ განწყობილებათა შესახებ, რომელთაც ადგილი აქვს პროფკავშირებში. იმ მაჩანჩალობის გარდა, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი, არის კიდევ სხვაგვარი განწყობილება, მაგ., კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლს; როდესაც კითხულობ პროფკავშირთა და კავშირის ცენტრალურ გამგეობათა ანგარიშებს კოლექტიურ ხელშეკრულების კამპანიების შესახებ, გგონია, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არა ჰქონია, ნამდვილად კი ხედავთ, რომ ეს სრულებით ასე არაა. მაგალითად, კომუნალურ მუშაკთა კავშირის ანგარიშში ნათქვამია შემდეგი: „მუშების მხრივ უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონიაო", ფაქტიურად კი უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი.

სოციალისტური შეჯიბრების გზით.

რაც შეეხება სოციალისტურ შეჯიბრებას, მე უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დავიწყეთ მისი განხორციელება, ამჟამად ამ მუშაობის ჯამის გაკეთება არ შეგვიძლია, რადგან სწორი ციფრები ჯერ კიდევ არა გვაქვს, მაგრამ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოიწვია დიდი ხალისი მუშათა შორის და უკვე გვაქვს განსაკუთრებული შედეგები როგორც პროგრამების შესრულების, ისე შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოგვცა განსაზღვრული ეფექტი, რის გამოც ჩვენ შევძლებთ გადამეტებით შევასრულოთ თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების აწევის პროგრამა.

მართალია, იყვნენ ისეთი ელემენტებიც, რომელნიც სოციალისტური შეჯიბრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი ამბობდნენ: „რად გვინდა სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენთვის ეს ძნელია. რატომ უნდათ, რომ მუშები ყოველთვის რამეს იძლეოდნენ"-ო.

თურმე კონცესიონერების დროს ჭიათურის მრეწველობაში არსებობდა ისეთი წესი, რომ მუშები მუშაობდნენ ისეთი ტემპით, რომ ოფლი არ მოსვლოდათ (სიცილი).

ასეთ მდგომარეობას, თურმე, ნაწილობრივ ადგილი აქვს საბჭოთა წყობილების დროსაც და ზოგიერთი მუშა ასე მსჯელობს (და ამას ზოგიერთი პროფესიონალისტიც თანაუგრძნობს), რომ მათ უნდა იმუშაონ ოფლის გამოუდენლად 8 ნახ. საათი, ხოლო მეორე 8 ნახ. საათი ილაპარაკონ, მოსწიონ პაპიროსი, ჩვენებური ჩიბუხი. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებაო.

აი, ამხანაგებო, ასეთ სულიერ განწყობილებებს საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს, სხვანაირად ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენ მიერ გათვალისწინებული დიდი საწარმოო პროგრამის შესრულებას.

1928—29 წელს ჩვენ რამოდენიმე საწარმო გადავიყვანეთ შვიდი საათის სამუშაო დღეზე; აქედან ოთხი ძველია, ხოლო ერთი ახალი. 1929—30 წლისათვის განზრახულია კიდევ ოთხი საწარმოს გადაყვანა.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს მიღწევები. ზოგიერთ საწარმოში გაიზარდა გამომუშავების ნორმა, მაგალითად სპილენძის დამმუშავებელ ქარხანაში.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ყველა საწარმოთა გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე. შემდეგ ჩვენ არ დავკმაყოფილდებით, რასაკვირველია, 7 საათის სამუშაო დღით და გადავალთ 6 საათის სამუშაო დღეზე და ასე შემდეგ. რაც წინ წავალთ, მით მეტი მიღწევები გვექნება და თუ ჩვენ ეხლა შევასრულეთ გადაწყვეტილება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ, შემდგომი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ხაზით მოგვცემს საშუალებას კიდევ უფრო შევამციროთ სამუშაო დღე. ეს იქნება უდიდესი გამარჯვება მუშათა კლასისა, რომელმაც ძალა-უფლება თავის ხელში აიღო.

ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ამჟამად წამოყენებულია პროექტი შეუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების შესახებ, რომელსაც დიდი თანაგრძნობით შეხვდა როგორც ს.ს.რ. კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ისე პროფმოძრაობაც. ამას აქვს განსაკუთრებული სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა. საქართველოში ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გადავიყვანოთ მუშაობის ამ სისტემაზე მთელი რიგი საწარმოები, როგორც, მაგალითად, შავი-ქვის, ქვანახშირისა და შუშის მრეწველობა. ეს მოგვცემს უდიდეს შედეგს, ეს მოგვცემს შესაძლებლობას მუშებმა მეტი დრო მოანდომონ თავიანთი კულტურული განვითარების საქმეს. ეს ღონისძიება მოგვცემს მუშათა კლასის კულტურული დონის უდიდეს ზრდას და ამასთან ერთად გააფართოვებს მრეწველობის მუშაობას.

გავაუმჯობესოთ პროფკავშირების კულტურული მუშაობა

აქვე უნდა ითქვას, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ პროფკავშირთა კულტურული მუშაობის საკითხებს ჩვენ არ ვაქცევთ საკმაო ყურადღებას. თუ ავიღებთ პროფკავშირთა კულტურულ მუშაობას, ის დაყენებულია პრიმიტიულად და არა ისე, რომ მუშები აღიზარდონ კომუნისტურად, რომ მივცეთ მათ კლასობრივი აღზრდა. პროფკავშირების მუშაობას პრიმიტიული ხასიათი აქვს და ამის გამო უნდა დაისვას საკითხი ახალი მეთოდით მუშაობის შესახებ. მხოლოდ ისეთი კულტურული მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია მუშათა უდიდეს მასებთან, მოგვცემს ღირსეულ შედეგს, ხოლო ისეთი, რომელიც მასასთან დაკავშირებული არაა, რომელიც მის კულტურულ დონეს არ ამაღლებს, არ შეიძლება დაშვებულ იქნას. მე ვფიქრობ, რომ პროფკავშირთა კულტურულ მუშაობაში ჩვენ უნდა მოვახდინოთ ძირითადი გარდატეხა. ისე უნდა დავუკავშირდეთ მასებს, რომ მუშებს შეეძლოთ გახდნენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ შეგნებულ მუშაკებად. ვამთავრებ რა პროფკავშირების შესახებ ლაპარაკს, მე უნდა ვსთქვა, რომ ისინი ამჟამად მოწოდებულნი არიან ბევრ რამეში დაეხმარონ ჩვენი წარმოების აღორძინების საქმეს. მათ უნდა მიატოვონ ცეხური განწყობილებისა და ტრედ-უნიონიზმის მომენტები და ხელი მოჰკიდონ იმ საქმეს, რომლის შესახებაც ამხ. ლენინი ამბობდა:

„სოციალიზმის მშენებელთა რიგების გადაუხრელად გაფართოებასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ პროფესიონალურ კავშირთა დანიშნულებას წარმოადგენს ახალი ცხოვრების მშენებლობა, იმ ახალი მილიონებისა და ათეული მილიონების აღზრდა, რომლებმაც თავის გამოცდილებით უნდა ისწავლონ არ ჩაიდინონ შეცდომები, განდევნონ ძველი ცრუმორწმუნეობანი, შეისწავლონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. მხოლოდ ამაშია ნამდვილი გარანტია იმისა, რომ სოციალიზმის საქმე მთლიანად გაიმარჯვებს და აღარ იქნება უკან დაბრუნების არავითარი შესაძლებლობა".

მე ვფიქრობ, რომ პროფკავშირები მართლაც დაეხმარებიან სოციალისტურ მშენებლობასა და ჩვენი ქვეყნის სოციალიზმისაკენ წინ წაწევის საქმეს, თუ ისინი შეასრულებენ ჩვენი ბელადის ამ მითითებას.

ჩვენი შეტევა ფართოვდება

გადავდივარ რა ვაჭრობისა და კოოპერაციის საკითხებზე, მე უნდა ვსთქვა, რომ საანგარიშო პერიოდი ხასიათდება კერძო ვაჭრის განდევნითა და სოციალისტური სექტორის შემდგომი განვითარებით. ეს ერთი, ხოლო მეორე ეს პერიოდი ხასიათდება მთელი რიგი ფართო სამომხმარებლო პროდუქციების ნაკლებობით: პური, ხორცი, რძის პროდუქციები და სხვა.

ვაჭრობის საკითხები

თუ ავიღებთ საბითუმო და საცალო სახელმწიფო ვაჭრობის ციფრებს, ჩვენ დავინახავთ, რომ 1926—27 წელს საბითუმო ვაჭრობას ეჭირა 62,6 პრ., ხოლო 1927—28 წ. 50,3 პროცენტი.

თუ კოოპერაციას 1926—27 წ. ეჭირა 33,5 პროც., 1927—28 წ. მას ეჭირა 48,2 პროც., კერძო საბითუმო ვაჭრობას 1926—27 წ. საბითუმო ვაჭრობაში ეჭირა 3,9 პროც., ხოლო 1927—28 წ.—2,5 პროც..

ცალობითი სახელმწიფო ვაჭრობა. აქ შემდეგი მდგომარეობა: 1926—27 წ. სახელმწიფო ვაჭრობას უჭირავს 19 პროც., 1927—28 წელს-კი—19,7 პროც..

კოოპერაციას 1926—27 წელს —29,2 პროცენტი, 1927 — 28 წელს — 38,3 პროცენტი, კერძო ვაჭრობას 1926—27 წელს—51,8 პროცენტი და 1927—28 წელს 42 პროც.. აქ შედის ყველა სასადილოები, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ეს ციფრები ისევ მაღალია. მოსკოვის მასალების მიხედვით იგი უდრის — 20 პროცენტს, ჩვენში კი 42 პროც.-ს. მართალია, იქ შეიძლება გამოანგარიშება სასადილოების გამოკლებით მოხდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ დარგში ჩვენ ჩამორჩენილი ვართ და უნდა ვეცადოთ, რომ კერძო ვაჭარი ცალობითი ვაჭრობიდანაც განვდევნოთ, მით უმეტეს, რომ იგი განსაკუთრებულ აქტიობას იჩენს წვრილეულობის, ხორცეულის და სხვ. პროდუქტების ბაზარზე. ამ პროდუქტებზე კი მუშებში დიდი მოთხოვნილება.

სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში ადგილი აქვს განსაზღვრულ მიღწევებს; ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი 123,9 პროცენტით გაიზარდა. სულ ითვლება 338 ათასი წევრი; სოფლად კოოპერაციაში გაერთიანებულია მთელ მეურნეობათა 50,8 პროცენტი, ქალაქად-კი მოსახლეობის 47 პროც., რაც შეეხება საპაიო გადასახადს, აქაც გარკვეულ ზრდას აქვს ადგილი; გაიზარდა აგრეთვე იმ კოოპერაციაქმნილ ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა, რომელიც ღარიბთა ფონდების ანგარიშზე მოხდა.

საშუალო ფაქტიურად გადახდილი პაი 7 მან. 80 კაპ. უდრის. კოოპერაციის საქონლის ბრუნვა უდრის 47 მილიონ 500 ათას მანეთს.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, რომ ჩვენ ვაჭრობა ვისწავლეთ. შეიძლება ხანდახან ცუდად ვვაჭრობთ, მაგრამ ერთის თქმა მაინც შეიძლება, სახელდობრ იმის, რომ კოოპერაციამ ვაჭრობა ისწავლა.

ამხ. კახიანი

„დიადი საქმეების შესასრულებლად საჭიროა ენთუზიაზმით გამსჭვალვაო" — სთქვა სენ-სიმონმა. მხოლოდ დიადი მიზნები იწვევენ ენთუზიაზმს. ასეთ დიად მიზანს კი წარმოადგენს შეუჩერებელი წინსვლა სოციალიზმისაკენ, უკან დაუხევად და უპანიკოდ. ლენინი ამბობდა: „ან უნდა დავიღუპოთ, ან უნდა დავეწიოთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ წინ ეკონომიურადაც... ან უნდა დავიღუპოთ, ან მთელი სისწრაფით გავექანოთ წინ. ასეა დასმული კითხვა ისტორიის მიერო". (ლენინი, ტომი XIX).

და ისტორიის ამ კითხვაზე ვუპასუხებთ:

ჩვენ არ შეგვიძლია დავიღუპოთ, ჩვენ დაღუპვა „არ გვიწერია". დიადი სოციალისტური მუშაობის გეგმის განსახორციელებლად საჭიროა ენთუზიაზმით გამსჭვალვა, საჭიროა შეურყეველ რევოლუციონერ ენთუზიასტების პარტია, დიდი ლენინის პარტია.

ჩვენ ვართ რკინისებური კოჰორტა ასეთ მებრძოლთა და, მაშასადამე, უზრუნველყოფილია გაქანება წინ მთელი სისწრაფით. ჩვენ ახალ ენერგეტიულ ნიადაგზე მოვაწყობთ მთელი ქვეყნის ეკონომიკას, — ზაჰესების და რიონჰესების შუქს მოვფენთ ახალ საქართველოს მიყრუებულ სოფლებსაც კი, ამოვიღებთ მადნებს მაღაროებიდან, დავამუშავებთ ტყვარჩელის ქვანახშირს, ჩამოვასხამთ ლენინიზმის ფოლადს და ლენინის მოძღვრების ნიადაგზე მტკიცე ნაბიჯით გავსწევთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ, სოციალიზმისაკენ".

(ამხ. კახიანის მოხსენებიდან).

ჩვენი ექსპორტი

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ექსპორტს. იგი, ძირითად პროდუქტების მიხედვით, წლიდან წლამდე იზრდება. 1927—28 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ გაზიდულ იქნა (მარგანეცის გარდა) 5 მილიონ მანეთის პროდუქტები, 1928—29 წელს კი გაზიდულ იქნა 8 მილიონ მანეთის პროდუქტების ე. ი. გაზიდვა 26,5 პროც.-ით გაიზარდა, 1929—30 წელს 10.700 ათას მან., ე. ი. გაზიდვა 34,6 პროცენტით გაიზრდება.

თვით ექსპორტის სტრუქტურაც ცვლილებას განიცდის: 1927—28 წლის ექსპორტას 75,6 პროცენტს სასოფლო-მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა, სამრეწველო ექსპორტი კი მხოლოდ 24-ს შეადგენდა. მიმდინარე წელს კი განზრახულია 3.626 ათასი მანეთის სამრეწველო საქონლის ექსპორტი. მთელი ექსპორტის 35,9 პროც. სამრეწველო მნიშვნელობის საქონლიდან შესდგება.

ეს განსაზღვრული მიღწევაა და იგი უმთავრესად ისეთ პროდუქტებს ეხება, როგორიც არის კაკალი, აბრეშუმის პარკი, კვერცხები და სხვ., მართალია ეს მუშაობა ხშირად სათანადო სიმაღლეზე არ სდგას; მაგალითად, თხილის შესახებ ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარიატში ლაპარაკობდნენ, რომ გლეხებს არ მისცეს დაპირებული დამატებითი კოოპერატიული საფასური და ამან გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის. თუ ადგილი ჰქონდა დაპირებას, ეს დაპირება შესრულებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გლეხებზე ცუდად მოქმედობს დაპირების არ შესრულება. ამას გარდა კაკალი დამზადებული იყო 6 მან. 50 კაპ. ფუთზე, ზედნადები ხარჯები კი ფუთზე 5 მანეთი მეტს შეადგენს.

აი როგორ მუშაობენ ჩვენი ორგანოები. მართალია კოოპერატორები ყოველნაირად ცდილობდნენ განემარტათ ჩვენთვის, რომ ეს აუცილებელია, რადგანაც საწარმოებს გადამუშავება და ყოველგვარი სხვა პროცესებით, რომლის დროსაც აუცილებელია ასეთი დიდი ზრდა ზედნადები ხარჯებისა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი მდგომარეობა საბოლოოდ გამოვასწოროთ.

სარეწაო კოოპერაცია

საჭიროა აგრეთვე შევეხოთ ჩვენი სარეწაო კოოპერაციის განვითარებას, რომელიც 27—28 წლის განმავლობაში განიცდიდა თვალსაჩინო ზრდას; წევრთა რიცხვი 3.211-დან გაიზარდა 12.600-მდე (ზრდა შეადგენს 292,4 პროცენტს), რაც წვრილ და სარეწაო მრეწველობაში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვის 18,7 პროცენტს უდრის. სოფლელ შინა-მრეწველთა საერთო რიცხვიდან კოოპერატიულად შეკავშირებულია მხოლოდ 5,8 პროც., ქალაქად კი—44,9 პროც..

მე ამხანაგებო, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ამ გარემოებას, იმიტომ რომ საქართველოს პირობებში სარეწაო კოოპერაციის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით სოფლად; ჩვენ კი ისე გამოგვიდის საქმე, რომ სარეწაო კოოპერაცია ვითარდება ქალაქად. სოფლად შეკავშირებულია მხოლოდ 5, 8 პროცენტი შინა-მრეწველებისა, ხოლო ქალაქად—44,9 პროცენტი. ეს ნამდვილი მაკრატელია. იმის მაგივრად, რომ კოოპერატივებმა თავის მიღწევებზე ილაპარაკონ, უკეთესი იქნება, თუ ისინი ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ სარეწაო კოოპერაციის მდგომარეობა სოფლად დამაკმაყოფილებელი არ არის (ხმები: სწორია).

საქართველოს ბიუჯეტი

საქართველოს ბიუჯეტი შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1927—28 წელს ბიუჯეტის საერთო თანხა უდრიდა 81.934.142 მან.; აქედან ადგილობრივი ბიუჯეტი 51.322.523 მანეთს შეადგენდა.

1928—29 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი უდრიდა 95.696.847 მან.; აქედან ადგილობრივი ბიუჯეტი უკვე 60.942.955 მან. აღწევდა. ამგვარად ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის ზრდა დეფიციტის შემცირებასთან ერთად (1927—28 წელს დეფიციტი შეადგენდა—17.098.129 მან., ახლა კი იგი 13.252.377 მან. შეადგენს).

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, ბიუჯეტის საერთო გაუმჯობესებას. ადგილი აქვს აგრეთვე სოციალურ-კულტურული ხარჯების ზრდას. ამას გარდა ბიუჯეტი ადგილობრივ ისე შენდება, რომ მეტი ყურადღება ექცევა წარმოების საკითხებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაფართოებას.

სასურსათო სიძნელენი და მათთან ბრძოლა

ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ **იმ სიძნელეთა შესახებ, რომელიც ჩვენ გვაქვს სასურსათო ფრონტზე**; ეს სიძნელენი აიხსნება, ერთის მხრით, სოფლის მეურნეობის დაბალი ნაყოფიერებით, ხოლო, მეორეს მხრით, მოსახლეობის მოთხოვნილების გადიდებით. ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. საქართველო ყოველთვის იყო ისეთი ქვეყანა, რომელსაც შემოჰქონდა პური და გაჰქონდა სიმინდი; ეხლა იძულებული ვართ სიმინდიც შემოვიტანოთ.

ეს მდგომარეობა გვაიძულებს ხელი მოვკიდოთ მუშაობას განსაკუთრებული ენერგიით. 1927—28 წელს საქართველოში შემოზიდულ იქნა 9 მილიონ ათასი ფუთი, 1928—29 წელს კი 8.400.000 ათასი ფუთი. წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს, რაც არ შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოზე, სადაც მდგომარეობა უფრო მწვავეა. რადგანაც თესვის კამპანია, გვალვის გამო, დაგვიანებით დაიწყო.

პურის მარაგის შემცირების გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით შემოგველო პურის წიგნაკებით გაცემის სისტემა. ამ სისტემამ უსათუოდ გაამართლა თავისი თავი, მაგრამ ჩვენი მტრები დღესაც გაიძახიან, რომ წიგნაკების შემოღება—ეს ნაბიჯია უკან, ეს არის სასურსათო ბარათების შემოღება და სხვ. „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ი დღესაც გაჰყვირის, რომ ჩვენ უბრუნდებით „მეშოჩნიკობას". ცხადია, რომ ეს სიცრუე და სიყალბეა მუშათა კლასის მტრებისა, რომელნიც ამ საგანზე სპეკულიაციას ეწევიან. სამწუხაროდ ამ სპეკულიანტებს უერთდებიან ზოგიერთი კომუნისტები მემარჯვენე ბანაკიდან. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პურის წიგნაკების შემოღებამ ჩვენ საშუალება მოგვცა განსაზღვრული რაოდენობის პური შეგვენახა და იმავე დროს პური პირველ რიგში მუშებისათვის მიგვეწოდებია. თუ „ბარათების" დროს 1918—19 წელს ჩვენ გვქონდა ისეთი მდგომარეობა, რომ მოსახლეობას აძლევდნენ ერთ მერვედ გირვანქა პურს, ახლა ჩვენ მუშებს 1 ნახ.—2 გირვანქას ვაძლევთ. ეს ის ნორმაა, რომელიც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია. ყოველ შემთხვევაში მუშები საყვედურს არ ამბობენ. კმაყოფილნი არიან იმით, რომ პური პირველ რიგში ეძლევა მუშათა რაიონებს. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ამ მხრივ კომუნისტების რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ დაბნევას ან პანიკას, ხოლო საჭიროა მტკიცედ იქნას შესრულებული ეს ღონისძიება იმ პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მთელს საბჭოთა კავშირში ტარდება.

ბაზრის მოუწესრიგებლობა აიხსნება არა მარტო საერთო მიზეზებით, არამედ ზოგჯერ ჩვენი ორგანოების უუნარიანობით. მე მოვიყვან ორ მაგალითს.

სოფლის კავშირი წინადადებას აძლევს მუშკოოპს დამზადოს 1929 წლის მოსავლის

ყრილობის რეზოლუცია ამხ. კახიანის მოხსენების გამო

მიღებული ერთხმად

„საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი ცნობილ იქნას სწორად, ჩატარებული მუშაობა—დამაკმაყოფილებლად".

წითრი ბაზრის ფასებში, საკომისიო 15 პროცენტით დამატებით და სხვა ხარჯების გამოკლებით. საკითხავია, რა ფასებში უნდა გაყიდოს იგი მუშკოოპმა? მეორე ფაქტი. სოფლის კავშირი წინადადებას იძლევა, რომ ის თბილისისათვის შეისყიდის სამტრედიაში ქათმებს—თითო ქათამს 3 მანეთად და 18 კაპეიკად. ეს იმ დროს, როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოზიდული ქათამი წყვილი 3 მან. 28 კაპ. ჯდება. როგორც ხედავთ, სამტრედიის ამ ზედკრულ ქათმებს ისეთ ზედნადებ ხარჯებს ადებენ, რომ ისინი შეიძლება დაიხოცონ კიდეც, სანამ მომხმარებლამდი მიაღწევენ. სამტრედიაში ამ ქათმის ფასია 1 მან. და 60 კაპ., ხოლო შემდეგ იმდენ ხარჯს ადებენ მას, რომ ის უკვე 3 მან. და 18 კაპ. ღირს.

სოფლის კავშირი ხანდახან ვერ ერევა დამზადების საქმეს და იმავე დროს უკრძალავს ძირითად ორგანიზაციებს აწარმოონ დამზადება. ამით სარგებლობს კერძო ვაჭარი, რომელიც ყველაფერს თავის ხელში იღებს. როდესაც ჩვენ ვეკითხებით სოფლის კავშირს, რად ხდება ასე, ისინი ამბობენ, რომ ყოველივე ამას მოითხოვს ჩვენი წესდებაო. წესდება კარგი საქმეა, მაგრამ წესდების მიხედვით ცხოვრება ძნელია.

დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ როდესაც ხორცი გვაკლია, საჭიროა თევზსა და სხვა პროდუქტებზე ზრუნვა. მიუხედავად ამისა, ამაზე არავინ არ ზრუნავს. მუშას ხშირად პროდუქტები, აქ კი ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას. მე-11 ყრილობაზე ლენინი ამბობდა, რომ ერთხელ მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებას უნდა შეეძინა კონსერვები. ერთ ფრანგს სურდა მიეყიდნა ჩვენთვის კონსერვები, მაგრამ სანამ ეს საკითხი პოლიტბიუროში არ იქნა დასმული, არავის არ უნდოდა კონსერვების შესყიდვა.

„საქმე სამუდამოდ დაიღუპა. ორი პასუხისმგებელი და რევოლუციისათვის თავდადებული კომუნისტი დაობს იმის შესახებ, თუ რომელ მომენტში შეიტანონ საკითხი პოლიტბიუროში, რათა მიიღონ პრინციპიალური დირექტივა სურსათის შესყიდვის შესახებ".

(ლენინის სიტყვიდან რ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე).

ასეთი შემთხვევები რამდენიც გინდა იმდენია. ჩამოზიდეს თბილისში კვერცხები. ამ კვერცხების გარშემო შეიქნა დავა. დაობდნენ „გასული წლის თოვლისათვის", ხოლო სანამ ვაჭრობდნენ, კვერცხები იქ ლპებოდა. ვაჭრობისა და კოოპერაციის ყველა მუშაკმა უნდა იგრძნოს მუშების მდგომარეობა, მათს წრეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბიუროკრატიზმსა და უსაფუძვლო მიწერ-მოწერას (ამას კი ხშირად ადგილი აქვს). უნდა მიღებულ იქნას ზომები, რათა ყველა ორგანო, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს სასურსათო საქმესთან, მუშაობდნენ საქმის გაუჭიანურებლად, კანცელარშჩინის გარეშე (ტაში). სხვაგვარად ჩვენ ვერ შევსძლებთ იმ სიძნელეთა დაძლევას, რომელსაც განვიცდით.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები

ეხლა, ამხანაგებო, მე გადავდივარ სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და სოფლად მუშაობის საკითხზე.

აქ მე უნდა ვსთქვა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმავე სექტემბრის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „აშკარაა სოფლის მეურნეობის ზრდის არა საკმაო ტემპი". და აღნიშნულია აგრეთვე, რომ „პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეს".

სწორია ეს თუ არა? ეს სწორი იყო წინად, ეს სწორი არის ახლაც. დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ არ ექცევა საკმაო ყურადღება. თქვენ ხედავთ, რომ მრეწველობის დარგში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლსა და შეცდომებსაც), სამწუხაროთ, არაფერი შეიძლება ითქვას დიდ მიღწევებზე სოფლის მეურნეობაში, მაშინ როდესაც საქართველო უფრო მეტად გლეხური ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი.

რით აიხსნება სოფლის მეურნეობისადმი არასაკმაო ყურადღება? იმით, რომ ჩვენში ჯერ არ მომხდარა ძირითადი გარდატეხა ამ საკითხში. ამ გარდატეხას მოხდენა კი საჭიროა, როგორც ზევიდან ქვევით, ისე ქვევიდან ზევით. ჩვენ უფრო ახლოს უნდა გავეცნოთ სასოფლო მეურნეობის საკითხს. დაუახლოვდეთ მიწას და ყოველივე ეს გავაკეთოთ. დაუახლოვდეთ მიწას არა ისე, როგორც ოდესღაც მოითხოვდა ზინოვიევი, რომელიც ამბობდა, რომ „საჭიროა მიწას ყური დავადოთ ისტორიის ნაბიჯების მოსასმენათო", არამედ ისე, რომ სასოფლო მეურნეობაში არსებული პროცესების შესწავლის ნიადაგზე ჩვენი დაქუცმაცებული მეურნეობა წავსწიოთ წინ მსხვილი მეურნეობისაკენ. ეს კი, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

საქართველოს კ. პ. (ბ) მიმდინარე მე-6 ყრილობა უნდა გახდეს იმ გარდატეხის ეტაპად, რომელმაც უნდა გაამახვილოს ჩვენი პარტორგანიზაციების ყურადღება სასოფლო მეურნეობის საკითხისადმი.

მოსავლიანობის გადიდებისათვის

ამ საკითხის ირგვლივ სპეციალურ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ლ. ლოლობერიძე, რომელმაც დეტალურად დაამუშავა ეს საკითხი. მე არ შევჩერდები დაწვრილებით ამ საკითხზე, არამედ შევეხები მხოლოდ რამოდენიმე ძირითად მოვლენს. თუ ავიღებთ სათეს ფართობს, აქ არ არის შემჩნეული დეგრადაცია. პირიქით, მიმდინარე პერიოდში იგი შეადგენს ომის წინანდელ სათეს ფართობის 108 პროცენტს. მარცვლეულ კულტურათა დარგში ადგილი აქვს ზრდას 6,4 პროც. ომის წინანდელ დონესთან შედარებით. ტეხნიკურ კულტურებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ომამდე არსებულ დონისთვის.

მსხვილ და წვრილ მესაქონლეობის დარგში ადგილი აქვს ზრდას ომის წინა დროსთან შედარებით 17 პროცენტით, ხოლო სამეურნეო მესაქონლეობაში ზრდა კიდევ უფრო მეტია.

ტეხნიკურ კულტურების ხვედრითი წონა აღწევს 1928—29 წ. 6,1 პროცენტს, ხოლო მრავალწლოვან მცენარეთა (ვენახი, ჩაი) — 21,8 პროცენტს.

თუ ავიღებთ მოსავლიანობის გადიდების საკითხს, რასაც ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მე უნდა ვსთქვა, რომ მარცვლეულ კულტურების მოსავლიანობის დონე მცირეა. ინდივიდუალურ მეურნეობებშიაც და ჩვენს კოლმეურნეობებშიაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, მოსავლიანობის დონე ნაკლებია ომის წინადროსთან შედარებით. ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი თითქმის კიდეც ჩამორჩებიან ინდივიდუალურ მეურნეობებს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ ჰქმნიან რაიმე მოსაწონს და კარგს.

ცეკას მეხუთე პლენუმის დირექტივა ამ საკითხში ჩვენ მიერ არა საკმაოდ ტარდება ცხოვრებაში.

ხარისხიანი თესლეულობის გავრცელების დარგში ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ყველგან როდია მოწყობილი თესლ-საწმენდი პუნქტები. საკმაო ყურადღება არ ექცევა სასუქის გავრცელებას. სოფლის აქტივის აგრო-მომზადების კურსები აქამდე არაა მოწყობილი, ეს კი მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის გაცემულია საჭირო თანხები.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი

მოსავლიანობის გადიდების საკითხის გარშემო ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო საზოგადოებრივი აზრი, და თუ არის—არა იმ მიმართულებით, როგორიც საჭიროა. ხოლო სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც იბეჭდება და ვრცელდება. მე წინადადებას მივცემ სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლებს, სანამ შეუდგებოდნენ იმის გავრცელებას, შეამოწმებინათ თავისი ციფრები, მოეცათ მათი შედარება იმ ციფრებთან, რომელნიც არსებობს მთელ კავშირში. მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ტიპი კოლეგები, რომელნიც, ალბათ, ფიქრობენ, რომ საქართველოში გამოყენებული უნდა იქნას რაღაც თავისებური საკუთარი ტემპი.

კარგი იქნებოდა, ამხანაგებო, რომ მათ გამოეგონებინათ რამე სასარგებლო, რომ მათ ცოტა წინ წადგეს ფეხი, მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ისინი უკან რჩებიან, ამაში არაფერი კარგი არ არის.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიან გეგმაში განზრახულია მოსავლიანობის გადიდება 18 პროცენტით, რაც პირდაპირ დაუშვებელია კავშირის ც. ა. კ.-ის სესიის და ყველა საკავშირო ორგანოების დადგენილებების შემდეგ. ამ დადგენილებათა მიხედვით, მოსავლიანობის გადიდება განზრახულია არა ნაკლებ 35 პროც. ხოლო პარტიის უკანასკნელ დამატებითი დირექტივის მიხედვით, განზრახულია ამ პროცენტის კიდევ უფრო გადიდება და შესაძლებელია მისი 50-დე აყვანა. ხოლო სახელმწიფო საგეგმო კომისია და სხვა ეს ორგანოები ცხოვრების კუდში მისჩანჩალებენ.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მომუშავენი პირველად—თავიანთ წინადადებებში მოსავლიანობის გადიდებას არა 18 პროცენტით, არამედ 12 პროცენტით. შემდეგ, როცა მათ ყელი მოუჭირეს, ისინი „დათმობაზე" წავიდნენ, მოუმატეს კიდევ 6 პროცენტი და მოსავლიანობის გადიდების პროცენტი 18-მდე აწიეს.

თუ ჩვენ ორგანოებში ასეთი სპეცები იქნებიან და ჩვენ კომუნისტებიც კი მხოლოდ კალმის მოსმით დავკმაყოფილდებით, თუ სპეცების საქმე იქნება შედგენა და წერა, ხოლო კომუნისტებისა—ხელის მოწერა, — მაშინ არაფერი გამოვა. აი რატომ მგონია მე, რომ საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს აქ ყურადღება, რათა ასეთი შემთხვევები მომავალში აღარ განმეორდეს. ყოველივე ეს ხომ შემთხვევითი მოვლენა არ არის! ჩვენში არიან ისეთი სპეცები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ ჩვენს პოლიტიკას, რომელნიც ფიქრობენ, რომ, თუმცა აღებულია ხაზი განვითარებისა, სოფლის-მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნისა, მაგრამ იგი, ეს განვითარება კუს ნაბიჯით წავა წინ.

როგორც მახსოვს, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე მე მომიხდა ლაპარაკი პროფესორ ამირეჯიბზე, რომელმაც სოფლის მეურნეობის მომუშავეთა თათბირზე სთქვა შემდეგი:

„მანქანები სოფლის მეურნეობაში არ თამაშობენ ისეთ როლს, როგორც საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში. როდესაც სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ შეგვიძლია მანქანას ისეთი როლი მივაკუთვნოთ, როგორსაც იგი საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში თამაშობს"-ო.

მაგრამ ეს იყო შარშანწინ. შეიძლება პროფესორი ამირეჯიბი ამ ხნის განმავლობაში ცოტათი გამოსწორდა. ამ წელს მოწვეულ თათბირზე მეორე აგრეთვე ცნობილი პროფესორი ჯანდიერი ამბობდა შემდეგს:

„ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის სიტყვა ინდუსტრიალიზაცია, და ძალიან ხშირად, ამ გაგების სხვადასხვაობის გამო, სახსრებს ვიყენებთ არა იმ ინდუსტრიალიზაციისათვის, რომელიც ჩვენ, აგრონომებს გვესმის ინდუსტრიალიზაციად. ჩვენ უკანასკნელ დროს ინდუსტრიალიზაციაში ვგულისხმობთ უსათუოდ მანქანებს, ფაბრიკებს, ქარხნებს და სხვა.. რასაკვირველია, ეს საჭიროა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიყენოთ ის მანქანა, რომლის უკეთესიც ჯერ ბუნებას რა შეუქმნია, მე ვლაპარაკობ საქონელზე. ეს არის ყველაზე სრულყოფილი მანქანა". (სიცილი).

თურმე ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ინდუსტრიალიზაცია; თურმე, ფაბრიკებისა და ქარხნების აშენება საჭიროა და ეს კარგი საქმეც არის, მაგრამ უმთავრესი ყოფილა ქართული ხარი და კამეჩი.

მაგრამ, ამხანაგებო, თუ ავიღებთ ჩვენს მარქსისტულ, ლენინურ ლიტერატურას, ვნახავთ, რომ იქ ამხ. ლენინი სრულიად აშკარად სწერდა—ჩვენი გლეხის ჯახრიკა ცხენი უნდა მივატოვოთ და შევსხდეთ ინდუსტრიალიზაციის ცხენზე, ელექტროფიკაციის, ვოლხოვის ელსადგურის ცხენზე და სხვ. თუ ამ სიტყვებს საქართველოს სინამდვილეს შევუფარდებთ, ხარიდან და კამეჩიდან უნდა გადავჯდეთ ზაჰესის, რიონჰესის და სხვ. ცხენზე. მაგრამ ჯანდიერისათვის ეს სავალდებულო არ არის. მას სურს კამეჩით ხაროს; ეს, რა თქმა უნდა, მისი საქმეა. დეე, რომელ ცხოველზედაც სურს იმაზე შეჯდეს და იქადაგოს, რომ ეს უაღრესი სრულყოფაა, მაგრამ, მან თავი უნდა დაანებოს ასეთი იდეების კონტრაბანდით გავრცელებას აგრონომიულ სფეროში, სადაც ის, თავისებურ მნათობს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

მე მგონია, რომ ასეთი სულისკვეთება არაფრად არ ვარგა და მას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს მიზანს შეადგენს სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია და გამოყენება რაც შეიძლება მეტი მანქანებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა დარჩება დაქსაქსული, დაქუცმაცებული და იგი სოციალიზმისაკენ ვერ წავა. ვიდრე მეურნეობაში იქნება თოხი, ხახნისი და სხვა პრიმიტიული საშუალებანი მიწის დამუშავებისა, ვიდრე სოფლად გამეფებული იქნება წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმე დამთავრებულია. ჩვენ უნდა შევაბრუნოთ სოფლის მეურნეობა, უნდა მოვახდინოთ მკაცრი გარდატეხა, და ამის საფუძველი მანქანა და მექანიზაცია გახლავთ. აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. სტალინი:

„ჩვენ ხელახლა შევაიარაღეთ მრეწველობა და [illegible] მას ხელახლა შეიარაღებას, [illegible] ახალ ტეხნიკურ ბაზის"-ო.

საჭიროა სერიოზულად შევუდგეთ სოფლის მეურნეობის შეიარაღებას ახალ ტეხნიკურ ბაზაზე.

შეუძლებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა დაუსრულებლად, ე. ი. მეტად დიდი დროის განმავლობაში ორ სხვადასხვა ფუძეს ემყარებოდეს: უაღრესად მსხვილი და გაერთიანებულ მრეწველობას და დაქსაქსულ, ჩამორჩენილ წვრილ საქონლიან მეურნეობას.

წვრილი გლეხური მეურნეობანი თანდათან უნდა გადავიყვანოთ მსხვილ წარმოების ნიადაგზე, რადგან მხოლოდ განსაზოგადოებული ტიპის მსხვილ წარმოებას შეუძლია გამოიყენოს სავსებით მეცნიერებისა და ახალი ტეხნიკის ყველა მიღწევა და სწრაფი ნაბიჯებით წაიყვანოს წინ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება".

აი როგორია ჩვენი ხაზი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერების ყველა საშუალება. მაგრამ როცა ჩვენ მეცნიერების წარმომადგენლებს მივმართავთ, ჩვენთან მოდიან ისეთი მეცნიერული ძალები, როგორიც არის, მაგალითად, პროფესორი ჯანდიერი. ისინი ცდილობენ უკან დაგვახიონ და არა წინ წაგვიყვანონ.

ცხადია ჩვენ ეს არ შეგვეფერება, მიწადმოქმედების ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი მუშაობის მდგომარეობას, უმთავრესად ახალი საბჭოთა სპეცების მომზადებას, მათ შექმნას მოკლე ხნის განმავლობაში, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მიწის ფრონტი უნდა გავაძლიეროთ კომუნისტებით (ტაში).

კოლექტივიზაციისა და კოოპერაციაში გაერთიანების გზით

ამხანაგებო, რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას, რომლის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. სექტემბრის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ის მოიკოჭლებს, უნდა ითქვას, რომ ის ეხლაც განაგრძობს კოჭლობას.

მართალია უკანასკნელი წლის განმავლობაში ის მეტ მეურნეობას აერთიანებს, თუ 1927 წ. მასში გაერთიანებულ მეურნეობების რაოდენობა 33,9 პროცენტს შეადგენდა, 1928 წ. ეს პროცენტი უკვე 47,4-მდე ავიდა. თუ ავიღებთ წმინდა პროცენტს, ის შეადგენს 29-ს. ეს ციფრი ძალიან მცირეა ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც არის საქართველო. უნდა ვეცადოთ ამ პროცენტის გადიდებას.

რაც შეეხება მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ეს არც იმდენად დამაკმაყოფილებელია. ღარიბ გლეხობას საკმაოთ არ ეძლევა დახმარება. მაგალითად, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ხაზით კოოპერირებულად გაერთიანებულია ღარიბ გლეხთა 5.046 მეურნეობა.

1926—27 წ. წ. ღარიბ გლეხებზე გაცემული კრედიტი 1967 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1927—28 წ. 877-ათას მანეთს, ზოგჯერ კრედიტის მიცემას აჭიანურებენ, ზოგჯერ კი კრედიტის გაცემა ხდება არა დანიშნულებისამებრ.

რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო ბანკის მუშაობას, არ შეიძლება ითქვას, რომ ის სწორად მიმართავდეს კრედიტებს. მაგალითად თუ საშუალო გლეხები 60 პროცენტს შეადგენენ, კრედიტების 60 პროცენტი მათ ეძლევა. ეს უსათუოდ შეცდომაა. ეს არის იმის შეუგნებლობა, რომ ღარიბ გლეხებს მეტი უნდა მიეცეს. საერთოდ, კრედიტების სოციალური განაწილება, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ სწარმოებს.

თუ ავიღებთ კოლექტივიზაციას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, უნდა ვსთქვათ, რომ კოლმეურნეობათა რიცხვი მართლაც არაჩვეულებრივად იზრდება. გასული წლის პირველ მაისისათვის ჩვენ გვქონდა 300-ზე მეტი კოლმეურნეობა, ეხლა უკვე 722 გვაქვს, ამრიგად კოლმეურნეობათა რიცხვი თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოლმეურნეობები ძალიან პატარები არიან, თითქმის ყოველგან ისინი წვრილ-წვრილ მეურნეობებს წარმოადგენენ, მოკლებული არიან სათანადო ტეხნიკას, არ ხდება მათი გაერთიანება, არ ვხედავთ მძლავრ დიდ კოლმეურნეობებს, როგორც ეს არის მეზობელ რესპუბლიკებში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არ ნიშნავს კოლმეურნეობათა რაოდენობის უბრალო გადიდებას, არამედ ეს არის ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მოძრაობის პროცესი მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობისაკენ.

ეს გზა—სოციალიზმისაკენ მოძრაობის გზაა. თუ ჩვენ არ გვექნება ეს თვისობრივი მაჩვენებელი, მაშინ, თავის-თავად ცხადია, კოლექტიური მეურნეობანი არ იქნებიან ისეთი გაერთიანებანი, რომელთაც სოციალისტური გზით მიჰყავს ჩვენი სოფლის მეურნეობა.

მე უნდა აღვნიშნო, რომ კოლმეურნეობათა მდგომარეობა ჩვენში მთლიანად დამაკმაყოფილებელი არაა. არსებობს მრავალი ისეთი კოლმეურნეობა, რომელშიაც მონაწილეობენ კულაკები. არის ისეთი კოლმეურნეობები, რომელნიც ეწყობა საფონდო მიწების მისაღებად. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხელმძღვანელობა სათანადო სიმაღლეზე არა სდგას. მე ვფიქრობ, რომ ვიდრე კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლას შეუდგებოდეთ (და ასეთი მშენებლობა, რასაკვირველია, სასწრაფოდ, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გავშალოთ), საჭიროა სწორი ხელმძღვანელობის მოგვარება. ეს ხელმძღვანელობა განაწილებული უნდა იქნეს. ცენტრს არ შეუძლია ყოველთვის და ყველგან თვალყური ადევნოს კოლმეურნეობათა მუშაობას. ამიტომ ამჟამად, განსაკუთრებით საოლქო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ოლქებში გვყავდეს ხელმძღვანელი ცენტრები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ და ხელმძღვანელობას გაუწევენ კოლმეურნეობათა მოძრაობას. ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადავდგათ.

რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, უნდა ითქვას, რომ არსებული საბჭოთა მეურნეობანი უმრავლეს შემთხვევაში კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. ისინი ჯერ კიდევ ვერ გამხდარან გლეხურ მეურნეობათა ორგანიზატორებად და მაგალითის მიმცემად. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს მათ. საქმის ცუდად დაყენების გამო, საბჭოთა მეურნეობების მოსავლიანობა დაბალია, არც თვითღირებულება შემცირებულა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის მელიორაციის განვითარებას. ამ საქმეში სამი წლის განმავლობაში დაბანდებული იყო ექვსი მილიონი მანეთი. საერთო მოსარწყავი ფართობი, რომელიც მელიორაციულ ინჟინერულ სისტემით სწარმოებს, უდრის 25.250 ჰექტარს. მომატება უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში უდრის 15.900 ჰექტარს. დღის წესრიგში სდგას კოლხეთის დაბლობის ამოშრობა და სამგორის ველის მორწყვა, რომლის შედეგად ჩვენ მივიღებთ დამუშავებისათვის გამოსადეგი მიწის უდიდეს ფართობს.

რაც შეეხება სამელიორაციო ამხანაგობებს, უნდა ითქვას, რომ მათი განვითარება ჯერ კიდევ არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. დღემდე არსებობს მხოლოდ 35 სამელიორაციო ამხანაგობა და ამათაგან ბევრ მათგანში არის კულაკური ელემენტების მოძალება. აქაც ჩვენ ვამჩნევთ სუსტ ხელმძღვანელობას სოფლის კავშირის მხრით.

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი ძირითად ამოცანებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანება და მისი კოლექტივიზაცია. საქართველოში უნდა შემოვიღოთ სამანქანო სატრაქტორო სადგურების სისტემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ბევრ რაიონში. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მივაქციოთ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებისადმი აგროკულტურულ და ტეხნიკურ დახმარების საქმეს, და აგრეთვე კონტრაქტაციას, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის კოოპერირებულად გაერთიანებას და აღორძინებას.

აი ის ამოცანები, რომელნიც სდგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში.

ქართული სოფლის ფენებად დაყოფა

იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს სოფელზე, ჩვენ უნდა შევეხოთ მის დიფერენციაციას. დღემდე ჩვენ არ გვქონდა სოფლის მეურნეობის დიფერენციაციის თუნდაც დაახლოებითი სურათი. ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკი საფუძვლიანად სცდებოდა ამ საკითხში. ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ჩვენი სოფელი მთლიანად ღარიბებისაგან შესდგება. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო, ვინაიდან ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენშიაც ადგილი აქვს სოფლის დიფერენციაციის პროცესს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ არის ჩვენი საყრდენი სოფლად, ე. ი. ვინ არის ღარიბი, ვინ არის ჩვენი მოკავშირე, ე. ი. საშუალო გლეხი და ვინ მტერი, ე. ი. კულაკი, ამის ცოდნა საჭიროა იმისათვის, რომ ვაწარმოოთ სათანადო პოლიტიკა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გავარკვიეთ ამჟამად, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფლის დიფერენციაციის სურათი თითქმის ისეთივეა, როგორიც მთელი საბჭოთა კავშირისა. მე ვფიქრობ, რომ ეს სურათი სწორია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ვინმემ სთქვას, თითქოს ჩვენ დიფერენციაციას თვალის გადავლებით ვაკვირდებით და სხვა.

არ არის საჭირო კუსტარშჩინა, საჭიროა ჩაუკვირდეთ შემოწმებულ ციფრებს, რომლებიც გამომუშავებულია მეცნიერების მიხედვით. ეს ციფრები კი მოწმობენ, რომ ბოლო უნდა მოეღოს დავას იმის შესახებ, თუ ვინ წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას ჩვენს სოფელში. ციფრები ლაპარაკობენ, რომ ჩვენს მიწად-მოქმედებაში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალურ ფიგურას საშუალო გლეხი წარმოადგენს.

მე გამოვაქვეყნებ ამ ციფრებს: მთელ საქართველოში საშუალო გლეხობის მეურნეობანი შეადგენენ 62,9 პროცენტს, მოსახლეობაში საშუალო გლეხობას ეკუთვნის 67,5 პროცენტი, ხოლო მისი შემოსავალი 68,2 პროცენტს უდრის: 32,1 პროცენტს შეადგენენ ღარიბი გლეხები, რომელთაც შემოსავალი 10,1 პროცენტს არ აღემატება, შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფს, მეურნეობათა რიცხვში ეკუთვნის 5 პროცენტი, მისი შემოსავალი შეადგენს 21,6 პროცენტს. აი ეს უკანასკნელნი არიან კულაკები.

ასეთია, ამხანაგებო, სურათი, ამის შემდეგ შეუძლებელია ლაპარაკი ერთიან სოფელზე. საჭიროა ნათელი წარმოდგენა სოფლის ფენებად დანაწილებაზე, იმისათვის, რომ სწორი მუშაობა ვაწარმოოთ სოფლად.

მუშაობა სოფლად

ღარიბ გლეხზე დაყრდნობით, საშუალო გლეხთან კავშირში კულაკის წინააღმდეგ

გადავდივარ სოფლად მუშაობის საკითხზე, ამ დარგში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. 1929 წლ. სოფელი მართლაც ნამდვილ საბჭოთა სოფელს წარმოადგენს. ის უკვე აღარ გავს 1924-25 წლების სოფელსაც კი. ეხლა ვხედავთ პარტიისადმი და კომკავშირისადმი გლეხთა მასების ნდობის ზრდას. თქვენ იცით, როგორი იყო წინად დამოკიდებულება კომკავშირისადმი. „კომსომოლი" თითქმის საგინებელი სიტყვა იყო რამოდენიმე წლის წინად. ეხლა დამოკიდებულება კომკავშირისადმი კარგია. კომკავშირელებმა დაამტკიცეს, რომ ისინი არიან პარტიის საუკეთესო დამხმარეები, ღარიბი და საშუალო გლეხთა მასების მეგობრები. ასე, რომ ამ მხრივ მიღწევები უეჭველია.

ავიღოთ ეხლა სოფლის უჯრედის, სოფლის საბჭოს მდგომარეობა, მუშაობა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის. რანაირ სურათს ვხედავთ აქ? თუ ავიღებთ სოფლის უჯრედს, უნდა ითქვას, რომ ის ხშირად ძალიან ცუდად ხელმძღვანელობს სოფლის სამეურნეო ცხოვრებას. თითქმის არც ერთ უჯრედს არ გადაუდგამს ნაბიჯი სოფლის მეურნეობის განვითარების კოლექტივიზაციის საქმეში. უჯრედის ინიციატივით იშვიათად ეწყობა კოლექტიური მეურნეობა. სწარმოებს ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ, უჯრედები ამ ბრძოლას ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ. სამწუხაროდ ეს ასე როდი არის ყოველთვის. როცა წყალტუბოს უჯრედის მდივანს შევეკითხეთ, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, მან უპასუხა: „წინად ჩვენში კულაკები იყვნენ, მაგრამ ამ ორი წლის მოუსავლიანობის გამო, ყველანი გაღარიბდნენ". (სიცილი).

როცა ჩხარო-წყუში ერთ-ერთ თემკომის მდივანს შევეკითხეთ იმის შესახებ, თუ როგორ მიდის კულაკებთან ბრძოლის საქმე, მან, რომ მასზე არაფერი ცუდი [illegible], გვიპასუხა: კულაკები არ არიან ჩვენშიო. როცა მას ვკითხეთ, თუ როგორ მიდის ინდივიდუალური დაბეგვრის საქმე, მან გვიპასუხა, რომ ინდივიდუალურ დაბეგვრას აქვს ადგილიო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოირკვა, რომ კულაკები იქაც არიან.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლად ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სამეურნეო ცხოვრებას. უნდა შემოიკრიბონ თავის გარშემო ღარიბი გლეხობა და იმუშაონ მათ შორის, მაგრამ ეს ასე არ ხდება, უჯრედების მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს. თუ ავიღებთ მუშაობას ღარიბ გლეხთა შორის, ამას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. ეს საერთო მოვლენაა, რაც თავის დადგენილებაში აღნიშნა აგრეთვე მე-16 პარტკონფერენციამ, რომელმაც საჭიროდ სცნო ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება, ამ მუშაობის დაკავშირება სოფლის საბჭოსთან, უკანასკნელის გარშემო ღარიბთა ჯგუფების შემოკრება, ისე, რომ ყველა საკითხები, რომელიც სოფლის საბჭოში ტარდება, წინასწარ ღარიბთა შორის უნდა იყოს განხილული.

ამჟამად სოფლის საბჭოს გარშემო სწარმოებს კლასობრივი ბრძოლა. კულაკს სურს სოფლის საბჭოს დაპყრობა. ზოგჯერ ის ახერხებს სოფლის საბჭოს იდეოლოგიურად დამორჩილებას, ზოგჯერ მას საბჭოში თავისი ხალხი გაჰყავს.

აი რატომ უნდა გვქონდეს სოფლად დასაყრდენი წერტილი. ეს დასაყრდენია ღარიბი გლეხობა. მე-16 პარტიულმა კონფერენციამ კალინინის მოხსენების შესახებ აღიარა:

„ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესები, კულაკებისა და სოფლის სხვა კაპიტალისტური ელემენტების ექსპლოატაციისაგან დაცვის საქმეში ამხანაგობებისა და საბჭოების წარმატებითი მუშაობის საზომია ის, თუ რამდენათ ხელმძღვანელობენ ისინი სოფლის მეურნეობის აღორძინებას რამდენად აწყობენ ისინი მსხვილ საზოგადოებრივ სასოფლო მეურნეობას და რამდენათ უწევენ წარმოებით დახმარებას ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობას".

ასე, მაგალითად, კახეთისა და ხონის მაზრებში ღარიბი გლეხობის კრება გადაიქცა ღარიბი და საშუალო გლეხობის გაერთიანებულ კრებად. ეს სწორი არ არის. ღარიბი გლეხობა ცალკე უნდა დავრაზმოთ, გავამაგროთ ის, როგორც ორგანიზაციულად შეკავშირებული ძალა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საშუალო გლეხობას უნდა ვერიდოთ, პირიქით, მთელი ჩვენი მუშაობა საშუალო გლეხობასთან შეთანხმებულად უნდა ვაწარმოოთ. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ, როგორც ისეთი პირები, რომელთაც მტკიცე კავშირი აქვთ საშუალო გლეხობასთან. მაგრამ ამასთან ერთად **არ უნდა მივჩქმალოთ სოფლის ღარიბი გლეხობის სახე**. ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექნეს ადგილი, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს გამწვავებულ კლასურ ბრძოლასთან, როდესაც საშუალო გლეხობა მერყეობას იჩენს. საშუალო გლეხობისათვის კულაკობა იბრძვის; აი ასეთი პირობებში ჩვენ გარკვეული და მტკიცე ხაზი უნდა გვქონდეს სოფლის ღარიბი გლეხობის შეკავშირების საქმეში. ისინი უნდა შევაკავშიროთ უფრო უკეთესად, ვინემ ეს იყო აქამდე.

მეტი ყურადღება მოჯამაგირეთა შორის მუშაობას

რაც შეეხება მოჯამაგირეებს, ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ ჩვენ მოჯამაგირეები არა გვყავს ან და ცოტა გვყავსო. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ მოჯამაგირეები ჩვენ აღრიცხული არ გვყავანან. მე ესეც გაჭიანურებად და ბიუროკრატიზმათ მიმაჩნია. მიწატყის კავშირი გვწერს, რომ შეუძლებელი იყო მოჯამაგირეების აღრიცხვის ჩატარება, რადგანაც 1.500 მან. არ გვქონდაო. ალბად, ამით ვისიმე გულის მორბილება უნდოდათ. ნუ თუ კავშირის ცენტრალურ გამგეობას ამ 1.500 მანეთის შოვნა არ შეეძლო, რომ აღრიცხვის ჩატარება მოეხდინა. თუ კი სურვილი იქნებოდა, ამის გაკეთებაც შეიძლებოდა. ბიუროკრატიული პასუხის გაცემით თავის გამართლება შეუძლებელია. რასაკვირველია, არ ვარგა, რომ სახკომსაბჭომ ფული არ გაიღო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ კავშირს შეეძლო რამეს გაკეთება ამ საქმეში, თუ კი მას სურვილი ექნებოდა.

ამრიგათ სწორი აღრიცხვა მოჯამაგირეებისა ჩვენში დღევანდლამდი არ არის ჩატარებული. მაგრამ წინასწარი აღრიცხვის მიხედვით ჩვენში თითქმის 40.000 მოჯამაგირეა. გაერთიანებული არიან თუ არა ისინი კავშირში? ძალიან სუსტად: ამ რიცხვიდან მხოლოდ 10.000 კაცი ირიცხება კავშირში. კახეთის მაზრის შილდის თემში 280 მოჯამაგირეა, მხოლოდ კავშირში კი ამ რიცხვიდან მხოლოდ ორი მოჯამაგირე ირიცხება. 10 თემის 8.315 მოჯამაგირიდან მხოლოდ 300 კაცია კავშირის წევრი.

ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული მოჯამაგირეებისათვის შრომის ხელშეკრულების დადების სფეროში. ხშირია მაგალითი მოჯამაგირეების ექსპლოატაციისა. სპეციალური ყრილობაც იყო მოწვეული, სადაც ლაპარაკი იყო შესახებ იმისა, რომ მართლადაც საჭიროა გარდატეხის მოხდენა მოჯამაგირეების კავშირში და პარტიაში მიღების საქმეში, მაგრამ ამ მხრით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. პარტიული და კომკავშირული ქვედა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის საკითხებს, და ეს იმ დროს, როდესაც მოჯამაგირე სასოფლო სამეურნეო პროლეტარიატს წარმოადგენს, იგი არა თუ ჩვენი დასაყრდენია სოფლებში, არამედ ღვიძლი ძმაა ქალაქის მუშისა. სწორედ ამიტომ ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის საკითხებს.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად

ეხლა ამხანაგებო, მე მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო იმისა, თუ როგორ გამოსახულებას პოულობს სოფლად კლასიური ბრძოლა, როგორ იჩენს იგი თავს და ადგილი აქვს თუ არა ჩვენში იმავე მოვლენებს, როგორიც საბჭოთა კავშირში ხდება, როდესაც ჩუმად და ქურდულად ჰკლავენ ჩვენს მომხრე პირებს—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებს, გლეხკორებს და სხვა. ასეთ მოვლენებს ჩვენშიაც აქვს ადგილი.

მაგალითად, გორის მაზრის ერთ-ერთ სოფელში კულაკმა მოჰკლა და ჩუმად დამარხა კოლექტიური მეურნეობის აქტიური მუშაკი—ღარიბი გლეხი. ამ საქმეს დიდხანს მალავდნენ, მაგრამ იგი შემდეგ გამოაშკარავებულ იქნა.

თუ გადავხედავთ იმას, როგორი დამოკიდებულებაა ღარიბი გლეხობისადმი, დავინახავთ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამბობენ—ღარიბი გლეხობა უქნარი ხალხია, მხოლოდ კოლექტიური მეურნეობა კი „უქნარი და მათხოვარა" ხალხის ორგანიზაციააო. ეს მათხოვრები, თუმცა თავს იყრიან, მაგრამ განა ისინი რაიმეს შექმნას შესძლებენ? ეს მხოლოდ მათხოვრებისგროვა იქნება. აი როგორ დასცინიან ისინი ჩვენს კოლმეურნეობებს. ასეთ შეხედულებებს ხშირად აქვს ადგილი და იგი ჩვენს სამხატვრო ლიტერატურაშიაც კი პოულობს გამოხატულებას. აიღეთ თუნდაც ჯავახიშვილის მოთხრობა მისი „დამპატიჟე". მენშევიკები ხომ ყოველთვის ილაშქრებენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ეს ხალხი პირდაპირ და ფარულად ბრძოლას აწარმოებენ ღარიბთა წინააღმდეგ, კოლმეურნეობათა ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამას წინად „ახალი სოფელი-"ს რედაქციამ მიიღო წერილი ვინმე, მაკრინე სურგულაძისაგან. ეს წერილი იმის დამახასიათებელია, რომ ასეთი განწყობილება არა მარტო მენშევიკ გრიგოლ ლორთქიფანიძის თავში აქვს ადგილი. ლორთქიფანიძე სწერდა, რომ საჭიროა მიწის დენაციონალიზაცია, გაყიდვა, გირავნობა. აღმოჩნდა, რომ ასეთი განწყობილება ზოგიერთ პიროვნებათა შორისაც არსებობს სოფლად, ისეთი პიროვნებათა შორისაც, რომლებიც თავის თავს საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ პირებათ სთვლიან.

ეს მაკრინე სურგულაძე იწერება შემდეგს:

„თქვენი გაზეთი კარგი და ყურადღების ღირსი გაზეთია და ამიტომ მე მინდა თქვენ რამოდენიმე საქმე გაგაცნოთ: პირველი — საბჭოების გადარჩევის საკითხი. არ არის კარგი მთავრობის მხრივ მოსახლეობის 5—6 ჯგუფად დაყოფა. ჩვენ გაზეთში ხშირად არის მოთავსებული ცნობები გადარჩევის შესახებ და იწერება, რომ არჩეული უნდა იქნენ ღარიბნი და რომ ისინი გაყვანილ უნდა იქნენ საბჭოების წევრებად, აღმასკომის თავმჯდომარეებათ, ნოქრებათ, მილიციონერებათო და რომ ყველა ასეთ თანამდებობებზე ისინი ინიშნებოდნენ, რაც, მთავრობის ბრძანებით, სწორედ ასე ხდება. ვინ არიან სოფლად ეს ღარიბნი? ისინი ან ქურდებია, ან ლოთები, ან ქაღალდის და ნარდის მოთამაშენი, ან ზარმაცნი, რომლებსაც არას დროს არ უმუშავნიათ და რომლებიც ზნეობრივად დაცემულნი არიან".

ეს ფრიად დამახასიათებელია. თურმე, როდესაც ჩვენ ღარიბ გლეხს ვირჩევთ, როდესაც ჩვენ იგი საბჭოში, კოოპერაციაში გაგვყავს, ეს კაცი ან არამუშა ყოფილა, ან ქურდი, ან ლოთი, ან ქაღალდის, ნარდის მოთამაშე, ან ზნეობრივად დაცემული პიროვნება. აი როგორ განწყობილებას აქვს ხანდისხან ადგილი. ასეთ განწყობილებათა წინააღმდეგ საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა. ჩვენი კომუნისტური უჯრედები კი ამ ბრძოლას არ აწარმოებენ. ისინი ხშირად ვერ ამჩნევენ, რომ არსებობს კულაკი, რომ ამ კულაკის წინააღმდეგ საჭიროა ჩვენი საზოგადოებრივობის, ჩვენი ღარიბ გლეხობის შეიარაღება, ხშირად ადგილი აქვს აგრეთვე ხაზის გამრუდებას საშუალო გლეხობის მიმართ. ეს ძალიან ცუდია. ვინაიდან საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო გადახრა ტროცკისტებისათვის არის დამახასიათებელი, ჩვენ თუ კულაკის წინააღმდეგ ვიბრძვით—ეს კარგია, მაგრამ ეს ბრძოლა საშუალო გლეხობაზე არ უნდა გავრცელდეს. ჩვენში კი ისე ხდება, რომ არსებობს შეტევა საშუალო გლეხობაზედაც. ეს ჩვენთვის საჭირო არ არის. ჩვენ არ გვჭირია ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობის წინააღმდეგ ილაშქრებს. ასეთი კოლმეურნეობა არ არის კოლმეურნეობა და ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა გასდიონ მხოლოდ რაოდენობას და ილაპარაკონ, რომ მათ მაზრაში ამდენი და ამდენი ასი კოლმეურნეობა არსებობსო. აქ საქმე იმდენად რაოდენობაში კი არ არის, რამდენადაც ხარისხში და იმაში, თუ როგორ არის გატარებული ამ კოლმეურნეობებში პარტიის და საბჭ. ხელისუფლების ხაზი.

შეტევა კლასობრივ მტერზე

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ საჭიროა მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის დარგში ჩვენი საბჭოების, სოფლის უჯრედების მიერ სრული და გადამწყვეტი გარდატეხა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ შევძლოთ სოფლის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ხელმძღვანელობა. ეს ჩვენში ჯერ არ არის საკმაოდ მიღწეული და სწორედ ამიტომ აქვს ადგილი ტლანქ დამახინჯებას. ამას წინად ადგილი ჰქონდა ცოტაოდენ უკმაყოფილებას გურიის სოფელ ლიხაურში. დროგამოშვებით ამხანაგები იტყობინებოდნენ, რომ მათი საქმე აწეწილია. რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს შესწავლილი რაიონები. არ არის ჩატარებული სათანადო განმარტება ამა თუ იმ ღონისძიებების განხორციელებისათვის. მაგალითად, ეხლა ჩვენ კონტრაქტაციას ვატარებთ აბრეშუმის პარკზე და სხვა... ცხადია, თუ გარკვევით არ აუხსნით გლეხობას მის შინაარსსა და მნიშვნელობას, ამ საქმეში მუდამ მერყეობა იქნება. ლაპარაკია ნედლეულზე ფასების მომატებისა და იმის შესახებ, რომ საჭიროა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება და სხვა. ვაწარმოებთ თუ არა ჩვენ რაიმე მუშაობას ამ მიმართულებით?

რომელი მხრიდან მოისმის ასეთი ხმები? ცხადია, ეს არის ჩვენი კლასიური მტერის—მენშევიკების ხმა. არ უნდა დავფაროთ, რომ ანტისაბჭოთა ძალები ჩვენს სოფლებში არსებობენ. კულაკი, ბიუროკრატი, ხუცესი, მენშევიკი და სხვები—ერთ მთლიან ბლოკს ჰქმნიან. ამ ბლოკს ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ ჩვენი ღარიბი და საშუალო გლეხობის ბლოკი პარტიის ხელმძღვანელობით. ამას კი ეხლა ადგილი არა აქვს.

აი ამიტომ აქვს ხანდახან ერთგვარ უკმაყოფილებას ადგილი ოზურგეთის, ახალციხის და სხვა მაზრების სოფლებში. ყოველივე ეს წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ და საქმე ისე დავაყენოთ, რომ ჩვენმა ძირითადმა უჯრედებმა მიღებული დირექტივები არსებითად დაანაწილონ ადგილობრივ. ეს აუცილებლად უნდა გავატაროთ, ვინაიდან ვერავითარი დირექტივა ვერ გვიშველის, თუ მას ადგილობრივ არ ამუშავებენ და არ ასრულებენ. ხშირად კი ისე ხდება, რომ სოფლად მუშაობის შესახებ მიღებული უმნიშვნელოვანესი დირექტივები ვერ აღწევს ძირითად უჯრედამდის, ეს უკანასკნელი მას არ იხილავს, და პრაქტიკულ ღონისძიებებს არ ამუშავებს ამ დირექტივის ცხოვრებაში გასატარებლად.

რომ უხელმძღვანელოთ ზრდის გზაზე შემდგარ ჩვენს სოფელს, სადაც კლასიური ბრძოლა სწარმოებს, ჩვენ უნდა გვყავდეს უჯრედები, მომზადებული პარტიული კადრი, საშუალო და ღარიბი გლეხობის აქტივი და უნდა ვცდილობდეთ მათ გაძლიერებას.

აი ის ამოცანები, რომელნიც ჩვენ წინაშე სდგანან სოფლად მუშაობის სფეროში.

ნაციონალური პოლიტიკის საკითხები

შემდეგი საკითხია:—**ნაციონალური საკითხი. ნაციონალური პოლიტიკა, ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი დარგია.** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ისეთი ფაქტები, რომელნიც გვაიძულებენ ეს საკითხი ხელ-ახლად დავსვათ უფრო დიდი მასშტაბით, ანალიზი გაუკეთოთ იმას, თუ როგორ ტარდება ჩვენში ნაციონალური პოლიტიკა და რა ნაკლი გვქონდა ამ სფეროში.

ჩვენ ამხანაგებო, ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში ლენინის დებულებით ვხელმძღვანელობთ. ეს დებულება გვეუბნება, რომ „მარქსიზმი ვერ ეგუება ნაციონალიზმს, რაც უნდა წმინდა, გამშვენიერებული და დახვეწილი არ იყვეს ის. მარქსიზმი ყოველგვარი ნაციონალიზმის სანაცვლოდ აყენებს ინტერნაციონალიზმს, ყველა ერების გაერთიანებას". ამას ლენინი ჯერ კიდევ 1913 წ. სწერდა და ეს მისი დებულება აბსოლუტურად გამართლებულია ეხლაც, როდესაც ჩვენი პარტია ნაციონალურ პოლიტიკას ახორციელებს დიდი მასშტაბით—მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში, სომხეთსა და ადერბეიჯანში. 1921 წელს როცა შევუდექით ნაციონალური საკითხის გადაჭრას ჩვენს რესპუბლიკებში, ამხ. ლენინმა შემდეგი დირექტივა მოგვცა:

„მხურვალედ მივესალმები კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და იმედს გამოვსთქვამ, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არნახულია ბურჟუაზიის ბატონობის დროს და რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში" (ლენინი, წერილი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტანის და მთიულეთის კომუნისტებს. 1921 წ.).

აი, ამხანაგებო, ასეთ დებულებათა საფუძველზე საქართველოს კომუნისტური პარტია ეროვნულ უმცირესობათა მრავალფეროვნებების რთულ პირობებში ატარებს ამ პოლიტიკას, რომლის დროსაც, რასაკვირველია, შეიძლება ადგილი ჰქონდეს დეფექტებს და შეცდომებს. შეცდომები არის, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ჩვენმა პოლიტიკამ უკვე მოგვცა თავისი შედეგები და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პოლიტიკა სწორია, ინტერნაციონალურია და მის შედეგს წარმოადგენს ეროვნებათა შემჭიდროება მათი სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური აღორძინების საფუძველზე.

აჭარისტანის შესახებ

საჭიროა შევჩერდეთ იმ მომენტებზე, რომელიც ამ მუშაობას ახასიათებს. თუ ავიღებთ აჭარისტანს, ამას წინად, ხულოს მაზრას ზოგიერთ სოფელში ადგილი ჰქონდა გლეხობის უკმაყოფილებას. ამ უკმაყოფილების ლიკვიდაცია სწრაფად მოხდა.

ეს საკითხი ჩვენ განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სწორი ანალიზი გავუკეთეთ ამ საკითხს და სწორად დავსახეთ ამ ანალიზიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნები.

ის მთავარი რამ, რაც გამოსვლების საბაბი შეიქნა, არის რელიგიური ფანატიზმის მომენტები, ხაზის გამრუდება, ადმინისტრატიული ძალდატანება ამ საკითხში, რელიგიასთან ბრძოლა, სასულიერო სკოლების დახურვა, მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შელახვა და სხვ... რასაკვირველია, ამხანაგებო, ჩვენ, როგორც მარქსისტებს, ასეთი საკითხის გადაჭრის დროს უნდა გამოგვეაშკარავებინა ეკონომიური ხასიათის მომენტებიც და აღგვენიშნა, რომ ეკონომიურ მომენტებს უეჭველად ჰქონდა ადგილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეკონომიური მიზეზები წარმოადგენდნენ უკმაყოფილების ძირითად მიზეზს. რომ არ ყოფილიყო რელიგიურ-ყოფაცხოვრებითი მიზეზები, ადგილი არ ექნებოდა ამ გამოსვლებს. იმისათვის, რომ დასკვნამდე მივიდეთ, საჭიროა ამ საკითხის ადგილობრივ შესწავლა და არა ისე ზერელე, ზეპირი, სქოლასტიური ლაპარაკი. ზოგიერთი ასე მსჯელობს—მარქსიზმი გვასწავლის, რომ უწინარეს ყოვლისა, ყველაზე უმალ უნდა გამოიძებნოს ეკონომიური მიზეზები და სხვ. მაგრამ, ამხანაგებო, მარქსიზმი დოგმა არ არის. ეს არის მოძღვრება მოქმედებისათვის და ყოველი მოვლენის შეფასებას უნდა მივუდგეთ კონკრეტულად. ამ საკითხის ადგილობრივ დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ იყო მეტის მეტი ადმინისტრატიული გადახრა ჩვენი აჭარისტანის მუშაკების მხრივ, არასწორი ხელმძღვანელობა, რომელმაც მოგვცა არასასურველი ეფექტი. აჭარისტანის მივიწყებულ, ჩამორჩენილ სოფლებში, სადაც ფესვგადგმული ძლიერი რელიგიური ფანატიზმი, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის სახით დასაყრდენის უქონლობის პირობებში, ჩვენ მოვისურვეთ ერთბაშად ერთი წლის განმავლობაში ფეოდალიზმიდან სოციალიზმში გადახტომა. იქ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა შემდეგი კამპანიები: ჯარზე გაწვევა, საყოველთაო სავალდებულო სწავლება, მედრესების დახურვა, ახალ თურქულ ანბანზე გადასვლა, ჩადრის მოხსნა და სხვადასხვა. ამასთანავე ეს კამპანიები არ ტარდებოდა ისეთი წესით, რომ მათ გარშემო საჭირო ახსნა-განმარტება ეწარმოებინათ. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აჭარისტანის ორგანიზაციებში თვითკრიტიკის საქმე სწორ ნიადაგზე იქნა დაყენებული, აშკარა შეიქნა ყველა ეს ნაკლოვანებანი. არიან ეხლაც ისეთი ამხანაგები, რომლებიც ფრიად [illegible] აცხადებენ, რომ ჩვენ ყოველივე იმ ღონისძიებებს სწორად ვატარებთ მთელი 100 პროცენტითო. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენს დროში ძალიან ძნელია რაიმეს მთელი 100 პროცენტით გატარება. ეხლა რამოდენიმე სიტყვა ნაციონალური პოლიტიკის შესახებ აჭარისტანში.

პირველად ყოვლისა, უნდა გვეზრუნა იმაზე, რათა აჭარელი დაგვეახლოვებინა ხელისუფლებასთან, რომ ის შეგვეყვანა საბჭოებშიაც, კოოპერაციაშიაც, პროფკავშირებშიაც, ერთი სიტყვით—ყველგან და ყველგანაც გაგვეხადა ის მონაწილედ. ამაზე ხომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების ყველა პლენუმზე და ყველა დადგენილებებში იყო ლაპარაკი.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საჭიროა განვთავისუფლდეთ რუსული ველიკოდერჟავნიკული გადახრისაგან, ქართული ველიკოდერჟავნიკული გადახრისაგან, რომ საჭიროა თავაზიანი და მოკრძალებული დამოკიდებულება აჭარლებისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ზოგიერთებს აკლიათ. მე აპრილის პლენუმზე მოვიყვანე მაგალითი იმის შესახებ, რომ როდესაც ლენინს შეეკითხნენ—როგორ უნდა მოიქცნენ ცენტრის წარმომადგენლები განაპირა ქვეყნებში, — პედაგოგებად უნდა იყვნენ ისინი, ძიძად თუ სხვა რამედ, ლენინმა უპასუხა — ისინი უნდა იყვნენ არა პედაგოგებად, არამედ თანაშემწეებად. გვქონდა თუ არა ჩვენ ასეთი მდგომარეობა აჭარისტანში? არა, ეს მთლიად ასე არ ყოფილა. ჩვენ აღმოვაჩინეთ გადახრა, რომელმაც ჩვენს კადრებს არ მისცა ზრდისა და განვითარების საშუალება იმისათვის, რომ ის კადრები დამოუკიდებელ გზას დასდგომოდნენ და მათ [illegible] ლობის წარმოებაშიაც, პროფკავშირებშიაც და სხვა გაერთიანებებშიაც. მე მგონია, რომ ეს ჩვენ მიგვექცია მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება. აჭარისტანის მთავრობას, გარდა ცენტრის მიერ გაღებული სახსრისა, თითონაც მოუპოვია [illegible] სახსარი, რათა მოამზადოს ადგილობრივ აჭარელ მომუშავეთა საჭირო კადრი. იმის მაგივრად, რომ ათეული ათასი მანეთი იხარჯებოდეს ამა თუ იმ ფუფუნების საქმეზე, ეს სახსარი შეიძლებოდა გამოეყენებინა აჭარლების ხელახლა მოსამზადებლად და სპეციალური კურსების გასახსნელად, სადაც იწარმოებდა საბჭოთა მომუშავეების გადამზადება სოფლისა, თემისა და მაზრის მასშტაბით. ყოველივე ეს დღემდე არ ყოფილა, მაშინ როდესაც მრავალი ათასი მანეთი უმიზნოდ მრავალჯერ დახარჯულა.

აი რატომ არის, ამხანაგებო, რომ ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ ყველა ამ მომენტებს და მთელი გულისყური უნდა მივაპყროთ ამ ამოცანებს, რათა ჩვენ აჭარისტანში სერიოზულად დაყენებული ხელმძღვანელობა გვქონდეს, გვყავდეს ადგილობრივ, მასებთან დაახლოებული კადრები, რომ ასეთ გამოსვლებს ადგილი არ ექნეს. როცა, მაგალითად, ეკითხები გლეხს—რაშია საქმე, რატომ მოხდა ასეთი უკმაყოფილება, იგი გიპასუხებს, რომ აქ ეკონომიური მიზეზი არაფერ შუაშია, რომ აქ როლს თამაშობს რელიგიური და ყოფა-ცხოვრების სახეობის მიზეზები. მე მოვიყვან ორ მაგალითს. ერთი აჭარელი გუგუნავა ამბობს შემდეგს:

„მთავრობა თვითონ არის დამნაშავე; მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასე ადვილი არ არის მუსულმანის აიძულონ თავისი სარწმუნოების დავიწყება, ჩადრი და მედრესა—ეს მუსულმანის სახელი და სინდისია. იგი რელიგიისათვის არაფრის წინაშე არ შედრკება. რა უბედობა, რომ თანდათანობით ემოქმედნათ, დრო გაივლიდა და ჩვენი ბავშვები თვითონვე დაივიწყებენ ღმერთს, როცა სხვა ცხოვრება დადგება, ხოლო ჩვენ—მოხუცები გადავიკარგებით [illegible]".

როდესაც ზოგიერთები ამბობენ—აჭარისტანში თითქმის ყველა ქართველები არიანო, ეს სიმართლეს არ შეეფერება. ეროვნების მიხედვით აჭარლები ქართველები არიან, მაგრამ სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანები. თქმა იმისა, რომ აჭარისტანში მთლიანად ქართველ მოსახლეობაა, დიდი შეცდომა იქნებოდა. აი რატომ ამბობენ გლეხები—თითქოს მათ თათრულ ენას ართმევენ. ისინი ჩივიან—რატომ გვიხურავენ სასულიერო სკოლებსო.

როცა ამას ვამბობთ, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თავი უნდა დავანებოთ რელიგიასთან ბრძოლას. მაგრამ, ამხანაგებო, ეს ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ფრთხილად და გონივრად; აქ ადმინისტრატიული მეთოდები საქმეს კი არ გააკეთებს, არამედ გააფუჭებს. სოფელ ქედაში ჩვენ შევეკითხეთ ერთ გლეხს, თუ რატომ მიიღო მან მონაწილეობა გამოსვლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მან გვიპასუხა:

„მე ამას წინად ცოლი შევირთე და ეს ასი მანეთი დამიჯდა. მერე ჩემი ცოლი გაიწვიეს მაზრაში, შემდეგ კიდევ ბათომში. ბოლოს და ბოლოს ვისთვის შევირთე ცოლი—ჩემთვის თუ თქვენთვისო? (სიცილი). ამის გამო მე მზათა ვარ წყალში გადავვარდეო".

ეს იყო გლეხის სასოწარკვეთილება. ჩვენში კი ამას ვერ ითვალისწინებენ. აი რატომ მგონია მე, რომ ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და ცენტრალური კომიტეტი სრულიად სამართლიანად მოიქცა, როცა აღნიშნულ მოვლენას ხაზი გაუსვა და სათანადო გადაწყვეტილება გამოიტანა.

„მკვლევარ" კადიროვის „განსაკუთრებული აზრი"

მაგრამ ჩვენში მოიპოვება ბევრი ისეთი ჭკვამახვილი ხალხი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს პოლიტიკა აჭარისტანისადმი საერთოდ არ არის სწორი. გამოჩნდა ერთი ასეთი გამომკვლევი—ამხ. კადიროვი, რომელმაც მოისურვა ისეთ თემაზე ლაპარაკი, რასაც მის მიერ აფხაზეთში წარმოებულ გამოკვლევასთან არავითარი საერთო არა აქვს. აი რას სწერს ის:

„.... ამხ. კახიანის მოხსენებამ ვერ მოგვცა ის ობიექტიური ანალიზი, რომელიც მას უნდა მოეცა. უკმაყოფილების მიზეზებს აჭარისტანში ამხ. კახიანი ეძებდა არა საქართველოს ცენტრ. კომიტეტის იმ პოლიტიკის ნიადაგზე, რომელსაც ეს უკანასკნელი აჭარისტანში ატარებდა, არა ცენტრალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, არამედ ისეთ მომენტებში, რომელთაც ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, როგორც მაგალითად: ჩადრის მოხსნა, რელიგიასთან ბრძოლა და სხვ.".

აი, ხომ ხედავთ დიდებულ მკვლევარს რომელიც გვეუბნება, რომ აჭარისტანის პირობებში ისეთ საკითხებს, როგორიც არის ჩადრის მოხსნა, რელიგიასთან ბრძოლა,—ყველა ამათ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთო, ეს მისთვის სრულიად უბრალო რამ არის.

შემდეგ იგი სწერს:

„. . . მე არ მსურს განვიხილო მთელი რეზოლუცია აჭარისტანის საკითხის შესახებ პუნქტების მიხედვით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს რეზოლუცია ზერელეა, რომ იგი არ აძლევს სათანადო გაკვეთილებს სხვა ორგანიზაციებს, ვინაიდან არა მარტო აჭარისტანის გლეხობის შორის, არამედ აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთშიც, სადაც არის ჩრდილოეთ-ოსეთისადმი შეერთების მიდრეკილობა, და აგრეთვე იმ სხვა ეროვნებათა შორისაც. რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობენ, როგორიც არიან: თურქები, სომხები, ბერძნები და სხვები,—არსებობს უკმაყოფილება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მათ იმდენ ყურადღებას არ აქცევენ, რამდენსაც ქართველებს".

აი, ამხანაგებო, როდესაც უნდათ ტენდენციურად ასწერონ, როდესაც სურთ როგორმე თაც არ უნდა იყოს, ბრალი დასდონ ცენტრალურ კომიტეტს ყალბი ხაზის გატარებაში ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, საკითხის ამნაირად გაშუქება ყალბად და შემცდარად უნდა ჩაითვალოს. რეზოლუცია, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა, გაკვეთილს იძლევა არა მარტო აჭარისტანისათვის, არამედ საქართველოს ყველა იმ მაზრებისათვის, სადაც ეროვნული უმცირესობა არსებობს. იშვიათად თუ გამოინახება ვინმე ისეთი თამამი, რომელიც იტყვის, რომ ეს რეზოლუცია არ არის პოლიტიკური და ამავე დროს საქმიანი და პარტიული. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეხლა მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს აჭარისტანის მიმართ ცენტრის მიერ შემცდარი პოლიტიკა იყო წარმოებული, ეს მავნებელი და საზიანო მსჯელობაა. ჩვენ ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ნაციონალურ საკითხში სწორი პრაქტიკული მუშაობის გატარებას, აშკარა გარდატეხა უნდა მოვახდინოთ ამ დარგში, ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი კადრების მომზადებას და ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ქართული ველიკოდერჟავნიკური ნაციონალიზმისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ. აი ეს ამოცანა სდგას ჩვენს წინაშე. მე ვფიქრობ, რომ ეს მოვლენა აუცილებლად შესრულებული იქნება ჩვენი ამხანაგების მიერ, რომელნიც გაგზავნილნი არიან იქ სამუშაოდ.

ეხლა ამხანაგებო გადავალ იმ საკითხზე, რომელიც შეიქნა ცენტრალური კომიტეტის ყურადღების საგანი; ეს არის საკითხი აფხაზეთის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის საკითხზე ჩვენ არა ერთხელ შევჩერებულვართ. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ჩვენ ვფიქრობდით, რომ იქ ყველაფერი რიგზეა. რამდენიმე დადგენილებაში სხვადასხვა პლენუმზე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ამა და ამ ადგილას ყველაფერი რიგზე არ არის, რომ ზოგან არ არის სათანადოთ გაშლილი თვითკრიტიკა, სამეურნეო ორგანიზაციები საკმაოთ არ არიან უზრუნველყოფილი კომუნისტებით. სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლად კლასიური ხაზის გატარებისა და სოფლის ფენებად დანაწილების საკითხებს და სხვა. მაგრამ ერთია ამ შეცდომის აღნიშვნა, მათი გამოაშკარავება და მათი გამოსწორება, მხოლოდ მეორეა, ნაკლის დანახვა, ყველაფერში დეფექტების შემჩნევა და ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობის ხელმძღვანელობაზე გადატანა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ამხ. კადიროვმა. გამოკვლევის შემდეგ იგი სწერს:

„.... საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში არ არის გარკვეულობა და სიმტკიცე. ხელმძღვანელობა ყოველთვის კუდში მისდევდა ცხოვრებას, იგი ტარდებოდა მუშაკების ზოგიერთი ჯგუფების განწყობილებათა გავლენის მიხედვით. ხელმძღვანელობა მიმდინარეობდა იმ ხაზით, რომ შეგუებოდნენ აფხაზთა მუშაკების ცალკე ჯგუფების განწყობილებას და მათ მიმართ „მშვიდობიანი პოლიტიკა" ტარდებოდა გარეშე იმის აღრიცხვისა, თუ რა მდგომარეობამდის მიიყვანდა იგი ორგანიზაციას. მე გავეცანი საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კომიტეტის ყველა დადგენილებებს 1923 წლ., ვიდრე 1929 წლამდე, რომელიც აფხაზეთს შეეხებოდა. საშუალება არა მაქვს აქ მოვიყვანო ეს ყველა დადგენილება, მაგრამ შემიძლია ვსთქვა მხოლოდ ის, რომ ყველა ეს დადგენილება ზემოხსენებულ ნათქვამს ამტკიცებს.

ამიტომ მე არ შემიძლია დადებითად შევაფასო საქ. კომპარტიის (ბ) ც. კომიტეტის მუშაობა, მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ცენტრ. კომიტეტთან არსებობს აფხაზეთის კომისია, რომელიც ზოგჯერ აწყობს სხდომებს ამა თუ იმ საკითხების და სხ. ყოველივე ეს დიდი რიგით საკითხებთან შედარებით წვრილმანია. მხოლოდ ძირითადი კი ის არის, რომ არ იყო სისტემატიური, პოლიტიკური ჩამოყალიბებული ხელმძღვანელობა".

როგორც ხედავთ, კადიროვი აცხადებს, რომ მას „არ შეუძლია" დადებითად შეაფასოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა. დახეთ, როგორი ტონია. თითქოს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ კადიროვი ჩამოსძახებს მაღლობიდან (ის კი პატარა მასშტაბის მუშაკია), გაიგოს რაც ხდება აფხაზეთში და თავის კომპეტენტური შეფასება მოგვცეს.

თუ ის ლაპარაკობს 1923—29 წ. წ. განმავლობაში ცეკას ხელმძღვანელობის ღირსებაზე, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველ შემთხვევაში 1923 წლ. 1926 წლამდე ცენტრალური კომიტეტისა და ა.-კავკ. სამხარეო კომიტეტის ყველა დადგენილება აფხაზეთის საკითხის შესახებ გამოტანილი იყო ამხ. ს. ორჯონიკიძის უახლოესი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. შეიძლება ამხ. კადიროვი გამოჩენილი მცოდნეა ნაციონალური პოლიტიკისა და იგი ამხ. ს. ორჯონიკიძეს მიაკუთვნებს იმ პირებს, რომელნიც აფუჩეჩებენ საკითხებს და ყალბად ატარებენ ნაციონალურ პოლიტიკას. ალბათ ამხ. კადიროვმა ეს არ იცოდა. იგა, როგორც იტყვიან, ერთი კარებისაკენ მიდიოდა და მეორეში კი მოხვდა. მთელი პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ თავიდან ბოლომდე მტკიცე და სწორი იყო. იგი ცალკე პირებს კი არ ეგუებოდა, არამედ მიმართული იყო იქითკენ, რომ ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიში გაგვეწია და მაქსიმალურად გაგვეძლიერებია ადგილობრივი ორგანიზაციის თვითმოქმედება.

რასაკვირველია, მე არ ვლაპარაკობ, რომ დეფექტები არ გვქონდა. დეფექტები გვქონდა და დღესაც გვაქვს. დღესაც საკმაოდ არ ტარდება თვითკრიტიკა, საკმაოდ არ სწარმოებს სოფლის ფენებად დაყოფის საკითხის შესწავლა და სხ. აიღეთ თუნდაც ის იარა, რომელიც აღმოჩენილ იქნა აფხაზეთის სახელმწ. პოლიტსამმართველოში. ეს იარა შეიძლებოდა გამოაშკარავებულიყო წინადაც, მაგრამ თავის დროზე არ იქნა გამოაშკარავებული ადგილობრივი ამხანაგების წინააღმდეგობის გამო. ყოველივე ამას აქვს ადგილი და უნდა ვსთქვათ, რომ საჭიროა მომავალში ყურადღება მიექცეს თვითკრიტიკის გაშლას აფხაზეთში, ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუშაობისათვის. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ფენებად დაყოფის საკითხს, ხოლო მკაფიო კლასობრივი ხაზის გატარების მომენტებს და სხ.

ეს აუცილებელია. ამხ. კადიროვს რომ მიეთითებია ყოველივე ამაზე, ჩვენ მას მადლობას ვეტყოდით, მაგრამ მან საჭირო სცნო გაეკრიტიკებია „საერთოდ" ცეკას ხელმძღვანელობა და პოლიტიკა და აქ დაამახინჯა ჭეშმარიტება (ხმები: ვინ არის კადიროვი?).

კადიროვი გამოგზავნილი იყო აზერბეიჯანიდან. ის არის რაიონის მუშაკი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის გამომკვლევ ქვეკომისიაში. ამის შემდეგ მან დაწერა მოხსენება აფხაზეთის შესახებ და გზადაგზა შეეხო ყველა სხვა საკითხს. მან ყურადღება მიაქცია აჭარისტანსაც და სამეგრელოსაც.

სამეგრელოს შესახებ

გადავალ სამეგრელოს საკითხზე, რომელიც წამოყენებულია ამხ. კადიროვის მოხსენებაში. ამხ. კადიროვი სწერს:

„ზუგდიდის მაზრას ოთხი თვის განმავლობაში არც ერთი კაპეიკი კრედიტი არ მიუღია კულტურული კერების მოსაწყობად. არსებული საავადმყოფო აკმაყოფილებს მაზრის მოსახლეობის მოთხოვნილებათა მხოლოდ 3 პროცენტს. მაზრაში არის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი უინტერნატოთ, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა მაზრებში ტეხნიკუმები უზრუნველყოფილნი არიან ინტერნატებით, რომლებშიაც შეუძლიათ იცხოვრონ ღარიბი და მცირეშეძლებულ ოჯახების შვილებმა".

მე არ ვიცი, შეიძლება მაზრის მუშაკებმა განმარტონ ყოველივე ეს. ცხადია, მათ ლაპარაკი ექნებოდათ კადიროვთან ამ თემაზე. კადიროვი ამბობს, რომ სკოლებში ცუდი მდგომარეობაა (ასეა ბევრ სხვა მაზრაშიაც), რომ საავადმყოფოებში ცუდად არის საქმე, რომ ინტერნატები არ არისო. მაგრამ ინტერნატები სხვა მაზრებშიაც ხომ არ არის, და მე არ ვიცი, რატომ უნდა მოხდეს ასე, რომ სინათლე უეჭველად ზუგდიდიდან მოდიოდეს? საავადმყოფო რომ კარგი უნდა გვქონდეს, ეს, რასაკვირველია, უდავოა და ეს საკითხი უკვე გადასწყვიტა საქართველოს სახკომსაბჭომ. მაგრამ რის თქმა სურს ყოველივე ამით კადიროვს? აი, რის თქმა სურს მას:

„არა საკმაო ყურადღებას არ შეიძლებოდა განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, მეგრელ გლეხობაში და ამ მაზრის ხელმძღვანელ მუშაკებში არ გამოეწვია აშკარა ბრძოლა საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ბრძოლა საქართველოს პოლიტიკასთან, რომელიც ტარდება მეგრელი გლეხობით დასახლებულ მაზრაში, კერძოთ ზუგდიდის მაზრაში".

აი, თურმე რაშია საქმე. საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თურმე დიდი უკმაყოფილება არსებობს მოსახლეობის შორის, ხელმძღვანელ მუშაკებს შორისაც კი. მე არ ვიცი, შეიძლება მართლაც არის ასეთი უკმაყოფილება, მაშინ, ვიმედოვნებ, ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები ილაპარაკებენ ამაზე.

მაგრამ ეს არის დოკუმენტი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება ჭეშმარიტებას. მე გამოვიკვლიე რამდენიმე თემი ზუგდიდში და არავითარი უკმაყოფილება გლეხობის მხრივ არ შემიმჩნევია. გლეხები ამბობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ისინი არ შეუერთონ ფოთს. ეს სხვა საქმეა, მაგრამ იმის თქმა, რომ უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი და ისეთ ძლიერს, როგორც ამას აგვიწერს კადიროვი, არ შეეფერება სინამდვილეს. ყოველივე ამის თქმა საჭირო იყო იმისათვის, რათა გამოგვეყვანა დასკვნა იმის შესახებ, რომ არა სწორად იწერება სამეგრელოს პრობლემა. აი რას ამბობს სამეგრელოს პრობლემის საუკეთესო მცოდნე კადიროვი:

„...ჩემ ხელთ არსებულ ცნობების მიხედვით, ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის შორის ქართულ ენაზე დაბეჭდილ გაზეთზე ხელის მომწერთა რიცხვი შეიძლება თითებზე ჩამოვთვალოთ, ვინაიდან გლეხებმა არ იციან, მათ არ ესმით ქართული ენა"-ო.

აი სრული უცოდინარობა იმ საგნის, რომლის შესახებაც სწერ. ქართული გაზეთები ათას ეგზემპლიარობით იყიდება და იკითხება ზუგდიდის მაზრაში.

აი როგორ სწერს ეს ახლად მოვლენილი „ილოვაისკის" მგზავსი ისტორიკოსი.

იყო თუ არა მიღებული ცეკას მიერ დადგენილება ამ საკითხის გარშემო? ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ კადიროვი რევიზორის სახით მოგვევლინებოდა, ჩვენ ცეკას პრეზიდიუმზე მოვისმინეთ ეს საკითხი და იმ მიზნით, რათა ქართული ენის არ მცოდნე გლეხთა ზოგიერთი მასები მივიზიდოთ და ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში, აუცილებლად ვსცანით მთელ რიგი ღონისძიებათა ჩატარება. ჩვენ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართალი ვიყავით. აი რა არის ნათქვამი:

„საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა, საქმის წარმოება სარაიონო, თემის და სოფლის აღმასკომებსა და საბჭოებში ხდებოდეს მეგრულ ენაზე.

სკოლებში სწავლება დატოვებულ იქნას ქართულ ენაზე და მეგრული ენა კი გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე და საგნის ახსნა-განმარტებისათვის საჭირო ენა.

სასამართლოებში საქმის წარმოება, ლაპარაკი, განაჩენები და სხ. წარმოებულ იქნას მეგრულ ენაზე.

საჭიროდ იქნა ცნობილი საიგიტაციო ახსნა-განმარტებითი ხასიათის ფურცლების, ბროშურების გამოცემა, მათში მტკიცე კომუნისტური ხაზისა და სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით.

სამეგრელოს მაზრებში მოსახლეობის შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარება მეგრულ ენაზე.

განსახკომმა უზრუნველჰყოს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარება სათანადო სახელმძღვანელოებით (ლიტერატურით)".

(საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. სამდივნოს 1929 წლის —26 მარტის დადგენილებიდან).

აი ასეთი დადგენილება მიიღეს ჩვენ. ზოგიერთი შეიძლება თანახმა იყვნენ ან არ იყვნენ თანახმა. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი პოლიტიკისათვის, ხოლო მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკას, რომელიც გამოხატულია პარტიის ც.კ. დადგენილებებში. ამ დადგენილებათა შემდეგ ზუგდიდელ ამხანაგების მიერ გამოცემული ინსტრუქცია, რომელსაც რატომღაც ეწოდება—„[illegible]" და არა ინსტრუქცია. გამოცემულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო შინაარსის ფურცლები. ეს ძალიან კარგია. აქ მე ხაზის არავითარ გამრუდებას არ ვხედავ. და ამხანაგები კარგად იქცევიან, როდესაც ხელისუფლების მუშაობას უახლოვებენ და აცნობენ გლეხურ მოსახლეობას. მაგრამ ეს ერთია და ხაზის გამრუდება კი—მეორე. ხაზის გამრუდება არსებობს და შესაძლოა არსებობდეს.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ იქ გამოცოცხლებას იწყებენ „მაფალისტები"—სამეგრელოს ავტონომიის მომხრენი. „მაფალისტები" მუშაობენ და, წარმოიდგინეთ, ისინი ზოგჯერ გავლენას ახდენენ თვით კომუნისტებზე და კომკავშირელებზე.

რომ ეს აზრი ცარიელ სიტყვათ არავის მოეჩვენოს, მე მოვიყვან ერთ დამახასიათებელ დოკუმენტს, რომელიც დაწერილია მეგრელ სტუდენტების მიერ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე; ეს დოკუმენტი ნაციონალურ საკითხს შეეხება. ავტორები სწერენ—ჩვენ არ გვინდა აფხაზეთში ვიცხოვროთ, აფხაზეთი სამეგრელოს რაიონებში სწორ პოლიტიკას არ ატარებს, იქ სურთ აფხაზური ენის შემოღება და სხვ.

მე ერთხელაც არ გამიგონია, რომ გალის მაზრის სკოლებში განზრახული იყოს აფხაზური ენის შემოღება. ეს სისულელეა.

„1. აფხაზეთის პატრიოტები თავის აგენტების მეშვეობით ეწევიან პროპაგანდას სამურზაყანოს მცხოვრებთა შორის, რომ ისინი აფხაზელი არიან და არა მეგრელები.

2. ისინი აწარმოებდნენ და დღესაც აწარმოებენ შეტევას ქართული სკოლების წინააღმდეგ აფხაზეთში და სამურზაყანოში (მთელ სამურზაყანოში სკოლა მხოლოდ ქართულია) იმ მიზნით, რომ იქ აფხაზური ენა შემოიღონ"....

„... ვიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს და აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ—სამურზაყანოელები, წინააღმდეგ პატრიოტული სულით გაჟღენთილი აფხაზელი მოღვაწეების მტკიცებისა, რომელნიც პოლიტიკურ ბატონობას თავისი ნაციონალური მიზნებისათვის იყენებენ, ყოველთვის ვიყავით და დღესაც ვართ მეგრელები, ჩვენ ამას ხელის მომწერი სტუდენტები სამურზაყანოდან და მეგრელები დასახლებული აფხაზეთის სხვა რაიონებიდან, საჭიროთ ვცნობთ:

1) რომ სამურზაყანო შეუერთდეს საქართველოს,

2) ხოლო იმ მეგრელებისათვის, რომელნიც ამის შემდეგ აფხაზეთის ფარგლებში დარჩებიან, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ისინი დაცულ იქნენ ყოველგვარი ცდისაგან, რომელიც მიმართული იქნება მათი გათქვეფისაკენ აფხაზეთის სხვა ეროვნებათა შორის.

თუ საქმეს საღათ მივუდგებით, მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა ნაციონალურ საკითხისა შეიძლება იქნეს მისაღები აფხაზეთში, როგორც აფხაზების, ისე მეგრელების (ქართველების) ეროვნებისათვის"...

ამგვარად, ამხანაგებო, მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ აფხაზეთს გალის მაზრა მოსწყვიტონ. დამახასიათებელია ისიც, რომ ეს ხალხი სწერს სამურზაყანოზე და არა გალის მაზრაზე.

ვისთვის არის საჭირო ასეთი პროპაგანდა? განა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ შედის?

განა გალის მაზრა, ისევე როგორც ზუგდიდის საქართველოს შემადგენლობაში არ არის? მაშ რაღა საჭიროა ასეთი რამეების წერა? — აი რატომ—შემდეგ ისინი სწერენ:

„... ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ სამურზაყანოს ისტორიულ წარსულს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტათი შევე-

(გაგრძელება იხ. მესამე გვერდზე)

ჩრდილო ამ საკითხზე. საშუალო საუკუნოებში აფხაზეთის მთავრის ოჯახის ერთ-ერთი წევრი მურზაყან შერვაშიძე გაიქცა აფხაზეთიდან, ჩამოართვა ოდიშს ეს ქვეყანა, რომლის მფლობელი თვით გახდა. ამის შემდეგ ამ ქვეყანას ეწოდა „სამურზაყანო" (იხ. პროფ. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა, გვ. 284, სამეცნიერო აკადემიის გამოცემა სანქტ-პეტერბურგი 1914 წელი). შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში სამურზაყანოს თავის საკუთარ ტერიტორიად სთვლიდნენ ხან აფხაზეთის და ხან სამეგრელოს მთავრები (იხ. ისტორიული ეთნოგრაფიული მიმოხილვა „გზის მაჩვენებელი სოხუმში" ქ. ლ. მაჭავარიანი, სოხუმი 1913 წელი).

ამ სტუდენტებმა, ალბად, არ იციან ლენინის ანბანი, არ იციან, მაგალითად, როგორია ჩვენი პოლიტიკა სოფლად, ვინ არის ღარიბი გლეხი, საშუალო გლეხი და კულაკი. ამავე დროს, ისინი დიდის ხალისით და კეთილსინდისიერად ეყრდნობიან ცნობებს პროფესორ ყიფშიძის წიგნიდან, რომელიც გამოვიდა 1914 წელს „სანქტ პეტერბურგში".

ზოგიერთი მაჟალისტები კი ეწევიან ამგვარ პროპაგანდას:

„ლენინის ანდერძის თანახმად სამეგრელო ამჟამად უნდა იყოს გამოყოფილი ავტონომიურ რესპუბლიკად, მეგრელებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ლიტერატურა, მაგრამ საქართველოს მთავრობა ავიწროვებს სამეგრელოს ერს და ატარებს ქართველოფილურ პოლიტიკას"-ო.

აი ასეთ სისულელეს ლაპარაკობენ ისინი და ამავე დროს გვარწმუნებენ, რომ სურთ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარება. [illegible] მაზრაში ასეთი ხალხი აგიტაციას ეწევა და ამბობდა, რომ ლენინს უნდოდა სამეგრელო დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს პოლიტიკა ეწინააღმდეგება ამას. ამხანაგებო, ხაზის ასეთ გამრუდებასთან საჭიროა ბრძოლა.

მარქსიზმი ვერ შეურიგდება ნაციონალიზმს

ნაციონალიზმი არის სხვადასხვაგვარი: არის ქართული დიდმპყრობელური ნაციონალიზმი საქართველოში მცხოვრები პატარა ეროვნების მიმართ, მაგრამ არის ნაციონალიზმი აგრეთვე ცალკე რესპუბლიკებში და რაიონებში. ის თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავს იმით, რომ პატარაა, პირიქით, რამდენად უფრო მცირეა ეს ნაციონალიზმი, მით უფრო უბადრუკი და საძაგელია ის. თუ ეხლა ვინმეს სურს შექმნას „დიდი სამეგრელო", რომელსაც თავის დროზე აშენებდა დადიანი ან შერვაშიძე, ან რომელიმე ჯანდაბა და ეშმაკი, ეს უბადრუკი და უსარგებლო ნაციონალისტური ჩხირკედელაობა და სისულელეა. ასეთ განწყობილებებს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ლენინის მოძღვრება, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მარქსიზმი შეუთავსებელია ნაციონალიზმთან, რომ ჩვენ არ უნდა დავუშვათ არავითარი ნაციონალიზმი რანაირ ფორმებშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს ის, ჩვენ არ უნდა დავუშვათ რაიმე გადახვევა ამ მიმართულებით. ვიმეორებ, ეს არის უაღრესად საშიში შოვინისტური ჩხირკედელაობა და სხვა არაფერი (ხმები—მართალია).

ეხლა გადავიდეთ იმაზე, რაც შეეხება ნაციონალიზმს თვით საქართველოში. ქართული დიდმპყრობელობა ჩვენში, რასაკვირველია, არსებობს. ჩვენ არა-ერთხელ გვითქვამს, რომ ქართველ ინტელიგენციაში, ჩვენი ცენტრალური აპარატის მუშაკებს შორის არის ხალხი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს საკუთრივ საქართველოს და დავიწყებულ იქნას 30—35 პროცენტი არაქართული მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს ჩვენში. ინტელიგენციის ასეთი ნაციონალისტური განწყობილებანი ადგილს პოულობენ პარტიის ზოგიერთ მერყევ წევრებს შორის. ეს განწყობილება თავს იჩენს ხოლმე სახსრის განაწილებისა, ბიუჯეტის შედგენისა, სასოფლო-სამეურნეო დარგში გეგმების შემუშავების დროს და სხ. ჩვეულებრივათ ეს პირები თავს იმართლებენ ხოლმე იმით, რომ სათანადო მასალა თითქოს არ მოეპოვებათ და სხ. და სხ.

მაგრამ ამხანაგებო, ეს მხოლოდ მიწერ-მოწერით საქმის თავიდან მოშორებაა და სხვა არაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთები გაჟღენთილია ასეთი ნაციონალისტური სულისკვეთებით. მათ უნდა ვებრძოლოთ, ეს ტენდენციები უნდა ამოვსწვათ როგორც იტყვიან, გახურებული შანთით, ვინაიდან ჩვენ არ გვექნება სწორი პოლიტიკა, თუ სათანადოთ არ იქნება დაყენებული ეროვნულ უმცირესობათა საქმის მოგვარება.

საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ

ჩვენ არა ერთხელ დაგვიყენებია საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, განგვიხილავს ც. კ.-ში, გამოგვიმუშავებია მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სწორი ხაზის ატარება, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს გაუგებრობებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ც. კ-ი ამრუდებს ხაზს. თვითეულმა კეთილსინდისიერმა მუშაკმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა იმას, თუ რა გიგანტიური სამუშაო შეასრულა საქართველოს კომპარტიამ ნაციონალიზმთან და სხვადასხვა გადახრებთან ბრძოლაში, უნდა თქვას, რომ ც. კ.-მა გაატარა სწორი ხაზი.

რასაკვირველია, იყო ზოგადად ხაზის გამრუდება იმ ადგილებში, რომლებიც ზოგჯერ შეიძლება ჩვენს ხელმძღვანელობის გარედ ექცეოდნენ. მაგრამ ეს ერთი საქმეა, ხოლო სულ სხვა საქმეა არა კეთილსინდისიერი კრიტიკა. ასეთი არა კეთილსინდისიერი კრიტიკის ნიმუში არის კადიროვის „გამოკვლევა", რომელიც სწერდა:

„მე მგონია, რომ ქართველმა ამხანაგებმა ცოტათი გადაამლაშეს ამ საკითხში. სხვათა შორის ამის შესახებ მარტო მე არ ვლაპარაკობ, ამის შესახებ ლაპარაკობენ მუშები, არა ქართველი მუშაკები, რომლებიც იყვნენ საქართველოში სამსახურის გამო, ან ზოგჯერ საკუთარი საქმისათვის და სხვ.

მოვიყვან ყოველდღიურ ცხოვრებიდან რამდენიმე ფაქტს.

ავიღოთ საქმის წარმოების საკითხი საქართველოს კურორტებზე, რომლებსაც სრულიად საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, რადგან იქ მიდიან მთელი ჩვენი კავშირის სხვა და სხვა კუთხეების მუშაკები, ვაი იმ არა ქართველ მუშას, რომელიც საქართველოს კურორტებზე მოხვდება. ექიმობის დასრულების და უკან დაბრუნების დროს მას საშუალება არა აქვს მიიღოს თავის ავადმყოფობის ისტორია რუსულ ენაზე. კურორტზე მას ეუბნებიან, რომ აქ საქართველო არის და ჩვენ არ შეგვიძლია სხვა ენაზე წერაო.

მეორე ფაქტი. ტელეგრაფის ბლანკზე ყველა კითხვები დაწერილია ქართულ ენაზე. სრულიად გასაგებია, რომ არა ქართველს, რომელსაც სურს დეპეშის გაგზავნა, შეუძლია შეცდომა დაუშვას და მისამართი ჩასწეროს იმ ხაზში, სადაც „გვარია" ან წინააღმდეგ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მჯდომი მოხელე უბრუნებს მას უკან დაწერილ ბლანკს და უცხადებს, რომ „თუ რუსული არ იცით, შეგიძლიათ იქითკენ წაბძანდეთ, საიდანაც მოსულხართ"-ო. და სხვ. არის თუ არა ეროვნულად განწყობილი ინტელიგენციის ზეგავლენის შედეგი ის, რომ ეხლა ყველა აფიშები იწერება ქართულ ენაზე და იმ ხალხს, სომხებს, თათარს, რუსს, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, არ შეუძლიათ გაიგონ რა მიდის თეატრში ან კინოში".

განა შეიძლება, ამხანაგებო, იმ ცილისწამებამდე და სისულელემდე მიხვიდე, რომ საქართველოში არ არის შესაძლებელი თეატრში ან კინოში შესვლა და წაიკითხოთ აფიშის შინაარსი არა ქართულ ენაზე? იგივე ითქმის ტელეგრაფის და საკურორტო ექიმობის შესახებ. კადიროვის სიტყვით, თურმე არ შეგიძლიათ მიიღოთ ბლანკი და „ვაი იმ არა ქართველ მუშას", რომელიც კურორტზე მოხვდება. ეს, ამხანაგებო, სრულიადაც კომუნისტური სტილი არ არის (ხმები—სწორია; ტაში).

შემდეგ ამხანაგებო, რომ არ მოვიყვანოთ ბევრი ციტატა მეტად არა საინტერესო მწერლის ამხ. კადიროვის მოხსენებიდან მე შევეხები უკანასკნელ ციტატას და ამით გავათავებ.

„მე არ შემიძლია, სწერს კადიროვი, გავიზიარო ისეთი პოლიტიკა ნაციონალური საკითხში, რომელიც საქართველოში ხორციელდება. რადგანაც მე ვფიქრობ, რომ ეს პოლიტიკა შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენციის გავლენით ტარდება"...

აი, თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, როგორის ამპარტავნობით აცხადებს ეს მწერალი, რომ მას „არ შეუძლია" გაიზიაროს ასეთი პოლიტიკა, ნაციონალურ საკითხში. მაშ რას „უნდა დაეთანხმოს" პატივცემული კადიროვი?

განა საქართველოს კომპარტია თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე არ ებრძვის შოვინისტურად განწყობილ ინტელიგენციას? განა ჩვენ არ ვატარებთ სწორ კლასიურ ხაზს? განა კომპარტია არ ახდევინებს ქუდს იმ ინჟინერებს და პროფესორებს, რომელნიც ხელს უშლიან სწორი კლასიური და ნაციონალური პოლიტიკის გატარებას. ამის შემდეგ შემთხვევითი პირების მითქმა-მოთქმისა და ჭორების სინამდვილედ აღიარება და ამის მიხედვით ისტორიის წერა „ილოვაისკისებურათ",—ნიშნავს არა მარტო ცუდ მუშაობას, არამედ ეს ნიშნავს საქართველოს კომპარტიის წინააღმდეგ აშკარად ცილისწამებით აღსავსე დოკუმენტის შედგენას. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მოვალეობაა ნიღაბი ავხადოთ, როგორც აზერბეიჯანის, ისე სომხეთის და საქართველოს კადიროვებს, ყოველგვარად გამხილოთ ყოველნაირი კადიროვშჩინა, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის შუღლსა და უთანხმოებას სთესავს. (ტაში).

ძირითადი ამოცანაა ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება

ჩვენი მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ ამიერ-კავკასიის ფედრაცია როგორც პოლიტიკურად, ისე მეურნეობრივად და კულტურულად. ვიხმაროთ ჩვენზე დამოკიდებული და შესაძლებელი ყოველი ღონე, რომ ვიყოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების საქმეში ჩვენ ვიქნებით სხვა რესპუბლიკებთან—აზერბეიჯანთან და სომხეთთან ერთად, ჩვენ ვიქნებით ამიერ-კავკასიის მოწინავე რაზმის—ბაქოს პროლეტარიატთან ერთად. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ კადიროვის ხმა არ არის ხმა ბაქოს მუშებისა, რომელიც არის მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მოწინავე და წინამძღოლი რაზმი. ბაქოს მუშებთან ერთად ჩვენ ერთის დროშით ვიბრძოლებთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამაგრებისათვის, ხოლო აზერბეიჯანელ, სომეხ და ქართველ კადიროვებს ლაგამს ამოვსდებთ. (ტაში).

მე მგონია, რომ კადიროვის ყოველგვარ ლაყბობაზე საუკეთესო პასუხს წარმოადგენს სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, რომელიც მიღებული იქნა ჩვენი მუშაობის შესახებ წარსული წლის სექტემბერში. სექტემბრის შემდეგ ჩვენ ამ სფეროში თითქოს არაფერი ცუდი არ გაგვიკეთებია; შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზოგი რამ კარგიც გავაკეთეთ. და რეზოლუცია, რომელიც სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა, რასაკვირველია, უფრო დეტალურად ყოველმხრივი გამოკვლევების შემდეგ, ვიდრე ის ზერელე „გამოკვლევა", რაც კადიროვმა მოახდინა, ამბობს შემდეგს:

„ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორით გატარებამ უზრუნველჰყო ერთაშორის შუღლის აღმოფხვრა და ხელი შეუწყო იმ მრავალ ერთა წარმატებით განვითარებას, რომელნიც შედიან საქართველოს ს. ს. რ. შედგენილობაში. კერძოთ ავტონომიური რესპუბლიკების—აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის განვითარებას".

ეს არის, ამხანაგო რეზოლუცია ზემდგომი ორგანოსი, რომელმაც თავისი მსჯავრი გამოიტანა ჩვენი მუშაობის შესახებ, და ამის შემდეგ ციტატები კადიროვის ნაწერებიდან ჩვენ შეგვიძლიან ჩავაბაროთ პროვინციალურ ძველ მუზეუმს, თუნდაც ზუგდიდის მუზეუმს (სიცილი). და ასეთი მუზეუმი იქნება ცუდი გამოგონებით შედგენილ კრებულთა მუზეუმი. ნება მიბოძეთ ამის შემდეგ კადიროვს გამოვეთხოვოთ.

იდეოლოგიური ფრონტი

გადავდივარ იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებულ მუშაობაზე. უნდა აღვნიშნო, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის საკითხები ყოველთვის იპყრობდა საქართველოს კომპარტიის სერიოზულ ყურადღებას. აქ, ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს კლასიური, ნაციონალური და წოდებრივი მომენტების განუზომელ სიჭრელეს. არის თავად-აზნაურთა ინტელიგენციის თვალსაჩინო ფენა, რომელიც, თავის თავად ცხადია, გაჟღენთილია ნაციონალიზმით, ადგილი აქვს კულაკური გავლენის ზრდას, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოში ნაციონალიზმის გაფართოებას. აი რატომ არის, რომ კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ჩვენში ადგილი აქვს ნაციონალიზმის ერთგვარ ზრდასაც.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ინტელიგენცია ჩვენსკენ კიდევ უფრო მეტ მობრუნებას აპირებს. კერძოდ ის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მშრომელი მასების მიერ პოლონელი ფაშისტების წინააღმდეგ გამართულ სტიქიურ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, ადასტურებს, რომ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს გვიჭერს ჩვენ, ეს ინტელიგენცია უთუოდ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არის განწყობილი.

ნაციონალისტური სულისკვეთება ლიტერატურაში

მაგრამ არის ინტელიგენტთა ერთი ფენა, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. შევჩერდეთ ლიტერატურულ მაგალითებზე, კერძოდ მინდა შევეხო მიხეილ ჯავახიშვილს, რადგანაც ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსებმა, მაგალითად ამხ. სუტირინმა, მას ისეთი ატესტატი მისცეს, თითქოს იგი საუკეთესო თანამგზავრი იყოს. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა; ჯავახიშვილი არ არის და არც ყოფილა საუკეთესო თანამგზავრი. ახლა კი უნდა ვიკითხოთ, არის თუ არა იგი, საერთოდ, თანამგზავრი? თანამგზავრი უნდა მიდიოდეს რევოლუციის გზით, თუ მან ამ გზას გადაუხვია, ის, მაშასადამე, თანამგზავრი არ არის. თუ ავიღებთ ჯავახიშვილის ერთ ნაწარმოებს, სადაც იგი კოლმეურნეობას დასცინის, ნათელი გახდება, რომ ამ კაცს რევოლიუციასთან საერთო გზა არა აქვს. ავიღოთ შემდეგ მისი უკანასკნელი ნაწარმოები—„შავი კლდე". აქ ჯავახიშვილი ამბობს:

„დღეს მათ ჩუსტები დააკერონ, ქუჩები მოკირწყლონ, ან მოედანზე გავიდნენ და ჩექმები წმინდონ,—პოეტი მათ საქმეში არ ერევა, მაგრამ, ნურც ისინი შემოიჭრებიან ჩვენ სამფლობელოში თავიანთი ცოცხებით და თავიანთი სადგისებით და ბირდაბირებით. აგრე, განაცვალეთ კალმის წვერში. შეუტიეთ, დასცხეთ, იფრინეთ. ჩუმათ გივი შამდლო, ჩუმათ, თორემ გაგიგებენ და შემდეგ გიფრენენ, ხე-ხე".

ამ ნაწყვეტის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ ამ კაცზე ნათელი მსჯელობა იქონიოთ. ეს არის იმ ადამიანის ფილოსოფია, რომელსაც არ სურს, რომ ლიტერატურაში შეიჭრას „რაზნოჩინეცი", მუშა და გლეხი თავისი შრომის იარაღებით. ის ამბობს, რომ წმინდა ხელოვნებას სადგისთან და ხერხთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს და სხვ.

შემდეგ მოთხრობაში—„წითელი ღილი" იგი სწერს:

„... გონება დიდებული მრჩეველია, მაგრამ მარტო მას არაფერი დიადი არ შეუქმნია, კაცობრიობა ეგვიპტის ტყვეობიდან არ უხსნია, მეშვიდე ცამდე კოლონები არ [illegible] და საქმენი საზღაპრონი მარტო ღმერთებს, მგოსნებსა და ჭაბუკებს ჩაუდენია...

კაცობრიობას მარტო ჭაბუკი იხსნის ტყვეობიდან. ამიტომ ის ჩამორეცხავს საფლავს ობს და დაუბრუნებს დაკარგულ ედემს".

ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ—ვინ არის ეს ჭაბუკი და როგორ უნდა გავიგოთ [illegible]—„დაკარგული სამოთხე".

„ბატონო მიხეილო, მიმართავს თვით გმირი ავტორს—რეპლიკას მაწვდის: ხვალ თუ ზოგ ადამიანი მთვარეზე უნდა აფრინდეს, [illegible] კი უკან გვეწვევა"-ო.

ვუპასუხებ: უკან დიდი სიხარული და ბედნიერება დაგვრჩა, წინ კი კაეშანი და სევდა მოგველის. ასეთია, ჭაბუკო ჩემი რწმენა და გვიანღაა ჩემი შეცვლა".

ცხადია, რომ შადურის სიტყვებით თვითონ ავტორი ლაპარაკობს. „მე ხშირად მგონია, რომ ქართულ ხელოვნებას თავს დასტრიალებს სიკვდილი"-ო, ღაღადებს ჯავახიშვილი.

აი, ამხანაგებო, ეს არის იმ კაცის ფილოსოფია, რომელსაც რევოლიუციასთან საერთო არაფერი აქვს, რომელიც წარსულში სიხარულსა და ბედნიერებას ხედავს, ხოლო წინ—მარტო ოდენ ცრემლებსა და მწუხარებას.

მითხარით, გეთაყვა, როდის შემდეგ გახდა შესაძლებელი ასეთ მწერალს თანამგზავრი ეწოდოს? ეს ადამიანი აშკარად შორდება რევოლუციას, იგი მასთან კავშირს სწყვეტს. როგორ შეუძლია ასეთ მწერალს ხელი შეუწყოს ჩვენი ლიტერატურის შექმნის საქმეს?

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილს აქვს ზოგჯერ გადახრები თანამგზავრობისაკენ, იგი, საერთოდ, მაინც ჩვენთვის მიუღებელ თხზულებებს სწერს. მისი ნაწარმოები იმის გადამღერებას წარმოადგენს, რასაც ჩვენ ვპოულობთ ემიგრანტულ ლიტერატურაში. მისი ნაწარმოები, მაგალითად, არაფრით განსხვავდება ზოგიერთი „თხზულებებიდან" ჟურნალ „კავკასიონის"-ა, რომელიც გამოსცეს 1929 წელს საქართველოდან გადახვეწილმა „დემოკრატიული" საქართველოს ცოცხალ ლეშებმა. ვინმე გელა-ს დაუბეჭდავს ამ ჟურნალში ასეთი ლექსი:

ჩვენი რაზმები

მიყვარს უდაბნო მოწყენილი, კრწანისის ველი,
ირაკლის დიდი მარტოობა, მისი ნაღველი.
ეი, ირაკლი, გეძახიან ჩვენი რიგები—
ერთად ვიაროთ და კრწანისის ვზიდოთ ფიქრები.

მოდი, ირაკლი, ჩვენი რაზმი შენ მოგიწოდებს,
აგირჩევთ სარდლათ, არა მეფედ, ასე იცოდე...
ჩვენ გადავლახავთ ადიდებულ მტკვარსა და რიონს.
ვიწვევთ შავ-ზღვას, გამოვიხმობთ ძლიერ სტიქიონს.
ეი, ირაკლი, ამაყია ჩვენი ხსენება...
ჩვენ საქართველოს გიჟები ვართ, ნუ გეწყინება...

საერთოდ, ჩვენში წესად არის შემოღებული ლექსების წერა ირაკლიზე და მეფე დედოფლებზე. ირაკლებისა და ვახუშტების მოუხსენებლად ვერ სძლებენ. რომ „თეთრი გიორგის" ეს თაყვანისმცემელი ხალხი გიჟია, ეს არავისთვის საეჭვოა (ტაში), რომ ისინი დაკარგული ხალხია, რომელიც ვერასოდეს ვერ იხილავს საქართველოს, როგორც საკუთარ ყურებს, ესეც ეჭვს გარეშეა, მაგრამ ცუდია ის, რომ ასეთი განწყობილებას იზიარებს აქ მწერალთა ზოგიერთი წრეები.

ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ უნდა გავატაროთ მტკიცე კლასიური ხაზი კულტურის საკითხებში და უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ გადახრები გვაქვს. აი რას ამბობს ამხ. სტალინი ნაციონალური და პროლეტარული კულტურის შესახებ:

„ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სავსებით მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ პროლეტარული კულტურა სოციალისტური თავისი შინაარსით, სხვადასხვა ფორმასა და გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხში მათი ენის, ყოფა-ცხოვრების და სხვადასხვაობის მიხედვით. **პროლეტარული თავის შინაარსით, ნაციონალური ფორმით, ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც სოციალიზმი—მიისწრაფის. პროლეტარული კულტურა არ სპობს ეროვნულ კულტურას. იგი იმას შინაარს აძლევს, და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ აუქმებს პროლეტარულ კულტურას, იგი იმას ფორმას აძლევს".**

(სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომ. უნივერსიტეტის სტუდენტების კრებაზე 18 მაისს, 1925 წ.).

და აი მე ვფიქრობ, ეხლა უნდა გავარკვიოთ, რომ ამ საკითხში სერიოზული შეცდომები და გადახრები გვაქვს, ვინაიდან ერთი საქმეა, როცა ჩვენ ამ კულტურას გვინდა მივცეთ პროლეტარული შინაარსი და ამისათვის გამოვიყენოთ ნაციონალური ფორმები და სულ სხვაა, როცა ნაციონალური და კულტურული სახით ჩვენ ყოველგვარ უმსგავსოებას გვაწვდიან.

როცა ნაციონალური კულტურის სახით ხოტბას ასხამენ მეფე-დედოფლებს ყველა ძველი და ახალი ჯურის წმინდანებს და, საერთოდ, ყოველივე ძველს, არა თუ მისაღებია ასეთი კულტურა, არამედ ჩვენ შევებრძოლებით ამ „ნაციონალურ" კულტურას. როცა ნაციონალური კულტურის სახით იგონებენ შენობებისათვის ისეთ სტილს, რომ შენობაში სინათლე არ შეიჭრას და რომ ისინი წააგავდნენ ძველ ციხე-კოშკებს, თითქოს ჩვენ თავდაცვა გვჭირდება ვინმესაგან პროლეტარული ხელისუფლების პირობებში, ჩვენ არა თუ მივიღებთ ასეთ „კულტურას", არამედ ვიბრძოლებთ ამგვარი „ნაციონალური" კულტურის წინააღმდეგ. ჩვენ გვჭირდება ისეთი კულტურა, რომელიც შეიარაღებს პროლეტარიატს და წინ წასწევს მუშების და გლეხების საქმეს.

ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი პოეტი და ხელოვანი, რომ ჩვენ ამ საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. ჩვენ არა თუ ჩავერევით ასეთ საქმეებში, არამედ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ.

პროლეტარული მწერლები უნდა ხელმძღვანელობდნენ ლიტერატურას

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა სასიხარულო მოვლენას. ამიერ-კავკასიის მწერალთა დაახლოებას, მათი კულტურულად დაკავშირებას. და აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქმეს ჩვენ უნდა მივცეთ პროლეტარული შინაარსი, სწორი ხელმძღვანელობა უნდა გავატაროთ. სხვა სიტყვებით მწერალთა ამ კავშირში ხელმძღვანელი მთავარი როლი ჩვენს მწერლებს, პროლეტარულ რაზმს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც არ უნდა იყვეს ა.-კ. პროლეტარული მწერალთა მდგომარეობა, ისინი მაინც იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ უფლება აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ ამიერ-კავკასიის ლიტერატურას.

მე უნდა ვსთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს საქართველოში აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებანი, ისინი მაინც იზრდებიან. ქვეყნის ზრდასთან ერთად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტებზე მიღწევების ზრდასთან ერთად. ამას წინად ბეჭდვითი სიტყვის დღის 5 მაისისათვის პროლეტმწერლებმა გამოსცეს მებრძოლი შინაარსის გაზეთი და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მიღწევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ გაზეთში გაბედული ტონით ისინი ხვდებიან ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მწერლებს, რომელთაც სურთ თავიანთ ნაგავის ნაციონალურ კულტურად გასაღება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პროლეტარულ ლიტერატორებს აქვთ სერიოზული შეცდომებიც. მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გაზეთში ადგილი დაუთმეს ზოგიერთ პირებს ჩვენი მტრების ბანაკიდან. გაზეთში მოხვდა ტროცკისტ რაჟდენ კალაძის წერილი, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონოდეს პროლეტარულ გამოცემათა ფურცლებზე. ეს იყო სერიოზული შეცდომა.

მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარული ლიტერატორები ყველას ერთმანეთში ურევენ: როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე თანამგზავრებს. ეს წარმოადგენს საშიშროებას იმ მხრივ, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს არ შეუძლიათ დაიპყრონ და მიიზიდონ ისინი, რომლებიც მათთან მიდიან. პროლეტარული მწერლების ამოცანაა—შეიქნენ ჰეგემონი, არ მიუდგნენ ყველას ერთი საზომით, არამედ აწარმოონ თვითეულისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მტკიცე ხელმძღვანელობით წაიყვანონ ისინი, ხოლო აბსოლიუტურად არა საიმედონი ჩამოკვეთილი უნდა იქნან ჩვენგან.

ეს შეცდომები დაშვებული იქნა და ისინი უნდა გამოსწორდეს. მხოლოდ მაშინ ახალი კულტურის მატარებელთან ნამდვილი ზრდა კიდევ უფრო ფართოდ იწარმოებს.

თეატრალურ ფრონტზედაც აგრეთვე მოგვეპოვება ზოგიერთი მიღწევები. ჩვენი თეატრალური პიესები, მართალია, თარგმნითია, მაგრამ ესეც მიღწევაა, რომ ჩვენი საუკეთესო საბჭოთა დრამატურგების პიესებს ჩვენ დროულად ვდგამთ ჩვენი საუკეთესო ქართული თეატრების სცენაზე. ასეთი მდგომარეობა გასტანს მანამ, სანამ ჩვენი პროლეტარული ლიტერატორები არ შექმნიან საკუთარ ორიგინალურ პიესებს. ეხლა ჩვენ საბუთი გვაქვს იმედი გამოვსთქვათ, რომ უახლოეს დროისათვის გვექნება საკუთარი პიესები. მთელი რიგი პროლეტარული მწერალთა შეუდგა პიესების წერას (კარლო კალაძე, სამსონიძე, ზომლეთელი). ჩვენი პროლეტმწერლები შეუდგნენ აგრეთვე პროზის და არა მარტო ლექსის წერას. ეს იქნება ნამდვილი წინ წასვლა და ეს ჩვენს პროლეტარულ მწერლებს გახდის ნამდვილ წინამძღოლებად. ჩვენი პარტორგანიზაციები კი ყოველნაირად უნდა დაეხმარონ ამ მწერლებს, რომ მათ უფრო მეტი მიღწევები ექნეთ იდეოლოგიურ ფრონტზე.

სამ წელიწადში უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

შემდეგი საკითხია—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამ საქმეს ჩვენ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება, რადგან ამ მხრით ჩვენ რამდენიმედ ჩამოვრჩით. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ წერა-კითხვის უცოდინარი პოლიტიკის გარეშე სდგას და რომ წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტურ საზოგადოების აშენება შეუძლებელია. ეს სწორია. ჩვენ ვერ შევსძლებთ ელემენტარული საქმის შესრულება კულტურულ დარგში—წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. და ძალიან ნელი ნაბიჯით მივდივართ წინ, რათ მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი საუწყებო ორგანიზაციები, მათ შორის განათლების სახალხო კომისარიატი და პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო სუსტად მუშაობს ამ დარგში.

ისინი ასე მუშაობენ: ადგენენ კალენდარულ გეგმას, აწყობენ თათბირს, ადგენენ რეზოლუციას—მორჩა და გათავდა. თუ ისინი ფიქრობენ, რომ ამით მოსპობენ წერა-კითხვის უცოდინარობას, ნება მომეცით განვაცხადო, რომ ეს სამწუხარო შეცდომაა. ასე შეიძლება ლიკვიდაცია მოახდინო წერა-კითხვის ცოდნის და არა უცოდინარობის (სიცილი).

როცა აგიტპრომმა და პოლიტგანმა წარმოადგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, ჩვენ მათი სქემა დავიწუნეთ იმიტომ, რომ ამ სქემაში ასე ეწერა: 350 ათასი არის წერა-კითხვის უცოდინარი, ჩვენ შეგვიძლია წლიურად წერა-კითხვა ვასწავლოთ 50 ათასს, თუ პროლეტარული სახელმწიფო თანხებს მოგვცემს, ხოლო თუ არ მოგვცემს, იმდენსაც ვერ ვასწავლითო. ამ ხნის განმავლობაში უცოდინარები კიდევ გამრავლდებიან. არავითარი გაუმჯობესება არ მოხდება და ამრიგად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მხოლოდ შვიდი ან უფრო მეტი წლის განმავლობაში თუ იქნება შესაძლებელი.

ამგვარად, როცა ჩვენ შევედით რეკონსტრუქტიულ პერიოდში, ჩვენ მცოდნე ხალხი გვესაჭიროება მუშაობის სულ ყველა დარგში და ამიტომ ჩვენ არას შემთხვევაში არ შეგვიძლია, ასეთი გეგმა მივცეთ. რა დაავიწყდათ ამ საქმეში? დაავიწყდათ ერთი წვრილმანი—პროლეტარული საზოგადოებრიობის არსებობა. ჩვენ გვაქვს ისეთი ბერკეტები, როგორიც, მაგალითად, პროფკავშირები, კომკავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ... საჭირო იყო ამ ბერკეტების ამოქმედება, და როცა საკითხს ასე მიუდგნენ, გამოირკვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შესაძლებელია არა შვიდი, არამედ სამი წლის განმავლობაში, და ამისათვის საჭიროა არა მილიონები, არამედ უფრო ნაკლები. საქართველოს კომპარტიის ცეკამ დაადგინა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს მუშებს შორის ერთ წელიწადში, სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის—2 წელიწადში, ხოლო 3 წელიწადში წერა-კითხვის უცოდინარობა აღმოფხვრილი უნდა იქნას მთელ მოსახლეობაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ საქმეში ჩაბმული იქნება მთელი ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრიობა. მე არ მოვითხოვ, რომ ეს საქმე ჩვენ მოვაშოროთ განათლების სახალხო კომისარიატს, არამედ ვამბობ, რომ პროფკავშირები, კომკავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სტუდენტობა, მწერლობა და ყველანი უნდა ჩაბმულ იქნან ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეში. ჩვენ მაშინ მხოლოდ შევსძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას 3 წლის განმავლობაში, და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ჩვენ მართლაც წერა-კითხვის მცოდნე ქვეყანას წარმოვადგენთ.

წიგნის შესახებ

ეხლა ჩვენი წიგნის მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ უთუოდ გვაქვს მიღწევები. სახელგამმა დიდი მუშაობა გააჩაღა. თუმცა ჯერ ჯერობით ეს მუშაობა უმთავრესად რიცხვობრივად არის დიდი.

თუ შევეხებით მას თვისებრივად, დავინახავთ თითო-ოროლა გამოცემებს, რომლებიც ყოველმხრივ მოსაწონია. მაგალითად, ლენინის თხზულებათა გამოცემა, მართლაც მეტად სასიხარულოა ეს გამოცემა, ეს დიდი გამარჯვებაა კულტურის ფრონტზე, უეჭველ გამარჯვებათ ჩაითვლება აგრეთვე მარქსის გამოცემა ქართულ ენაზე, მაგრამ დანარჩენი მხრით ჩვენ კიდევ ვხედავთ კუსტარშჩინას, წიგნის გავრცელების საქმე ცუდათ არის დაყენებული. ჩვენ კიდევ არ გვაქვს მასიური იაფი წიგნი მუშებისა და გლეხებისათვის. ეს იმით აიხსნება, რომ ამ საქმეში არ არიან ჩაბმული არც პარტია, არც კომკავშირი, არც პროფკავშირები, არც კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ უკანასკნელთ განსაკუთრებით ევალებათ ზრუნვა ამაზე, მათ ეს თავის საქმედ უნდა მიაჩნდეთ. ინიციატივის გარეშე ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივ მუშაობა გამოცოცხლდა, მთელ რიგ რაიონებში, თბილისშიაც და ბათომშიაც. პირველი ნაბიჯი ბათომმა გადადგა, დაიწყო შეჯიბრებები და გამოწვევა ამ დარგში. ყოველივე ეს ძალიან კარგი წამოწყებაა, რის შედეგათაც ჩვენ ვხედავთ, რომ წიგნი თანდათან ვრცელდება სოფელში.

ინიციატივა და თვითმოქმედება ჩვენ აქ გვესაჭიროება ისევე, როგორც ყოველ სხვა დარგში. ეს საქმე არ უნდა კეთდებოდეს კაზიონურად, სახელგამმა უნდა გამოაცოცხლოს მუშაობა. უმთავრესად კი მან მუშაობა უნდა გააცხოველოს ეროვნულ უმცირესობათათვის ლიტერატურის გამოცემის საქმეში. ჩვენ მთელი რიგი დადგენილებები გვაქვს ამ საკითხის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესდა. სახელგამს ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ სომეხი მწერლები ქართულ ენაზედ გადმოეთარგმნა, ვერ მოუხერხებია, რომ მეტი სახელმძღვანელოები გამოეცა სომხურ, თურქულ და სხვა სკოლებისათვის. მიუხედავად მთელ. რიგ მითითებებისა, ამ დარგში ჩვენ ძირითად გარდატეხას ვერ მივაღწიეთ, უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს სახელგამი საჭიროა სცემდეს ლიტერატურას არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ, აგრეთვე იმ ეროვნებათა ენებზედაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. ეს უნდა შეიგნონ სახელგამის ხელმძღვანელებმა და მაშინ ჩვენ შეგვეძლება სრული მადლობა უთხრათ სახელგამს, ხოლო მანამდე კი ჩვენ მადლობას ვეტყვით მხოლოდ კარგისათვის, ხოლო რაც ცუდია, იმას [illegible] ჩაუთვლით.

ანტი - რელიგიური მუშაობა

ამხანაგებო, საკითხი, რომელსაც ეგრეთვე ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ხოლო, ამავე დროს ადგილი აქვს ხაზის გამრუდებას ადმინისტრატიული ბრძანებლობის მხრივ. ჩვენ რელიგიას აღმოვფხვრით მხოლოდ მაშინ, თუ სისტემატიურად ჩავატარებთ სწორ მეცნიერულ მუშაობას და ამ საქმეში ჩავაბამთ საუკეთესო ძალებს. ლენინი რელიგიის შესახებ შემდეგს სწერდა:

„რელიგია არის ოპიუმი ხალხისათვის,—მარქსის ეს გამოთქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მოძღვრებისა რელიგიის საკითხში, ყველა თანამედროვე რელიგიებს და ეკლესიებს, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციებს მარქსიზმი ყოველთვის იხილავს, როგორც ბურჟუაზიული და რეაქციის ორგანოებს, რომელნიც ემსახურებიან ექსპლოატაციის დაცვას და მუშათა კლასის დაბრიყვებას.

და ამავე დროს, ენგელსი, არაერთხელ კიცხავდა იმ ხალხს, რომელსაც სურდა სოციალ-დემოკრატიაზე მეტი „მემარცხენეობის" და „რევოლუციონერობის" გამოჩენა, სურდა შეეტანა მუშათა პარტიის პროგრამაში ათეიზმის პირდაპირი აღიარება, რელიგიისათვის ომის გამოცხადების სახით. 1874 წელს, ენგელსი, როცა ის ლაპარაკობს კომუნის დეზერტირებზე, ბლანკისტების ცნობილ მანიფესტზე, სისულელეს უწოდებს მათ მიერ მყვირალა ფრაზების გამოსროლას და ომის გამოცხადებას რელიგიისათვის. ის ამბობს, რომ ომის გამოცხადება ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ გამოცოცხლებული იქნას ინტერესი რელიგიისადმი და შეფერხდეს რელიგიის ნამდვილი აღმოფხვრა" (ლენინი ტომი მ-II გვ. 251).

ყოველდღიური ცხოვრების ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ადმინისტრატიულ ძალდატანებამ გამოიწვია ის, რომ ეწყობა დების და ძმების საზოგადოებანი რელიგიის დასაცავად, ქართულ ეკლესიებში გამოჩნდნენ მოძღვრალთა გუნდები. მე ვფიქრობ, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირს იმისათვის, რომ სწორად წარიმართოს ბრძოლა, რომ მეტი შედეგი იქნეს მიღწეული, ვინემ ეს იყო დღემდე.

ბეჭდვითი სიტყვა

ეხლა მე მინდა შევეხო ჩვენს ბეჭდვითი სიტყვას. ბეჭდვით სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ეხლა, როცა ჩვენ უნდა დავრაზმოთ და ავღზარდოთ მასები. უნდა ითქვას, რომ ამ დიდ ამოცანას ჩვენი ორგანოები შეძლებისდაგვარად ასრულებენ. მუშგლეხკორთა მოძრაობა იზრდება. საქართველოს მუშგლეხკორთა ყრილობაზე დავინახეთ, რომ მუშების, მოჯამაგირეების და გლეხების დიდი რაოდენობაა ჩაბმული ამ მოძრაობაში. მაგრამ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი გაზეთები დღევანდელი დღის საჭირბოროტო საკითხებს, ჩვენს გადაუდებელ მოთხოვნილებებს არ აყენებენ, ან მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ეს ნაკლი ყოველ მიზეზის გარეშე უნდა გამოსწორდეს. უნდა გამოვიყენოთ კომუნისტების, პროლეტარულ მწერლების ყველა ძალები იმისათვის, რომ ჩვენი ორგანოები გახდნენ ნამდვილ მებრძოლ ორგანოებათ. მართალია ამ დარგში გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

რაც შეეხება „კომუნისტს", ჩვენს ცენტრალურ ორგანოს, მომავალ საბიუჯეტო წლიდან მისი ტირაჟი 40.000 მეტი იქნება, და იგი ყოველგვარ დოტაციის გარეშე გამოვა. საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიაში ეს იქნება ერთად ერთი გაზეთი, რომელიც სახელმწიფოს არც ერთ კაპიკ ფულს არ მოსთხოვს (ტაში).

რადგანაც ახალგაზრდობის თეორეტიული მოთხოვნილება დღიდან დღემდე იზრდება, საჭიროა „ბოლშევიკ"-ის გამოცემა ქართულ ენაზე. მოზარდი ახალგაზრდობა, რომელიც უნივერსიტეტში, სკოლებში და თვითგანვითარების წესით სწავლობს, ვერ ერკვევა მარქსიზმის და ლენინიზმის საკითხებში. საჭიროა ახალგაზრდობის თეორეტიულად შეიარაღება და „საქართველოს ბოლშევიკი"-ს გამოცემა ქართულ ენაზე, რომელმაც უნდა უჩვენოს ახალგაზრდობას სწორი თეორეტიული გზა, რათა ჩვენს მოწინააღმდეგეებს ხელებიდან წავართვათ თეორეტიული ზეგავლენის შესაძლებლობა. ამ ორგანომ ჩვენს მოზარდ თაობას თეორეტიული ცოდნა უნდა მისცეს. ცენტრალურ კომიტეტს უნდა დაევალოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

აი ის მიღწევები და ნაკლოვანებანი, რომელთაც ადგილი აქვს იდეოლოგიურ აღმშენებლობის ფრონტზე.

ანტისაბჭოთა პარტიების მდგომარეობა და მუშაობა

ამხანაგებო, ამ ყრილობაზე ჩვენ არ შეგვიძლია არ შევეხოთ **ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის მდგომარეობას, კერძოთ, მენშევიზმს.** ეს ჩვენში ტრადიციათ გადაიქცა და მე ვფიქრობ, რომ ცუდი არ იქნება თუ არ შევცვლით ამ ტრადიციას და არ დავივიწყებთ მენშევიზმს. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შეინიშნულია მენშევიკური ორგანიზაციების ერთგვარი გამოცოცხლება. თავის არალეგალურ ყრილობაზე, რომელიც მოხდა 1927 წელს გურიაში, მენშევიკებმა დაადგინეს:

„ევროპის სახელმწიფოებს შორის გამოიძებნოს საიმედო მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ, რომ დახმარება გაგვიწიოს იარაღით ან საქმეში დიპლომატიურ ჩარევით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელის შესაწყობად"-ო.

მენშევიკები მოკავშირეებს დაეძებენ

და აი, მათ დაიწყეს მოკავშირეების ძებნა. არ შეიძლება ითქვას, რომ მათი მუშაობა განსაკუთრებული წარმატებით დამთავრდა. ამას წინად მე გადავიკითხე მენშევიკების ლიტერატურა, სადაც ისინი სჩივიან და აგინებენ ირაკლი წერეთელს, რომელიც მათი სიტყვით მხოლოდ მეორე ინტერნაციონალში მუშაობს, დაჰყიალობს და სხვადასხვა რეზოლიუციების შედგენაში ღებულობს მონაწილეობას, რომ მეორე ინტერნაციონალი ყველას ეხმარება, თვით ზანზიბარსაც კი, ხოლო საქართველო „დაჩაგრული" რჩება რუსეთის მიერო. ასე, რომ, მენშევიკების იმედები ამ მიმართულებით გაცრუებული აღმოჩნდა. ერთად ერთი დასაყრდენია ფაშისტური სახელმწიფოები და შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ პოლონეთმა იზეიმა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. იქვე გამოვიდა ვილაც გოლოვკო თუ გოლუეკო, სწორი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ თუ როგორია მისი გვარი და ამას დიდი მნიშვნელობაც არ აქვს, რადგან ამით მისი ცარიელი გოგრა არ შეიცვლება. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ იქ იყო ლაპარაკი საქართველოს ჩამოშორების შესახებ საბჭოთა კავშირიდან.

ჩვენში მოხდა სტიქიური საპროტესტო დემონსტრაციები. ეს თქვენ კარგად იცით. ამან პოლონეთში გამოძახილი ჰპოვა. პოლონეთის ბურჟუაზიამ ეს საკითხი ისე გააშუქა, თითქოს საქართველოში კომუნისტების მიერ იყო დემონსტრაციები მოწყობილი, რომლის მონაწილენი არბევდნენ პოლონეთის საკონსულოს, ესვროდნენ ქვებს პოლონეთის წარმომადგენლების შენობას. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა, ისინი, ვინც მაშინ თბილისში იყვნენ, იციან, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას სწორედ მუშები ღებულობდნენ და ქვებსაც არ ისვროდნენ. მართალია ზოგიერთ დემონსტრანტს თურმე ლაყე კვერცხები დაუშენია საკონსულოსათვის, მაგრამ არ მესმის—რატომ გადაიქცა ლაყე კვერცხები ქვებათ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სტიქიური დემონსტრაცია და მასების გამოსვლა მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელ ინტელიგენციის განწყობილების ერთგვარ შემოწმებას შეადგენდა. ამ სტიქიურ დემონსტრაციებმა ცხადჰყო მთელ საქართველოში, რომ თუ ვინმე გაბედავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას იმისათვის, რომ თავი მოჰკვეთოს ამ ხელისუფლებას, ის თვით დარჩება უთაოდ (ტაში).

უნდა ვსთქვათ, რომ მენშევიკური გეგმა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა იმ მხრით, რომ მენშევიკებს მხარი არავინ დაუჭირა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვქონდა საბუთები, რომლებიც ადასტურებდნენ, თუ რანაირი განზრახვა ასულდგმულებდა მათ. დაპატიმრებულ იქმნენ საზღვარგარეთელი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ემისარები ფირცხალეიშვილი და [illegible], რომლებიც მასალებს აგროვებდნენ წითელი არმიის ნაწილების მდგომარეობისა, ადგილმდებარეობისა და მათი ბრძოლის უნარიანობის შესახებ. სწორედ ეს ამტკიცებს მენშევიკური ორგანიზაციის ჯაშუშობას. ამიტომ საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი ორგანიზაციების სიფხიზლე მენშევიზმის მუშაობის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მენშევიზმს აქა-იქ კიდევ შერჩენია გავლენა.

სეით დევდარიანი ცდილობს მენშევიკების გათეთრებას

ამჟამად, როდესაც კლასობრივი ბრძოლის ერთგვარი გამწვავება არსებობს, ადგილი აქვს მენშევიკური მუშაობის გამოცოცხლების ელემენტებს. ზოგიერთი ამხანაგი საკმაოდ ვერ აფასებს მენშევიკების გავლენას, თუმცა ისეთ რაიონებში, როგორიცაა გურია, მენშევიკური გავლენის ნაშთებს ჯერ კიდევ ვგრძნობთ. მენშევიკები ფიზიკურად ვერ მოისპობოდნენ, მათ ჯერ კიდევ ადგილი აქვთ ბუნებაში და არალეგალურ ორგანიზაციებსაც კი ჰქმნიან. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციების სიფხიზლე ოდნავადაც არ უნდა შენელდეს. არიან ისეთი მენშევიკებიც, რომლებიც ეგუებიან საბჭოთა ხელისუფლებას, რომლებიც რაფინირებულ მენშევიკებს წარმოადგენენ. აიღეთ, მაგალითად, სეით დევდარიანი, ის შემდეგნაირად აგვიწერს მენშევიზმის მდგომარეობას:

„არ სჩანს, რომ პარიზის ორგანო (ლაპარაკია გაზ. „ბრძოლა" I. შესახებ) თანაუგრძნობდეს ინტერვენციის საქმეს. პირიქით—სწერს ავტორი—ჩვენ იქ ვკითხულობთ

„საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია დემოკრატიული გზით და დემოკრატიის მეთაურობით გულისხმობს მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას სოციალისტების ხელმძღვანელობით... ხოლო ბოლშევიკების ლიკვიდაცია არადემოკრატიული გზით, რა სახითაც არ უნდა მოხდეს იგი, აუცილებლად გულისხმობს ძალაუფლების გადასვლას შეძლებული კლასების ხელში, ხალხისა და მასთან ერთად სოციალ-დემოკრატიის უყურადღებოდ დატოვებას".

ეს ორი დებულება: ინტერვენცია იმ ქვეყნების მხრით, სადაც ფაშიზმია გაბატონებული და ბოლშევიზმის ლიკვიდაცია დემოკრატიის მეთაურობით, ლოღიკურად შეუთავსებელია—აცხადებს ს. დევდარიანი. **ასეთი შეუსაბამობა არც კი სჩანს პარიზის ორგანოში. „ზემოთმოყვანილი სტრიქონებით შეუძლებელია ინტერვენციის გამართლება.**

ს. დევდარიანს ეკითხებიან: „მაშ როგორღა გავიგოთ ამას წინად გაზეთებში გამოქვეყნებული ბრალდება სამხედრო მუშაობის შესახებ"-ო. ის გვიპასუხებს:

„ბრალდება მიმართული იყო მთელი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. რადგან არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელები პარიზიდან იყვნენ გამოგზავნილი, რადგან პარიზის ბირო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელია და გამოგზავნილები სამხედრო ცნობებს აგროვებდნენ, ცხადია, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მათ, ვინც იდეურად და ორგანიზაციულად დაკავშირებულნი არიან სოციალ-დემოკრატიასთან. ასეთი იყო ბრალდების დასაბუთება. მე ვფიქრობ, რომ პარიზიდან გამოგზავნილ ხელმძღვანელებს" არ ჰქონდათ მიღებული კონკრეტული დირექტივა სამხედრო ცნობების შეგროვების შესახებ. მე მგონია, ისინი ამ ცნობებს საკუთარი თაოსნობით აგროვებდნენ და საკუთარივე მოსაზრებით მიაწერეს ბოლოში: „თუ შეიძლება ეს ცნობები ფულად გადაიტანეთ"-ო. პარიზის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ პასუხისმგებელ საქმეებისათვის იგზავნებიან უპასუხისმგებლო პირები, საქართველოს ბედი ენდობა ისეთ „პოლიტიკოსებს", რომლებსაც ჯერ-ჯერობით არავითარი პოლიტიკური სკოლა არ გაუვლიათ არავის ხელმძღვანელობით. ისინი მიდიან და იძლევიან საბრალმდებლო მასალას დამნაშავეების და უდანაშაულოების წინააღმდეგ. მათ რომ ათი წელიწადი ემუშავათ, იმდენ ზიანს ვერ მოიტანდნენ, რამდენიც ზიანიც საკუთარი ყოფაქცევით მიაყენეს ყველა მათ, ვისაც ოდესმე ჰქონდა ან ახლა აქვს რაიმე კავშირი სოციალ-დემოკრატიასთან".

ამხანაგებო, სეით დევდარიანის ეს განცხადება ფრიად დამახასიათებელია: ჯერ ერთი, ის უარყოფს, რომ მენშევიკების ცდა მიმართულია ინტერვენციისაკენ; მეორეს მხრივ, მთელი ბრალდება მას გადააქვს მენშევიკების უვარგის ემისრებზე. ის ამბობს, რომ ჟორდანიას დემოკრატიული გზით სურს დაამხოს საბჭოთა ხელისუფლება.

თქვენ იცით, რომ დემოკრატიული გზით ეს არ კეთდება, რომ არსებობს ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან მუშათა კლასის დიქტატურა, რაც შეეხება ქართველ მენშევიკების ჯაშუშობას, სეით დევდარიანი აცხადებს, რომ ამას სჩადიოდნენ უპასუხისმგებლო პირები და პარიზის ბიუროს ედება ბრალი იმაში, რომ ის ასეთ „უპასუხისმგებლო ხალხს" აგზავნის. მაშასადამე, უნდა გამოიგზავნონ ისეთები, რომლებიც საგანგებო კომისიაში კი არ ჩაცვივდებიან, არამედ ნამდვილად შეეცდებიან საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ჩვენ შევეკითხებით ამის შესახებ სეით დევდარიანს, მაგრამ ის კუდს აქნევს და ლაპარაკობს, რომ მას სურს დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ უარს ვამბობთ ასეთ დახმარებაზე და კარგად გვახსოვს, რომ ჩვენ ნიღაბი უნდა ავხადოთ არა მხოლოდ მებრძოლ მენშევიკებს, არამედ ყველა მათ, რომელთაც სურს მიეტმასნონ ჩვენს სისტემას, რომელთაც სწადიათ ფარული სენის სახით შეიჭრნენ საბჭოთა სისტემაში.

ქართველ უკლონისტ-ტროცკისტების შესახებ

ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ და ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მენშევიზმს აქვს ესა თუ ის ნიადაგი საქართველოში და პარტორგანიზაციებს არ უნდა დაავიწყდეს ეს.

მაგრამ, გარდა მენშევიკებისა, რომლებიც მუშაობენ საქართველოში, არა ნაკლებ როლს ასრულებენ **ტროცკისტები.** ისინი უნდა მივაკუთვნოთ ანტისაბჭოთა ელემენტებს: ეს მათ დაიმსახურეს, ისინი უკვე ეკუთვნიან მუშათა კლასის მტრების ბანაკს, ვინაიდან მუშაობენ საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ეს ხალხი წარმოადგენს მენშევიზმის პირდაპირ მოადგილეებს საქართველოში. მენშევიკები ამბობენ: „ჩვენ ჯერ არაფერი გვაქვს გასაკეთებელი, დეე იმუშაონ ტროცკისტებმა, ისინი ამას უკეთ გააკეთებენ, ვიდრე ჩვენ, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ ძველი ნდობა აქვთ"-ო.

და როცა სახელმწიფო პოლიტსამმართველო აწარმოებს მენშევიკურ კომიტეტების „მოხსნას" მაზრებში, მან პარალელურად უნდა „მოხსნას" ტროცკისტული კომიტეტებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში დაპატიმრებულია 6 ტროცკისტული ცენტრი, ხოლო მეშვიდე ცეკა არსებობს, როგორც არალეგალურად მომქმედი.

როგორ მოგწონთ თქვენ ტროცკისტების ასეთი „შეგუება" სინამდვილესთან, მათი გადასვლა არალეგალურ მდგომარეობაზე, იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმუშაონ.

ტროცკისტები საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრები არიან

როგორ პირებს მოუკალათებიათ იქ? უნდა დავასახელოთ მათი გვარები, რომ დავინახოთ რა დალუპულ ხალხს შეუკრებია აქ თავი. მათ შორის მუშაობს ისიდორე თალაკვაძე—ეს არარაობა; აქ არის აგრეთვე ჩახუნაშვილი, ცნობილი ფედერალისტი, რომელიც 25 წელში შემოვიდა პარტიაში, ხოლო 26 წელში კი ჩვენ მიერ გამოგდებული იქნა პარტიიდან.

აი სანამდე მივიდნენ ეს ქართველი უკლონისტები—ტროცკისტები. მათ სახე არ უცვლიათ და არ გაუმჯობესებულან იმით, რომ ტროცკისტული ფერით შეიღებნენ. პირიქით, ისინი უფრო გაუარესდნენ, ეხლა ისინი ქართული მენშევიზმის ყველაზე უფრო ცუდ გამოცემას წარმოადგენენ.

რაში მდგომარეობს ეგრეთ წოდებული მთელი მათი მუშაობა? ისინი ამბობენ, რომ ერთმანეთში უნდა შევაზავოთ ბრძოლის არალეგალური და ლეგალური ფორმებიო, უნდა მოვაწყოთ ჩვენს საწარმოებში გაფიცვებიო.

ისინი სოფლად ყოვლად უსინდისო მუშაობას აწარმოებენ კულაკთან დასაკავშირებლად და ძირს უთხრიან ყოველ ჩვენს ახალ საქმეს, მაგალითად, კონტრაქტაციის ჩატარებას. საკმარისია მოვიყვანოთ გურიის მაგალითი, სადაც ისინი აბრეშუმის პარკზე ფასების აწევას მოითხოვდნენ. აქ ისინი გამოდიან, როგორც ყველაზე უფრო საზიზღარი კონტრ-რევოლიუციონერები, რომელთაც სურთ ჩაშალონ ინდუსტრიალიზაციის საქმე და ამ მიზნით გამუდმებით ნედლეულზე ფასების გადიდებას მოითხოვენ და სხვადასხვა.

იმისათვის, რომ თქვენთვის ნათელი იყოს, თუ რით ცხოვრობს ეს ხალხი, მე თქვენ წაგიკითხავთ მათ უკანასკნელ დირექტივას, რომელიც პარტიის წმენდას ეხება:

„წმენდის დროს უნდა მოითხოვოთ აპარატის გამოცვლა. გავატაროთ შემდეგი ლოზუნგები: ვინც ორი წელიწადი იმუშავა აპარატში, მაგრამ კავშირი გასწყვიტა თავის კლასთან, იგი დაუბრუნდეს დაზგას, ხოლო გახრწნილი პირები, გაბიუროკრატებული ხალხი, რომელნიც მემარჯვენე გადახრას იცავენ, ისინი გაიგზავნონ ციხეში, გადასახლებულ იქნან; ამავე დროს უნდა მოვითხოვოთ, რათა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაზე დაბრუნებულ იქნან გამობრძმედილი ბოლშევიკი-ლენინელები. (ოპოზიცია).

შემდეგ ისინი განაგრძობენ:

„ის კონსპირატიული არალეგალური მუშაობა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ პარტიის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ იგი მიმართულია იმ კონტრ-რევოლიუციონური, ტერმიდორიანული და ბონაპარტისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ დაამხონ მუშათა კლასის დიქტატურა.

გამოვდივართ რა აქედან, ჩვენ უნდა დავისახოთ შემდეგი დებულებები:

1. გამომჟღავნებული ოპოზიციონერები აშკარად გამოდიან. აშკარად გამოდიან აგრეთვე ჩვენთან ახლო მდგომი უპარტიო მუშები. ყოველი გამოსვლა უნდა იყოს მოწყობილი გარდა ცალკე, ზოგიერთი საკითხების შესახებ განცალკევებული გამოსვლებისა, აგრეთვე დაკვრითი კამპანიების დროს (კოლექტიური ხელშეკრულებანი, საბჭოთა არჩევნები, ყრილობებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებანი და სხვა). კრებაზე გამოსასვლელად დანიშნული პირი წინასწარ უნდა მოემზადოს და შეუთანხმდეს თანამოაზრე ამხანაგს და თუ ეს შესაძლებელია, კოლექტივსაც. გამოსვლის წინ დამუშავებული უნდა იქნას მასალა და ან შედგენილი უნდა იქნას გამოსვლის გეგმა (სიტყვის კონსპექტი) პირველ ყოვლისა, საკუთარი წარმოების ცხოვრებიდან) მუშების მატერიალური მდგომარეობა, საწარმოო თათბირების საქმიანობა, „სამკუთხედის" ცხოვრება, მუშათა ყოფა-ცხოვრება და სხვა.), აგრეთვე წინასწარ დამუშავებულ უნდა იქნას კონსპექტი საგაზეთო ლეგალური და არალეგალური დოკუმენტების მასალებიდან. გამოსვლის დროს არ უნდა იქნას აღნიშნული, რომ იგი გამოდის ბოლშევიკ ლენინელების (ოპოზიცია) ფრაქციის სახელით.

2. საერთო კრებებზე გამოსვლასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ პროპაგანდის დაზგასთან, სასადილოებში, კლუბებში და სხვაგან".

ეს მეტად დამახასიათებელია. ამ გაბედულ ვაჟბატონებს სურთ გადატრიალება მოახდინონ „მსოფლიო მასშტაბით", მაგრამ ამავე დროს ისინი მალავენ, რომ ოპოზიციონერები არიან. როგორც ხედავთ, ისინიც ატარებენ მასიურ მუშაობას: დადიან სასადილოებში, დაძვრებიან კლუბებში და უბედობენ ტროცკისტულად, ხოლო ამასთან ერთად გაფიცვების შესახებაც გაიძახიან, რომელიც მათის აზრით გაამაგრებს პროლეტარიატის დიქტატურას. შემდეგ ისინი ლაპარაკობენ საიდუმლო კენჭის ყრაზე თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე ჯერ პარტიის შიგნით, შემდეგ პროფკავშირებში და საბჭოებში. აქ ისინი პირდაპირ მიექანებიან მისტერ ტროცკის ბურჟუაზიულ დემოკრატიამდე. მე ვფიქრობ, რომ ეხლა უკვე ცხადია, თუ ტროცკისტები როგორ ჩაეფლნენ კონტრ-რევოლიუციონურ ჭაობში და როგორ აშკარად გამოდიან, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის აშკარა მტრები. ეს სავსებით ნათელია, განსაკუთრებით ქართველი უკლონისტების—ტროცკისტების მიმართ.

ქართველ უკლონისტ - ტროცკისტების „შეურიგებლობა"

თუ ჩვენ შევეხებით ოპოზიციის მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ბევრი შორდება ოპოზიციას. თქვენ წაიკითხავდით სერებრიაკოვის, პრეობრაჟენსკის და რადეკის განცხადებას, რომელნიც ამბობენ, რომ ტროცკისტული სიზმარი უკვე დასრულდა, რომ თავი უნდა გავანებოთ და კავშირი გავწყვიტოთ კონტრ-რევოლიუციონურ ლაყბობასთან. ბევრი შორდება ოპოზიციას, შეიძლება ითქვას, რომ გარბიან ტროცკიზმისაგან.

მაგრამ ეს არ შეეხება ქართველ უკლონისტ-ტროცკისტების ლიდერებს, ისინი უფრო მტკიცე რაზმს წარმოადგენენ ისევე, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში ქართველი მენშევიკები ყველაზე უფრო მეტი „რევოლიუციონერები" არიან, სწორედ ამასვე ვხედავთ ჩვენ ტროცკიზმის მიმართაც.

ამას წინად „სამარყანდის კოლონიიდან" მოსულ იქნა ნიკოლოზ ოკუჯავას ხელმოწერით ერთი განცხადება. რადეკი და სმილგა, რომელთაც პარტიაში დაბრუნება სურთ, და ეს სავსებით კანონიერი სურვილია, თუ კი მათ საბოლოოთ კავშირი გაწყვიტეს ტროცკიზმთან და გულწრფელად სურთ პარტიაში დაბრუნება, ფიქრობენ, რომ შეიძლება ვინმემ კიდევ მოისუროვოს მათთან შეერთება. სწორედ ამიტომ მათ დასწერეს, რომ ვისაც სურს პარტიაში დაბრუნება, მან სათანადო მოლაპარაკების გამართვის შესახებ თანხმობა უნდა განაცხადოსო. და აი, ამის საპასუხოთ ნიკოლოზ ოკუჯავა სწერს:

„რადეკისა და სმილგას მიერ წამოყენებული დებულებანი არ შეიძლება გახდეს საფუძველი მოლაპარაკების დაწყებისათვის. ჩვენ ამ მოლაპარაკებას ისე ვუყურებთ, როგორც აპარატის მიერ ზევიდან საქმის მოჭახრაკებს კაპიტულიანტებთან, რათა გაძლიერებულ იქნას ბრძოლა მარქსისტ-ლენინური ოპოზიციის გახრწნის მიზნით, რასაც კატეგორიული უარი უნდა განვაცხადოთ".

ხედავთ რას სწერს ნიკოლოზ ოკუჯავა? რას გვეუბნება ყოველივე ეს? ეს გვეუბნება იმას, რომ ქართველი ტროცკისტები, მათი ლიდერები: ოკუჯავა, ცინცაძე და სხვები, როგორც სჩანს, დაკარგულნი არიან პარტიისა და მუშათა კლასისათვის. (ტაში) რომ ეს ასეა, ამას გვიჩვენებს კოტე ცინცაძის წერილი, რომელიც მან ამას წინად ს. ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნა.

დამახასიათებელია, თუ რამდენი ღვარძლით და მედიდურობით სწერს ეს კაცი წერილს ორჯონიკიძის სახელზე, ასეთი სტილით ჩვენ არ გვგონია რომ დასწეროს ნ. რამიშვილმა ან ნ. ჟორდანიამ. ამ წერილში იგი სწერს":

„ლენინური ცენტრ. კომიტეტი—ეს არის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების იმ გააფთრებულ ადამიანთა ჯგუფი, რომელნიც უბედურ შემთხვევათა გარემოების მიზეზით სათავეში მოექცნენ მუშათა მოძრაობას". ამის შემდეგ ცინცაძე სწერს: „მე თქვენ გეკითხებით, რა აზრი აქვს თქვენს განგაშს სისხლისმსმელ ნოსკესა და შეიდემანის შესახებ, რომელთაც როზა ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი მოჰკლეს?..

ნოსკემ და შეიდემანმა ხომ ორი ბელადი მოჰკლა და ისინი იბრძოდნენ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ, თქვენ კი ჰკლავთ და ახრჩობთ რამდენიმე ათეულ ხელმძღვანელს პროლეტარიატისას: ტროცკის, რაკოვსკის, პრეობრაჟენსკის, რადეკს და სხვებს და ბურჟუაზიას აბარებთ უკვე დაპყრობილ ხელისუფლებას, ძირს უთხრით პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც მიღწეული იქნა უჩვეულო მსხვერპლის გაღებით და პროლეტარიატის სისხლის ზღვის დაყენებით: ვის ჩაუდენია ან ჩაიდენს ამაზე უფრო მეტს, მილიონჯერ უფრო მეტ ბოროტმოქმედებას? თქვენ, თუ ნოსკე და შეიდემანი? მე გულწრფელად გეუბნებით თქვენ, მოქალაქე სერგო, რომ ნოსკესა და შეიდემანის დანაშაული რაღაც უმნიშვნელო და უმცირესი დანაშაულია თქვენს დანაშაულთან შედარებით".

აი, ამხანაგებო თეთრგვარდიელთა პირწავარდნილი სტილი. ხედავთ—ის ადარებს ჩვენს ხელისუფლებას სისხლიან ძაღლებს, ნოსკესა და შეიდემანის რეჟიმს. და განა ეს კონტრ-რევოლიუცია არ არის, განა ასეთ ხალხს არ უნდა ვებრძოლოთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა [illegible], განა საქართველოს კომპარტიამ არ უნდა გააძევოს ასეთი ტროცკისტები საქართველოდან? (ტაში).

მე ვფიქრობ, რომ ეხლა, როდესაც ჩვენ გავანადგურეთ ტროცკიზმი, არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი მუშაობა, არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა კონსპირატიულ და არა კონსპირატიულ ტროცკიზმის ყოველგვარ ნაშთებთან, რადგან თქვენ იცით, რომ არიან ტროცკისტები, რომლებიც ჩვენს პარტიაში იმყოფებიან, რომელთაც აქვთ პარტბილეთი. პარტიის წმენდის დროს ჩვენ გავწმინდეთ არა ერთი ათეული ასეთ „კომუნისტებისა". ასეთ ხალხს არ უნდა ჰქონდეს ჯიბეში პარტბილეთი (ტაში).

წითელი არმია, კომკავშირი, ქალთა შორის მუშაობა

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, არ შეგვიძლია არ შევეხოთ ჩვენი **წითელი არმიის** ბრძოლის უნარიანობასაც, არმიის, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო დასაყრდენს, ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს მცველს.

წითელი არმია ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე

ამ უკანასკნელ დროს წითელი არმიის ნაწილთა ცხოვრების კულტურულ-ყოფა-ცხოვრებით პირობების მხრივ ჩვენ მოგვეპოვება მიღწევები. წითელი არმიის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა სავსებით მტკიცეა როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიის წითელდროშოვან არმიაში.

წითელი ყაზარმა ისე უნდა გარდავქმნათ, რომ მას გარს ერტყმოდეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების სიყვარული და გულ-თბილი დამოკიდებულება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ წითელ ჯარს, რომ მოხდეს სრული შეერთება, შეხმატკბილება იმ მუშებისა და გლეხების, რომლებიც გაწვეულნი არიან წითელარმიელთა მაზარებში—ჩვენს მუშებთან და გლეხებთან. მე ვფიქრობ, რომ ეს საჭიროა ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, რადგან თქვენ იცით, რომ მენშევიკები ამას წინად სწერდნენ ყოველგვარ ხულიგნურ აბდა-უბდას და იმედოვნებდნენ, რომ ისინი თანაგრძნობას ჰპოვებდნენ წითელ არმიის ნაწილებში. მათი იმედები, ცხადია, გაუმართლებელი დარჩა. ისინი მოსტყუვდნენ 1924 წელში, ისინი აგრეთვე მოსტყუვდებიან ყოველთვის, ყველა წლებში.

წითელი არმიის ნაწილთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება; მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს გლეხურ განწყობილებებს, არის მათში ტროცკისტული ელემენტებიც, მაგრამ საერთოდ და მთლიანად მდგომარეობა კარგია, პარტიული ხაზი უზრუნველყოფილია და პარტიული ორგანიზაცია იზრდება. კავკასიის წითელდროშოვან არმიის იმ ნაწილთა პარტიული შემადგენლობა, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, საგრძნობლად გაიზარდა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პარტ-ფენი გაიზარდა 40 პროცენტიდან 50,5 პროცენტამდე, მუშური ფენა კი 12,8 პროცენტიდან 17,3 პროცენტამდე.

აი, ასეთია პარტიული შემადგენლობის გაძლიერება. ეს სრულ რწმენას გვაძლევს იმისას, რომ წითელი არმია საჭირო მომენტში შესძლებს ჩვენი საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვას, შესძლებს საბჭოთა საქართველოს შენარჩუნებას და ღირსეულ პასუხს გასცემს გარშემორტყმულ მტრებს (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენს უდიდეს ძალას წარმოადგენს **კომკავშირი,** რომელსაც ჰყავს 90.000-იანი არმია, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე პარტია. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ ყურადღებით ვადევნოთ თვალი იმ პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ კომკავშირში.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა—ჩვენი ა.ლ.კ.კ. ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება, ჩვენი ახალგაზრდა მოზარდი თაობის თეორეტიული მომზადების, იდეური სიმტკიცის გაძლიერება. და აქ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა სწორი ხელმძღვანელობა, არა დაწვრილმანებული მზრუნველობა და ჩარევა კომკავშირის საქმეებში, არა მისი თვითმოქმედების შენელება, არამედ, პირიქით, ხელის შეწყობა ყოველგვარი ინიციატივის და თვითმოქმედების გამოჩენისათვის, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მტკიცე და ურყევ ხელმძღვანელობის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტ-ხელმძღვანელობის დარგში ჩვენ მოგვეპოვებოდა მთელი რიგი ისეთი მოვლენებისა, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონოდათ.

პარტიის ცეკამ ოზურგეთის ორგანიზაციის მიმართ გამოიტანა დადგენილება, რომ მისი ხელმძღვანელობა ა.ლ.კ.კ.-სადმი არ ვარგოდა. იმის მაგიერ, რომ ოზურგეთის პარტიულ კომიტეტს მხარი დაეჭირა საქართველოს ა.ლ.კ.კ.-სათვის, ის მხარს უჭერდა საქართველოს ა.ლ.კ.კ. ადგილობრივ კომიტეტს. ეს არაფრად ვარგა. შეუძლებელია თვითკრიტიკის ამნაირად გაგება. თუ მაღლა მდგომი ორგანო ლაპარაკობს—გააკრიტიკე ჩემი მუშაობაო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატიის წესით შესაძლებელია წარმოგზავნილ იქნეს რეზოლიუციები კომკავშირის ცეკას დადგენილებათა წინააღმდეგ კომკავშირის არა დამაკმაყოფილებელ მუშაობის შესახებ ოზურგეთის მაზრაში. ეს არ არის თვითკრიტიკა. აი რატომ არის საჭირო იერიშის მიტანა ასეთი შეცდომების და ასეთ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ზოგიერთი, თუმცა უფრო მცირე დამახინჯებანი ჩვენ გვქონდა კახეთის ორგანიზაციაშიც. იქ პარტხელმძღვანელებს არ მოეწონათ კომკავშირელთა კრიტიკა, დაიწყეს ნერვიულობა. ეხლა, როდესაც საჭიროა მილიონიან მასების ჩაბმა ჩვენს მუშაობაში, როდესაც უნდა მოწყობილ იქნას ლაშქრობა მოსავლისათვის, სოციალისტური შეჯიბრება და სხვ. ა.ლ.კ.კ. უნდა გააძლიეროს და წასწიოს წინ ასეთი საქმიანობა, პარტიულ ორგანიზაციების დახმარებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში საჭირო არ არის წვრილმანი მზრუნველობა და ჩარევა. საჭიროა საქმიანი, სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წარმოება და მაშინ ა.ლ.კ.კ. სახით ჩვენ გვეყოლება ჩვენი პარტიის ძლიერი თანაშემწე და საუკეთესო რეზერვი.

აი, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ კომკავშირს შემდეგში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. რასაკვირველია კომკავშირს აქვს ერთგვარი შეცდომები იდეოლოგიურ ფრონტზე, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ საერთოდ და მთლიანად კომკავშირი უსათუოდ ჯანსაღი ორგანიზაციაა და მე ვფიქრობ ის არის იმ ნდობის ღირსი, რომლითაც ის სარგებლობს ქალაქად და სოფლად. და თუ ჩვენ განვამტკიცებთ ამ ნდობას, დავეხმარებით კომკავშირს, ის შეასრულებს ჩვენი პარტიის დამხმარეს და რეზერვის როლს. ამაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის ამოცანა კომკავშირთან მუშაობის დარგში.

ფართოდ ჩავაბათ მშენებლობაში ქალები

გადავდივარ რა **ქალთა შორის მუშაობაზე,** უნდა განვაცხადო, რომ იმ პერიოდის მანძილზე, რომელმაც განვლო მეხუთე ყრილობიდან მე-6 ყრილობამდე, გაიზარდა მუშა ქალთა რიგები, რომლებიც მუშაობენ მრეწველობაში. მაგალითად, საფეიქრო, თამბაქოს, ტყავის და სხვ. ამ მოვლენას უნდა მივესალმოთ და შემდეგშიაც უნდა ჩავაბათ ქალები წარმოებაში.

პროფკავშირების მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ მუშა ქალები საკმაოდ ვერ არიან ჩაბმული საწარმოო თათბირების საქმიანობაში, პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანიზაციებში და კულტგანმანათლებელ მუშაობაში. წარმოებაში ქალის შრომის გამოყენებისათვის საჭიროა უფრო მტკიცე კურსი, საჭიროა ქალების მომზადება და მათი კვალიფიკაციის გადიდება, ძირითად მცხოვრებ და ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმა წარმოებაში, რისთვისაც ისინი სპეციალურ კურსებზე უნდა მოვამზადოთ.

არ არის დამაკმაყოფილებელი აგრეთვე ქალების ჩაბმა კოლმეურნეობებში, ხოლო ჩვენი ამოცანაა მოვახდინოთ კოლექტივიზაცია არა მარტო ღარიბ საშუალო გლეხ-მამაკაცებისა, არამედ აგრეთვე ქალებისაც, რასაც ჩვენ თითქმის ვერ ვხედავთ, როცა ჩვენ ვახდენთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, საჭიროა, რომ ამ პროცესში ჩავაბათ ქალიც. მუშაობის ძველი მეთოდები უნდა შეიცვალოს და აი ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება მუშა და გლეხ ქალების დაწინაურების შესახებ.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენ შევსძლოთ ქალების უფრო მეტად ჩაბმა მშენებლობაში? საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა კადრებს. მაგალითად, ძალიან ცუდად მიდის ქალების საპასუხისმგებლო სამუშაოზე წამოყენების საქმე. საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებში არ ხდება ქალების დაწინაურება. არის რაღაც უნდობლობა, შიში, რომ ქალი თავს ვერ გაართმევს მუშაობას, ვერ შესცვლის მამაკაცს და სხვა.

აი ამიტომ საჭიროა ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ მუშაობა ქალთა შორის. ამას მოითხოვს ეხლანდელი მდგომარეობა. ლენინი სწერდა:

„ქალი ოჯახში კვლავ მონად რჩება, მიუხედავად ყველა განმანთავისუფლებელ კანონებისა, ვინაიდან მას აწვება, აღრჩობს, ახლუნგებს, ამცირებს წვრილი ოჯახური მეურნეობა, რომელიც მას აჯაჭვავს სამზარეულოზე და საბავშო ოთახზე; ქალის შრომა იხარჯება ველურობამდე მისულ არასაწარმოო, წვრილმან, გამაღიზიანებელ, დამჩლუნგებელ მუშაობაზე.

ქალის ნამდვილი განთავისუფლება, ნამდვილი კომუნიზმი დაიწყება იქ და მაშინ, სადაც და როცა დაიწყება მასიური ბრძოლა, (სახელმწიფოს სათავეში მდგომი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით) ამ წვრილ ოჯახური მეურნეობის წინააღმდეგ, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, როცა დაიწყება მისი მასიური გარდაქმნა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად" (ლენინი ტომ. 16, გვ. 256—257).

ეს საკითხი დასმული იყო ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ იყო ლაპარაკი ქალის ოჯახური მონობისაგან განთავისუფლების აუცილებლობაზე, ოჯახური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობათ გარდაქმნაზე. ამის მიღწევა შეიძლება მაშინ, როცა ელექტროფიკაციის ელემენტები შევლენ ოჯახურ ცხოვრებაში. მაგალითად, რატომ არ შეიძლება ზაჰესის ენერგიის მასიურად გამოყენება თუნდაც თბილისში იმისათვის, რომ მოხდეს ოჯახური ცხოვრების ელექტროფიკაცია. ეს შეიძლება, მაგრამ ეს საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული. აქაც საჭიროა ინიციატივა. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ბაგების, ბავშთა მოედნების, საზოგადო სასადილოების და სხვ; მოწყობას. ლენინი ამბობდა, რომ სწორედ ეს არის სოციალიზმის ყლორტებიო.

აქცევს თუ არა ჩვენი პრესა საკმაო ყურადღებას ამ საკითხებს? განა შევხვდებით ჩვენს პრესაში ამ საკითხების გაშუქებას? თუნდაც მაგალითად, ავიღოთ „საქართველოს ჩაი"-ს წარმოებები. ამას ჩვენს პრესაში ვერ ვხედავთ, ვერ ვხედავთ კომუნიზმის ამ ყლორტების პროპაგანდას, ხოლო იმისათვის კი, რომ გავამახვილოთ ყურადღება ქალთა შორის მუშაობისადმი, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ეს საკითხები. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ თავის რეზოლიუციაში ჩვენი ანგარიშის შესახებ აღნიშნა, რომ ჩვენი მუშაობა ქალთა შორის ძალიან მოიკოჭლებს. მე დარწმუნებული ვარ, შემდეგში ამ ყრილობიდან რომ წავალთ, ჩვენ გადაჭრით შევუდგებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ამ დირექტივების შესრულებას ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი უფრო მეტი რაოდენობით დაწინაურების შესახებ.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

პარტიული მშენებლობა

[illegible] საკითხზე პარტმშენებლობის შესახებ. პირველ ყოვლისა შევეხოთ ჩვენი ორგანიზაციის მაჩვენებლებს. ჩვენ არა ერთხელ დავაყენეთ საკითხი იმის შესახებ, რომ 1930 წლის ბოლოს დაზგის მუშების და მოჯამაგირეების რიცხვი პარტიაში 50 პროცენტზე ნაკლები არ იქნეს.

პარტორგანიზაციების შემადგენლობის ზრდა და მოწესრიგება

სამეურნეო პირობების განვითარებაში მიღებულ წევრთა საერთო რიცხვიდან მუშებმა შეადგინეს 56 პროცენტი. ეს ძალიან დიდი მიღწევაა.

1928 წელს პარტიაში მუშები შეადგენდნენ 35 პროცენტს. ცხადია, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ პარტიაში დაზგის მუშების და მოჯამაგირეების მიღება. აქაც უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ცუდათ არის დაყენებული მთელ რიგ ჩვენს პარტ-ორგანიზაციებში.

1927 1-ლ ოქტომბრისათვის ორგანიზაციაში ჩვენ გვყავდა 28,900 კომუნისტი. სოციალური მდგომარეობის მიხედვით—მუშები—48,1 პროც., აქედან დაზგის მუშა—37,7 პროცენტი მოჯამაგირეები—1,8 პროც., ეს პროცენტი ძალიან ცოტაა და ეხლა ჩვენ მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტიაში მოჯამაგირეების მიღებას იმისათვის, რომ შევასრულოთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივა.

რაც შეეხება ქალებს, უნდა ითქვას, რომ აქ პროცენტის დაკლებას ვხედავთ. ეს იმას ნიშნავს, რომ შერჩევითი მუშაობა ვერ იყო საკმაოდ განვითარებული. წინად ქალები შეადგენდნენ 6,8 პროცენტს, ეხლა კი გვაქვს 6,6 პროც. ეს აშკარა დაკლებაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი პარტორგანიზაციები ცუდ ხელმძღვანელობას უწევდნენ ამ საქმეს.

პარტიის წმენდა

ამჟამად ჩვენ გვყავს პარტიის 30 ათასზე მეტი წევრი და კანდიდატი. როგორც თქვენ იცით, ახლა სწარმოებს პარტიის წმენდა, რომელიც განთავისუფლებს პარტიას იმ ელემენტებისაგან, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ მასთან. თუ პარტიიდან გავა 4, 5, 6 ათასი სხვადასხვა ბიუროკრატიული ელემენტები და მათ მაგიერ მიღებული იქნება ახალი პროლეტარები და მოჯამაგირეები, ჩვენი პარტია მეტად გაუმჯობესდება თავის შემადგენლობით. ეს რატომ არ უნდა შევასრულოთ ამაზე წმენდის დროს. საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმით, რაც შეხებაზე ამხანაგი ლენინი:

„უნდა გაიწმინდოს პარტია ყოველ და ყველა სახის თაღლითებისა, გაბიუროკრატებულებისაგან, არა კეთილსინდისიერებისაგან, არა მტკიცე კომუნისტებისაგან და მენშევიკებისაგან, რომლებმაც ფასადი ხელახლა შეღებეს, მაგრამ სულით მაინც მენშევიკებად დარჩნენ“-ო.

ახლა, როდესაც ჩვენ ვატარებთ წმენდას, ჩვენი პარტია განთავისუფლდება ყველა თაღლითებისა და ნაციონალისტებისაგან, ყველა და ყოველი ჯურის ავანტიურისტებისაგან, ბიუროკრატებისაგან, არა მტკიცე კომუნისტებისაგან, მენშევიკებისაგან, რომლებმაც ხელახლა შეღებეს თავიანთი ფასადი და საზოგადოთ ყველა იმათგან, რომლებიც პარტიას უკან ეწევიან. ასეთ ელემენტებისაგან, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა განთავისუფლდეს პარტია. მე ვფიქრობ, რომ წინასწარი მუშაობა, რომელიც ჩაატარეს საქართველოს პარტორგანიზაციებმა, თავდებია იმისა, რომ წმენდა დამაკმაყოფილებელ შედეგებს მოგვცემს.

მხოლოდ ასეთი ელემენტებისაგან გაწმენდასთან ერთად ისე უნდა გადაკეთდეს საქმე, რომ ჩვენს პარტიაში მოდიოდნენ ნამდვილი პროლეტარები, პროლეტარული ინტერნაციონალისტები, საუკეთესო მუშები, რომლებიც ქარხნებში და ფაბრიკებში არიან შრომის მოწინავე ენტუზიასტები. სოფლად კი კოლექტივიზაციისათვის თაოსნები და დამცველები. ასეთი ელემენტები უნდა მივიზიდოთ ჩვენს პარტიაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია წმენდას სასურველი შედეგები მოგვიტანოს.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის

ამხანაგებო, პარტწმენდის შემდეგ დაიწყება საბჭოთა აპარატის წმენდა. უნდა ითქვას, რომ თითქოს ჩვენ სულ მთლად მზად არა ვართ საბჭოთა წმენდისათვის, ხოლო საბჭოთა აპარატის წმენდა—ეს მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა.

საბჭოთა აპარატის წმენდა და გაუმჯობესება

საქართველოში ჩვენ უკვე ერთხელ გვქონდა საბჭოთა აპარატის წმენდა. რა შედეგი მოგვცა ამ წმენდამ. აპარატის წმენდის შედეგებმა მოგვიყვანა იქამდე, რომ შემცირდა რესპუბლიკანურ დაწესებულებებში მუშაკთა შემადგენლობაში სოციალურად უცხო ელემენტების პროცენტი 30 პროცენტიდან 19 პროცენტამდე.

მაგრამ ამასთან ერთად არის წარმოუდგენლად დანაგვიანებული აპარატები და ის ასეთებია, რომლებიც ახლოს დგანან მუშათა კლასთან და უშუალოდ ეხებიან გლეხთა ძირითად მასებს. მაგალითად, განსახკომში თურმე დღესაც არიან ყოფ. თავადაზნაურები და სხვა. 26 პროც., მიწსახკომში—24,5 პროც., სოფლის კავშირში—18,2 პროც., სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში—18,2 პროც.

ამავე დროს განსახკომის მუშათა ფენა შეადგენს 4 პროც., მიწსახკომის—4,2 პროც., სოფლის კავშირის—1,8 პროც.

ნუ თუ ჩვენი საქმე ისე წავიდა, რომ ასეთ დაწესებულებების კანცელარიებში, სადაც განსაკუთრებული სპეციალობა საჭირო არ არის, უნდა დავტოვოთ აზნაურები, თავადები, რომლებიც სოფლებიდან გამოაძევეს? ნუ თუ არ შეიძლება მათ ალაგზე დავსვათ პატიოსანი მუშები და მუშა ქალები? რასაკვირველია შეიძლება, მაშასადამე ჩვენ ეს უნდა გავატაროთ. (ტაში).

მე მგონია წმენდასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ზომებს მუშათა უფრო მეტად დაწინაურებისათვის. ჩვენ დავაწინაურებთ ათეულს და ასეულ პროლეტარს, ეს იქნება ნამდვილი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. 1929 წლის ბოლომდე ჩვენ მარტო თბილისში უნდა დავაწინაუროთ 800 კაცი.

ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც ჩვენ შეგვხვდება ამა თუ იმ აპარატში. ასეთი განწყობილების წინააღმდეგ ჩვენ ულმობლად უნდა ვიბრძოლოთ.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ნამდვილი, სასარგებლო ბრძოლა ვაწარმოოთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს ბრძოლა უბრალო დეკლარაცია, ცარიელი სიტყვა არ იყოს, ჩვენ, როგორც რიგია, ისე უნდა დავაჩქაროთ მუშათა დაწინაურების საქმე. (ტაში).

და აი რატომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავწმინდოთ საბჭოთა აპარატი უცხო ელემენტებისაგან. ამ მხრივ მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებაში არის მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ შეცდომებისაგან.

არ უნდა დავუშვათ, რომ ერთი ადგილიდან გამოძევებული უვარგისი პირი სხვა ადგილზე მოეწყოს: მათ უნდა მივსცეთ ისეთი საბუთები, „მგლის ბილეთი“, რომ ისინი არსად არ მიიღონ.

ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა

ეხლა პარტიულ აღმშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, მე უნდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ. თვითკრიტიკა ეს აუცილებელი პირობაა პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების გასაჯანსაღებლად. საჭიროა ყოველი ზომების მიღება მის გასაშლელად, საჭიროა ბრძოლა შეუკვეცელ კრიტიკის განსავითარებლად. თუ კი სადმე ოდნავი სურვილი არის მის შესაზღუდველად, ეს ტენდენცია ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ.

ბიუროკრატიზმის ელემენტები არიან არა მარტო საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში, არამედ პარტიულ კომიტეტებშიაც კი. არის, ამხანაგებო, ისეთი შემთხვევები, როცა კომკავშირელები გამოდიოდნენ თვითკრიტიკის წესით, ლაპარაკობდნენ იმ უწესოებების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მილიციაში. და ამის შემდეგ მათ თავი ამოყვეს მილიციაში. როგორ მოგწონთ თქვენ ასეთი თვითკრიტიკა? თვითკრიტიკისათვის მილიციაში, განა ეს ვარგა. დაიწყებენ თვითკრიტიკას, ამოარჩევენ მუწუკს, მაგრამ ამხანაგები ზომებს არ ღებულობენ, მათ არ უნდათ, რომ ის სამუდამოთ მოჰკვეთონ. თვით კრიტიკის ასეთი გატარება არაფრად არ ვარგა.

თქვენ გეხსომებათ, რომ აღმოაჩინეს მთელი რიგი უმსგავსოებანი ბათუმის ნავსადგურში. ჩვენ მივმართეთ უმაღლეს ზომას დავხვრიტეთ 4 კომუნისტი. ეხლახან აღმოაჩინეს უმსგავსოებანი აფხაზეთის სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოში. ასეთი მუწუკები სხვა ადგილებშიაც არის. ამიტომ საჭიროა ზომების მიღება, საჭიროა თვითკრიტიკის გაშლა. არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც სურთ თვითკრიტიკას რეგლამენტაცია გაუკეთონ, გამოიმუშაონ თეზისები, მუხლები და რაღაც საზღვრები მისთვის. ეს არ ვარგა. თვითკრიტიკა არ უნდა ჩავახშოთ და ჩავაქროთ, არამედ ის უფრო მეტად უნდა გავაღვივოთ და გავაჩაღოთ. რაკი ეხლა ჩვენთვის საჭიროა თვითკრიტიკა როგორც ჰაერი, უნდა შევქმნათ მისთვის ისეთი პირობები, რომ ის ფართოთ გავშალოთ, ამიტომ ამაზე უნდა იმუშაონ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ბრძოლა მემარჯვენე გადახრასა და შემრიგებლობასთან

ეხლა, ამხანაგებო, ნება მომეცით გადავიდე ჩემი მოხსენების უკანასკნელ მუხლზე — **მემარჯვენე გადახრისა და მისდამი შემრიგებელ განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.**

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა წესწყობილების პირობებში მემარჯვენე გადახრა ნიშნავს კომუნისტების ზოგიერთი ნაწილის მისწრაფებას ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევის და ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან დაახლოებისაკენ.

შესაძლებელია თუ არა ასეთი მოვლენა კომუნისტებს შორის?

რასაკვირველია, შესაძლებელია. ამის შესახებ ამხ. ლენინი ამბობს შემდეგს:

„ისტორიამ იცის ყოველგვარი გარდაქმნის მაგალითები: დაყრდნობა რწმენაზე, ერთგულებაზე და სხვა მშვენიერ სულიერ თვისებებზე, პოლიტიკაში სრულიადაც სერიოზული რამ არ არის.

უმშვენიერესი სულიერი თვისებები აქვს მცირეოდენ ხალხს, ხოლო ისტორიულ გამოსავალს სწყვეტენ გიგანტური მასები, რომლებიც, მათთან არ მიდის მცირე-რიცხოვანი ხალხი, ხანდახან ამ მცირე რიცხოვან ხალხს მაინცა და მაინც ზრდილობიანად არ ეპყრობიან“ (ლენინი ტ. 18, ნაწ. 2 გვ. 42, სიტყვა მე-11-ე ყრილობაზე).

მაშასადამე, ლენინი ამბობს, რომ ხდება ყოველგვარი გარდაქმნა და ეს შეიძლება კომუნისტებსაც მოუვიდეს. ამიტომ საკმაო არ არის ერთგულება და სხვა უმშვენიერესი თვისებები, უნდა მოვსთხოვოთ აგრეთვე კომუნისტებს გარკვეული ბოლშევიკური ხაზის გატარება.

ამ მხრივ პარტიის მიერ მიღებული ხაზი, მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ იერიშის გაძლიერების ხაზი—სწორია.

მემარჯვენე გადახრა არის ანტისაბჭოთა შეხედულებების მთელი სისტემა

მემარჯვენე გადახრის დახასიათება ცნობილია: ამიერ-კავკასიის პირობებში განა შესაძლებელია სხვაგვარი განსაზღვრა? მე ვფიქრობ, რომ არა. ზოგიერთი ამხანაგი ისე ლაპარაკობს და პარტორგანიზაციისა ზოგიერთ რეზოლიუციაში ისეთი აზრია გატარებული თითქოს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდეს. ეს, რასაკვირველია, სწორი არ არის. ნაციონალიზმი არის მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთი გამოხატულებათაგანი, მისი ერთ-ერთი შტო. მემარჯვენე გადახრა ბევრად ფართოა: ეს ანტილენინურ შეხედულებათა მთელი სისტემაა. ამის გამო ჩვენ უნდა შევიარაღდეთ მის დასაძლევად. მემარჯვენე გადახრა ეს ისეთი გადახრაა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის ყველა სფეროში: ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევისა, თვით კრიტიკის გაშლა-განვითარების და სხვა სფეროებში. და როდესაც ამხანაგები ამბობენ, რომ საქართველოში ჩვენ არა გვაქვს მემარჯვენე გადახრა, მათ ამით სურთ მიჩქმალონ ეს საკითხი. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს, რომელიც წარმოადგენს მემარჯვენე გადახრისადმი დამოკიდებულების ილიუსტრაციას. აი, მაგალითად, თბილისში ლაპარაკობენ: „უჯრედში ჩვენ არა გვაქვს მემარჯვენე გადახრა, არა გვყავს არც მემარჯვენენი, არც მემარცხენენი“-ო.

ეს განაცხადეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უჯრედში. ანდა ლაპარაკობენ: „მემარჯვენე, გადახრის საკითხი საერთოდ არ უნდა დაისვას განსახილველად, რადგანაც თბილისის პირობებში იგი არა გვაქვს“-ო. ამას ამბობენ მილიციისა და განათლების სახალხო კომისარიატის უჯრედები.

მილიციის უჯრედმა შეიძლება ვერ აღმოაჩინა მემარჯვენე გადახრა თავისი, ასე ვთქვათ, უწყების ფარგლებში, მაგრამ, თუ ისეთი განათლებული უჯრედი, როგორიც არის განათლების სახალხო კომისარიატის უჯრედი, ასე ბეცად აფასებს მდგომარეობას,—ეს უკვე საჯაყი საქმეა. გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში არაფერი უნდა გვესაქმებოდეს მემარჯვენე გადახრისადმი.

ერთ-ერთ რეზოლიუციაში, რომელიც მთლიანად მიღებულ იქნა კახეთში, რომ საერთოდ სამაზრო ორგანიზაციაში დაუშვებელია რაიმე გადახრის შესაძლებლობაც კი, გამოდის, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი გადახრა, არც მემარჯვენე, არც მემარცხენე, და გვაქვს მხოლოდ სწორხაზოვანი პოზიცია.

აქვს თუ არა ადგილი მემარჯვენე გადახრას ჩვენი პოლიტიკის გატარების საქმეში სოფლად? არის თუ არა ასეთი შემთხვევები? რამდენიც გნებავთ. მაგალითად, ამბობენ: „არაა საჭირო ღარიბისათვის კრედიტების მიწოდება, რადგანაც ჩვენ ღარიბები პურს არ გვაძლევენ, უკეთესია კრედიტი მივსცეთ საშუალო გლეხებსა და კულაკებს“-ო. ანდა ამბობენ: „საჭიროა მოეწყოს სპეციალური საკრედიტო ამხანაგობანი ღარიბებისა, კულაკებისა და საშუალო გლეხებისათვის“.

ან კიდევ ამბობენ: „თქვენ გვირჩევთ ვებრძოლოთ კულაკებს, კულაკები კი ჩვენთვის საჭირონი არიან. ისინი რომ არ გვეხმარებოდნენ, ჩვენ შიმშილით ამოვსწყდებოდით. თუმცა კულაკები ჩვენზე შეძლებულნი არიან, მაგრამ ისინი გვაძლევენ ჩვენ სამუშაოს“-ო. ამას ამბობენ აჭარეთში.

კახეთში ასეთ ორიენტაციას აძლევენ ორგანიზაციებს ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგებიც კი: „ჩვენ საკმაოდ ვავიწროვებდით კულაკებს და ეხლა ჩვენ გვიხდება ზომების მიღება, რათა ადგილებმა თავი შეიკავონ და არ დაგლიჯონ ისინი კბილებით, მაგრამ ბრძოლის გამწვავებას მაინც არა აქვს ადგილი, რადგან ჩვენი კულაკობა პოლიტიკურად უმეცარია, უკულტუროა და შეუკავშირებელი, რის გამოც არ შეუძლია გამოიჩინოს აქტივობა“-ო.

ამ გულჩვილ ამხანაგებს ეშინიათ, რომ კულაკი არ დაგლიჯონ კბილებით. ამხანაგებო, თითქო არავითარ დანაშაულობას არ წარმოადგენს, თუ პარტორგანიზაციები ადგილებზე გამოუცხადებენ კულაკებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. მაგრამ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, პირიქით, ჩვენ ვხედავთ სხვა მაგალითებს, როდესაც ზოგიერთი პარტუჯრედი პასიურობას იჩენს კულაკის წინაშე, არ იცავს ღარიბ გლეხობას და კოლმეურნეობებს კულაკებისაგან და სხვა, და ამბობენ ეხლა—საჭიროა შევაკავოთ ისინი. ეს უკიდურეს შემთხვევაში შემრიგებლობაა (ხმები—მართალია).

მემარჯვენე გადახრის კონკრეტიული მატარებელნი

გვაქვს თუ არა ჩვენ მემარჯვენე გადახრა პრაქტიკულ მუშაობაში. გვაქვს, ამხანაგებო. მაგალითად, ზოგიერთი კომუნისტიც კი, და ისიც ტრამვაისა და მთავარ სახელოსნოთა მუშებისაგან, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობასთან, ზოგჯერ გამოდიან კოლმეურნეობათა მშენებლობის წინააღმდეგ. მუშათა კლასის ნაღები, თითქო თვით უნდა იყოს კოლმეურნეობათა მშენებლობის თავგამოდებული დამცველი. ჩვენში კი ეს ასე არ არის, კომუნისტები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სოფელთან, იმის მაგიერ, რომ გაშალონ მუშაობა კოლმეურნეობათა მოძრაობის სასარგებლოდ დაეხმარონ ჩვენს ღარიბსა და საშუალო გლეხობას, ზოგჯერ აწარმოებენ მუშაობას ამ მოძრაობის ჩასაშლელად. გამოჩნდა ერთი მუშა კომუნისტი, ის აგინებს და სდევნის გლეხებს, რომელთაც კოლმეურნეობაში შესვლა სურთ, აკავშირებს შეძლებულ გლეხობას და გამოდის კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მან იმდენად აიშვა თავი, რომ სცემა კოლმეურნეობის წევრ-გლეხს და ამასვე პირდება კოლმეურნეობის სხვა წევრსაც.

რასაკვირველია, ის გამორიცხულ იქნა პარტიიდან. თელეთის თემაღმასკომის თავმჯდომარემ, ერთი ვაჭრისათვის (რომელიც მას ხშირად უმასპინძლდებოდა) ხმის უფლების წართმევის საკითხის გადაჭრის დროს, განაცხადა: „თუ თქვენ მას ხმის უფლება წაართვით, მე წავალ და თქვენ იყავით აღმასკომის თავმჯდომარედ.

რასაკვირველია, ის კი არ წავიდა, არამედ გაძევებულ იქნა, მაგრამ დამახასიათებელია მისი განცხადება: „თუ თქვენ კულაკს წაართმევთ უფლებებს, მე თავმჯდომარედ აღარ ვიქნები“-ო. ნუ თუ ეს არ არის მემარჯვენე გადახრა?

კიდევ ერთი მაგალითი. ამჟამად სწარმოებს მუშკოოპის უჯრედის წმენდა. ამხ. მაშკევიჩი მომიყვა მე, რომ იქ ადგილი აქვს მთელ რიგ გადახრებს—თევზის გადახრას, გემო-კვების გადახრას, მწვანილეულობისა და სხვა გადახრებს—(სიცილი).

ეს იმიტომ ხდება, რომ იქ უკავშირდებოდნენ ხან თევზის, ხან ღვინის, ხან ხორცის ვაჭარს; მათ, რასაკვირველია, ეხლა სწმენდენ და კარგადაც შვრებიან, რომ სწმენდენ. ეს ხდება თბილისში და არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არა გვაქვს მემარჯვენე გადახრა, რომელიც უნდა ვეძიოთ მხოლოდ ზედა ფენებში, მხოლოდ ცენტრში.

უფრო მაგრა დავსცხოთ კულაკს

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ უმსგავსოებას, რომელსაც ადგილი აქვს კულაკისადმი დამოკიდებულების საკითხში. პარტიის ძირითადი ხაზი ჩვენთვის ცნობილია, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ და ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენ გავაღვივებთ მასებში ზიზღსა და აღშფოთებას კულაკების წინააღმდეგ. არავითარი ცუდი რამ ამას არ მოჰყვება. ცხადია, რომ ის ხაზი, რომელსაც მემარჯვენე უკლონისტები იძლევიან „სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის შესახებ“, ოპორტუნიზმის მომასწავებელია. ამ თეორიას აცოცხლებს წვრილ-ბურჟუაზიული გარემოება და ის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, რომელიც ჩვენში არსებობს. ეს თეორია აძინებს მუშათა კლასს, ძირს უთხრის მასების შეკავშირებას მოწინააღმდეგე კლასიურ მტრებთან საბრძოლველად და ამით კაპიტალისტური ელემენტების შეტევას აადვილებს.

სოციალიზმში კულაკის შეზრდა ეს იმას ნიშნავს, რომ არ დავინახოთ, თუ ნეპმანი ან ბიუროკრატი—ქალაქის აღმშენებლობის მავნებლები როგორ კონტრ-იერიშებს აწარმოებენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ; ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი „მშვიდობიანად“ ეზრდებიან ჩვენს სოციალისტურ სისტემას.

სოციალიზმში კულაკის შეზრდა—ეს იმას ნიშნავს, რომ არ დავინახოთ, თუ სისხლის მსმელი კულაკები როგორ კონტრშეტევას აწარმოებენ ღარიბთა და მოჯამაგირეთა წინააღმდეგ, ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტური მგელი „მშვიდობიანად“ იცხოვრებს სოციალისტურ ცხვართან. მაგრამ, ამხანაგებო, ასეთი სასწაული ბუნებაში არ ხდება.

სწორედ ამიტომ, ამხანაგებო, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ უნდა ავალაგმოთ ჩვენი ადგილობრივი ფენები, რათა მათ კბილებით არ დაგლიჯონ კულაკი; ჩვენ უნდა გვახსოვდეს კულაკის ის მეტად ნათელი და სწორი დახასიათება, რომელიც ამხ. ლენინმა მოგვცა. მე ვფიქრობ, რომ ლენინის მიერ მოცემული ეს დახასიათება ყოველმა კომუნისტმა უნდა დაიმახსოვროს.

„კულაკი არის ყველაზე უფრო მხეცი, უხეში და ყველაზე ველური ექსპლოატატორი, რომელმაც სხვა ქვეყნების ისტორიაში არა ერთხელ აღადგინა მეფეების, მემამულეების, ხუცების და კაპიტალისტების ბატონობა. მაგრამ კულაკები მაინც უმცირესობას წარმოადგენენ ხალხში. ამ სისხლის მსმელმა ხალხმა ჯიბე გაისქელა ხალხის გაჭირვებაზე, ომის დროს მათ რამდენიმე ათასეული და ასი ათასეული ფული შეაგროვეს პურსა და სხვა პროდუქტებზე ფასების აწევით. ეს ობობა სუქდებოდა ომისაგან განადგურებული გლეხობის ხარჯზე. ეს გაძვალტყავებული მუშების ხარჯზე. ეს წურბელა მშრომელთა სისხლს სწოვდა და უფრო და უფრო მდიდრდებოდა, რამდენადაც ქალაქებსა და ფაბრიკებში მუშათა კლასი შიმშილობდა, ეს სისხლის მსმელები თანდათან ხელში იგდებდნენ და ეხლაც იგდებენ მემამულეებთა მიწებს, ისინი თანდათან უფრო და უფრო განაგრძობენ ღარიბი გლეხობის დამონავებას.

კულაკები სარგებლობენ სოფლის ღარიბი გლეხობის გაუნათლებლობით, დაქსაქსულობით და მათი ძალების შეუკავშირებლობით. ისინი უსისიანებენ მათ მუშებს, ხშირად მოისყიდიან ხოლმე კიდევაც მათ რამდენიმე ასეული მანეთის „მოგებით“ პურის სპეკულიაციის ხარჯზე (ამავე დროს ისინი ამ გლეხობას მრავალ ათასეულ მანეთებს კი ართმევენ). კულაკები სცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ საშუალო გლეხობა და ზოგჯერ კიდევაც ახერხებენ ამას. (ლენინი, ტ. 20, ნაწ. მე-2, გვ. 257).

არ უნდა მივაფუჩეჩოთ სოფლად კლასიური დანაწილების საკითხი, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ სოფელი მთლიანი ერთეულია. აქ შეუძლებელია, რასაკვირველია, იმაზე ლაპარაკი, რომ ციმბირელ კულაკთან შედარებით, ჩვენი კულაკი ღარიბია. ჩვენი სოფელი მთლიანი ერთეული არაა, მისი სოციალური სახე ძირითადად არ განსხვავდება ციმბირის სოფლის სახედან.

ლენინი თავის წერილში „მემარცხენეობის ბავშური ავათმყოფობა“, სწერდა:

„უსირცხვილო კარიერიზმი, საპარლამენტო ადგილების ბურჟუაზიული გამოყენება, საპარლამენტო მუშაობის გასაოცარი რეფორმისტული დამახინჯება, სრული მეშჩანური პამბი—ექვს გარეშეა, ყოველივე ეს ჩვეულებრივი და უმთავრესი დამახასიათებელი თვისებებია, რომელთაც წარმოშობს კაპიტალიზმი ყველგან არა მარტო მუშათა მოძრაობის გარეშე, არამედ მის შიგნითაც, მაგრამ იგი, კაპიტალიზმი, და მის მიერ შექმნილი ბურჟუაზიული პირობები, (რომელნიც ბურჟუაზიის დამხობის შემდეგაც კი მეტად ნელა ისპობა. რადგანაც გლეხობა მუდამ აღორძინებს ხოლმე ბურჟუაზიას) მუშაობისა და ცხოვრების აუცილებლად ყოველ სფეროში აღორძინებს ხოლმე არსებითად იმდაგვარსავე, მხოლოდ უმნიშვნელო ვარიანტით განსხვავებულ ბურჟუაზიულ კარიერიზმს, ნაციონალურ შოვინიზმს, მეშჩანურ გათახსირებას და სხვ.“ (ლენინი, ტ. 17, გვ. 196).

განა, ამხანაგებო, ეს ახე არ არის? განა ამ სურათს არ ვხედავთ ჩვენ? ყველა ასეთი მოვლენა—კარიერიზმი, შეგუება, ნაციონალური შოვინიზმი და მეშჩანობა არ არის იმის ნაყოფი, რომ ბურჟუაზიის დამხობის შემდეგაც კი, პროლეტარიატის დიქტატურის დროსაც რჩება კიდევ ბურჟუაზიული პირობების ელემენტები?

ამას წინად უნდა მომხდარიყო დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია და კოლექტივის დაარსება. იქ თურმე გამოვიდნენ ბურჟუაზიული ადვოკატურის ყველა ძველი „ზუბრები“, როგორც მაგალითად „დემოკრატიული“ საქართველოს ყოფილი მინისტრი: მათ განაცხადეს: „როგორ შეიძლება ეს? ჩვენ ძველთაგანვე შევეჩვიეთ ასეთ ცხოვრებას!“-ო.

ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობენ ელემენტები, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ დრომოჭმული ფორმების გარდატეხას. ასეთი ბურჟუაზიული ელემენტები ჩვენ უნდა გავაძევოთ იმ უკანასკნელი პოზიციებიდანაც, რომელიც მათ უკავიათ. (ტაში).

ამხანაგი ლენინი აი კიდევ რას გვეუბნება:

„საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენს პროლეტარულ პარტიაში შემოძვრება კიდევ უფრო მეტი ბურჟუაზიული-ინტელიგენტური წრიდან გამოსულები. ისინი გაძვრებიან საბჭოებშიც, სასამართლოებშიც, და ადმინისტრაციაშიც, ვინაიდან შეუძლებელია კომუნიზმის აშენება რაიმე სხვა მასალისაგან, თუ არა იმ ადამიანთა მასალისაგან, რომელიც შექმნილია კაპიტალიზმის მიერ, ვინაიდან შეუძლებელია ბურჟუაზიული ინტელიგენციის გაძევება და მოსპობა; საჭიროა მათი დამარცხება, გარდაქმნა, გადახარშვა და ხელახლა აღზრდა ისევე, როგორც საჭიროა ხანგრძლივ ბრძოლაში ხელახალი აღზრდა პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე თვით პროლეტარებისა, რომელნიც თავისი საკუთარი წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილებებისაგან ერთბაშად კი არ განთავისუფლდებიან რაიმე სასწაულით, ღვთის მშობლის ბრძანებით, ლოზუნგების რეზოლიუციის, დეკრეტების ბრძანებით, არამედ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლით მასიური წვრილბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ“. (ლენინი ტ. 17, გვ. 197).

აი, ამხანაგებო, ეს ჩვენ განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს დღეს, ვინაიდან წვრილბურჟუაზიული გავლენა ნელნელა ძვრება ყველგან. ლენინი ამბობს, რომ მისგან არ არიან განთავისუფლებულნი თვით მუშებიც, რომ საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ და ჩვენი ამხანაგებისაგან სოციალიზმისათვის მოუმზადებელი მებრძოლების გამოწვევა. სოციალისტური შეჯიბრება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, შაბათობანი, მშრომელთა მასების შრომის ენტუზიაზმი—ყოველივე ეს არის ის გზა, რომელსაც ჩვენ სოციალიზმისაკენ მივყავართ. მაგრამ არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც ჩვენ გვეხმობენ უკან დაბრუნებისაკენ და რომელთაც ჩვენი გენერალური ხაზი არ ესმით. შეუძლებელია იმის თქმა, რომ საქართველოში მემარჯვენე გადახრა არა გვაქვს და რომ აქ ყველაფერი რიგზეა, როგორც ამას ზოგიერთი „განათლებული“ უჯრედები ლაპარაკობენ.

ასეთ განწყობილებას ადგილი აქვს ზოგიერთი მუშების შორისაც, რომელნიც ინდუსტრიალიზაციის შესახებ შემდეგს ამბობენ:

„რათ იხარჯება დიდი თანხები რიონჰესზე? განა უკეთესი არ იქნება ამის ნაცვლად სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ პურზე ფასების მომატების გზით“-ო. შემცდარი არიან ის ამხანაგები, რომელნიც ამბობენ, რომ არ არის საჭირო რიონჰესი და ზაჰესი, არამედ საჭიროა სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი გაძლიერებულ იქნას პურზედ—ფასის აწევით. ეს ხომ არც მეტი და არც ნაკლები კაპიტალისტური გზით განვითარებაა? ეს არის ნამდვილი მემარჯვენე გადახრა, ეს არის ის, რასაც შემოგვთავაზებდნენ მემარჯვენე უკლონისტები აპრილის პლენუმზე: ფასების აწევა კვარტალობით, რაიონების მიხედვით და სხვა.

არ იფიქროთ, ამხანაგებო, რომ ასეთ რამეს ადგილი არ აქვს ჩვენში—საქართველოში. ჩვენში მას ადგილი აქვს. მე მოგიყვანთ თქვენ ყველაზე უფრო ცოცხალ მაგალითს.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის ამა წ. 31 მაისის დადგენილება შემდეგს გვეუბნება:

„სიმინდის დამზადება წარმოებულ იქნას საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით, რომლებიც არსებობს დამამზადებელ რაიონებში, ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებასთან შეთანხმებით. ფასები სიმინდზე მათი ცვალებადობის გამო გადასინჯულ უნდა იქნას კვირაში ერთხელ აუცილებლად“.

თურმე, აირჩიეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია სიმინდის დამზადების საქმე, და დაადგინეს: ვინაიდან სიმინდის დამზადება, ბაზარზე არსებულ პირობების გამო, ცუდ მდგომარეობაშია, ვინაიდან ძნელი ხდება ბაზრის ხელმძღვანელობა და ფასები სწრაფად იცვლება, დაწესებულ იქნას სიმინდზე არსებულ ფასების ყოველკვირეობით გადასინჯვა, არა კვარტალობით ან და რაიონების მიხედვით, არამედ ყოველკვირეულად და ეს თითქოს პარტიული ხაზის საუკეთესო განხორციელებაა (სიცილი).

არ იფიქროთ, რომ მხოლოდ ქუთაისის მაზრაში აქვს ადგილი ამგვარ შემთხვევებს. ასეთი მოვლენები რამდენიც გნებავთ და სადაც გნებავთ ყველგან არსებობს. ავიღოთ, მაგალითად, ზუგდიდის მაზრა. იქ მოსამართლემ შემდეგი უაზრობა წარმოსთქვა:

„თუ საკითხს მივუდგებით მარქსისტულ თვალსაზრისით, უნდა ვსთქვათ, რომ ზუგდიდის მაზრაში არ არსებობს ნიადაგი კულაკების არსებობისათვის“ (სიცილი).

ხედავთ, მართლაც რომ არიან კიდევ მსაჯულები ზუგდიდში!

არ ვიცი, რომელი მარქსიზმის თვალსაზრისით მსჯელობს ეს მოსამართლე.

მე ვფიქრობ, ნამდვილი მარქსიზმის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ კულაკს შეუძლია აღმოცენდეს ისეთ ნიადაგზედაც, როგორიცაა ზუგდიდის მაზრის ნიადაგი. (სიცილი).

მემარჯვენე გადახრის პლატფორმა

კიდევ ერთი გამოხატულება მემარჯვენე გადახრისა. ეს ის დოკუმენტია, რომელიც გადმოგვცა ამხ. შ. ოკუჯავამ, არის ოცეულის უფროსის კვირკველია, რომელიც წინად თანაუგრძნობდა ტროცკისტებს, ხოლო ამჟამად თანაუგრძნობს მემარჯვენეებს. (არის ასეთი შემთხვევები, როცა კაცმა არ იცის რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა მხარე). ამ კვირკველიას შემუშავებული აქვს მთელი იდეოლოგია, ანტიპარტიულ შეხედულებათა მთელი სისტემა. აი რას სწერს ის, პირველად ყოვლისა, გლეხთა საკითხში. სხვათაშორის ეს ადამიანი უფრო კეთილსინდისიერად მოიქცა. ის სწერს, რომ იწყება პარტიის წმენდა და რომ პარტიის თვითეულმა წევრმა უნდა განაცხადოს თუ რას ფიქრობს ის. და ის სწერს იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს თვითონ.

„დიდ სიძნელეებს შეიცავს აგრეთვე ის გარემოება, რომ გლეხობას დღეს არ სურს სოციალიზმი, არ სურს კოლექტივიზაცია; გლეხს არ უნდა კოლექტივში შესვლა, რომელიც ართმევს მას კერძო საკუთრებას; კოლექტივში გლეხი შედის მხოლოდ პირად სარგებლისათვის; ამიტომ დღეს უმთავრესად არსებობს კოლექტივები: პარიკმახერების, ხარაზების, მრეცხავ ქალების, მეტყავეთა, ჩაის, ბამბის და თამბაქოს. აი სოციალიზმის ის თაიგული, რომელიც დღეს ვითარდება და იფურჩქნება. იშვიათია ისეთი კოლექტივები, რომლებიც აერთიანებენ გლეხობას თავიანთი მეურნეობით და ოჯახებით. გლეხობასთან კავშირი, რომელზედაც ლაპარაკობს დღეს პარტია, განსაკუთრებით საშუალო გლეხობასთან კავშირი—ხელოვნურია. საშუალო გლეხობასთან კავშირი მოქსოვილია ბამბის ძაფით, რომელიც დღეს თუ არა ხვალ უნდა დაწყდეს.

მიუხედავათ იმისა, რომ დღეს პარტია და მთავრობა სცდილობენ დაიხიონ და წავიდნენ გლეხობასთან ნაწილობრივ დათმობაზე—ეს გარემოება არაფერს შველის. თანამედროვე პირობებში უფრო მისაღებია მემარჯვენეთა ხაზი, რომელიც მდგომარეობს ლიბერალიზმში, მხოლოდ ამ გზას შეუძლია იხსნას ქვეყანა სიძნელეებიდან“.

ეს არის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მიმართული ხაზი, ეს არის ინდივიდუალურ მეურნეობათა სამუდამო გამკვრივება. აი მემარჯვენე გადახრის ნამდვილი იდეოლოგია.

შემდეგ ის სწერს ნაციონალურ საკითხზე:

„არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებში ველიკორუსები უპირატესობით სარგებლობენ და სცდილობენ თავზე მოახვიონ წვრილ ერებს თავისი ენა. ლენინი არასოდეს არ ამბობდა იმის შესახებ რომ სოციალიზმი აშენებული უნდა იქნას რუსულ ენაზე.

თბილისში თანდათან მქრება და კვდება ქართული ენა და დიდი ხანი არ არის საჭირო, რომ თბილისში სირცხვილიც კი იქნება ქართულ ენაზე ლაპარაკი და ბოლოს და ბოლოს ის სავსებით აიკრძალება. (ხაზგასმულია ავტორის მიერ).

ეს ცილისწამებაა ჩვენი პარტიის ხაზის მიმართ. და განა არ არიან ასეთი კომუნისტები, ასეთივე კომკავშირელნი? ავიღოთ სახელმწიფო უნივერსიტეტი და აგრეთვე სხვა სასწავლებლები. განა იქ არ არიან ისეთი ქართველი ნაციონალისტები, რომელნიც ამჟღავნებენ თავიანთ უბადრუკ ნაციონალიზმს, როცა ლაპარაკობენ „ხომხებზე“ და რუსებზე. რატომ გიკვირთ თქვენ, განა კვირკველიას მსგავსი ხალხი არ მოიპოვება? განა თქვენ მათ არ ხედავთ?

შემდეგ ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ ვაწარმოებთ ჩვენ ბრძოლას მენშევიზმთან. აი რას სწერს კვირკველია ამის შესახებ:

„შეიარაღებული აჯანყების გზით რევოლიუციის მოხდენის ცდა ყველგან სრული დამარცხებით დამთავრდა. ჩვენ ვხედავთ კომუნისტური პარტიების დამარცხებას ევროპაში, აზიაში, ამერიკაში („კომინტერნის“ ღია წერილი „ამერიკის კომპარტიას“).

ინგლისში კომპარტიამ პარლამენტის არჩევნებში ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიყვანა. სოციალ-დემოკრატიამ ზედიზედ გაიმარჯვა მთელ რიგ ქვეყნებში. მასები დაშინებული არიან საბჭოთა კავშირის მდგომარეობით, აქაური დამარცხებებით და სიღარიბით, რომ ოდესმე შეიქნეს რევოლუციონური სიტუაცია, რაც ასე სწამს პარტიას“.

აი ხედავთ, სადამდის მივიდა ეს „კომუნისტი“ ის ყველგან და ყველაფერში ხედავს დაშლას და დამარცხებას იმ დროს, როცა მასებში იზრდება რევოლუციური მოძრაობა.

საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყნებში და ბურჟუაზიულ ევროპის სხვა ქვეყნებში ცხადდება და დამტკიცდა, რომ მუშებს შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისათვის. ის, რომ ევროპის პროლეტარები გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან, ეს, რასაკვირველია, განადგურებაა ამ კვირკველიას აზრით. მას ეს განადგურებათ მიაჩნია იმიტომ, რომ არჩევნების დროს, პარლამენტში ადგილების განაწილებისას კომუნისტებმა ბევრი ალაგი ვერ მიიღეს. დასავლეთის მთელ პარტიებში სწარმოებს პარტიის ბოლშევიზაციის და მისი ყოველგვარი ოპორტუნისტული ბალასტისაგან გაწმენდის სასიკეთო პროცესი. კვირკველია კი ჰყვირის:—„განადგურებაზე“. ყოველივე ეს მოწმობს მის აშკარა გახრწნას, მოწმობს იმას, რომ მან დაჰკარგა კომპარტიების გამარჯვების იმედი. აი ამიტომ აუცილებელია კიდევ უფრო შევაიარაღოთ პარტიული მასები ასეთ მემარჯვენე განწყობილებებთან საბრძოლველად, არ არის საჭირო ნაკლოვანებების მიჩქმალვა, საჭიროა მოვიქცეთ ისე, რომ არ გამოგვივიდეს ლიბერალიზმის შეზავება კომუნიზმთან, როგორც ეს სურთ ზოგიერთ თეორეტიკოსებს, რომლებიც ვერ ხედავენ საზღვარს ამ ორ მოვლენათა შორის. ასეთი თეორეტიკოსები წინადაც იყვნენ.

მარქსი სწერდა პრუდონზე, საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგზე და ანარქიზმის თეორეტიკოსზე, რომელსაც უნდოდა კაპიტალისტური საზოგადოების „გარდაქმნა“ არა წარმოების კოლექტიური მოწყობის გზით, არამედ მუქთი კრედიტის და გადამცვლელი ბანკების მოწყობით და მით წვრილი კერძო საკუთრების დაკანონებით.

აი რას ამბობდა მარქსი პრუდონზე:

„თავისი ბუნებით პრუდონს ჰქონდა მიდრეკილება დიალექტიკისადმი, მაგრამ მან სრულებით ვერ გაიგო მეცნიერული დიალექტიკა და მივიდა მხოლოდ სოფისტიკამდე. ნამდვილად კი ეს გამომდინარეობდა მის წვრილ - ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობიდან“.

წვრილ ბურჟუას, ისევე როგორც ჩვენს ისტორიკოსს რაუმერს, ყოველთვის აქვს „ერთი“ და „მეორე მხარე“.

მედგრად შევუტიოთ მემარჯვენე გადახრას და შემრიგებლობას

როგორ წააგავს ეს მემარჯვენე გადახრა ჩვენს ზოგიერთ ძველანდელ თეორეტიკოსს, რომლებიც გამოხატავდნენ წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებას. მათ შეიძლება კიდეც უყვარდეთ დიალექტიკა, მაგრამ სქოლასტიკას თავს ვერ აღწევენ. მემარჯვენე უკლონისტები ცდილობდნენ მარქსიზმის და ლიბერალიზმის შეთანხმებას. ეს არის ნამდვილი ოპორტუნიზმი, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა შევუტიოთ, თუ გვინდა ნამდვილი ბრძოლა ვაწარმოოთ. ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინი სწერდა:

„როცა ლაპარაკია ოპორტუნიზმთან ბრძოლაზე, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს მთელი თანამედროვე ოპორტუნიზმის დამახასიათებელი მხარე ყველა და ყოველგვარ დარგში: მისი გაურკვევლობა, დაქსაქსულობა, შეუმჩნევლობა. ოპორტუნიზმი თავისი ბუნებით ყოველთვის გაურბის საკითხის გარკვეულად და გადაჭრით დასმას, ის დაეძებს თანაბრად მომქმედ ხაზს, იხლართება ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შორის, ცდილობს შეუთანხმდეს ერთსა და მეორესაც, თავის უთანხმოებას გამოხატავს შესწორებებში, ეჭვების გამოთქმაში, კეთილ და უცოდველ სურვილებში და სხვ“... ლენინი ტომ. 5, გვ. 73).

„მისი ტიპიური დამახასიათებელი მხარეა წუთიერ განწყობილების აყოლა, „მოდის“ წინაშე ქედის მოხრა, პოლიტიკური სიბეცე და უხასიათობა. ოპორტუნიზმი არის პარტიის ხანგრძლივ და არსებით ინტერესების მსხვერპლად მიტანა, წუთიერ გარდამავალ, მეორე ხარისხოვან ინტერესებისათვის (ლენინი ტომი 7, მეორე ნაწ. გვ. 94).

ამხანაგებო, როცა ჩვენ მძიმე პირობებში ვიმყოფებით, როცა ჩვენ განვიცდით სასურსათო და სხვა დაბრკოლებებს, როცა ერთგვარი ზრდა ემჩნევა კაპიტალისტურ ელემენტებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას სოციალიზმისაკენ, ვინაიდან მომაკვდავი კლასები ნებაყოფლობით პოზიციებს არ სთმობენ,—ყოველივე ეს ერთგვარ მერყეობას იწვევს პარტიის არა მტკიცე ელემენტებს შორის. არიან ჩვენს პარტიაში ისეთი ელემენტები, რომელნიც დაბნეულობას იჩენენ, სიძნელეების დროს იწყებენ წუწუნს, რადგან არ იციან, როგორ განუმარტონ პარტიულ და უპარტიო მასას ჩვენი ხაზი, როგორ უჩვენონ მათ გზა, არ იციან, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ სიძნელეებს, რომელნიც არის არა მარტო დღეს, არამედ იქნებიან ხვალაც და მახლობელ დროს განმავლობაშიაც, ვინაიდან რეკონსტრუქტიული პერიოდი მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების უდიდესად დაჭიმვას. აი ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენ ყოველ მხრივ მზად ვიყვეთ იმისათვის, რომ დავსძლიოთ მემარჯვენე გადახრა და აგრეთვე მისდამი შემრიგებლობა. შემრიგებლობა მემარჯვენე გადახრასთან არა ნაკლები ბოროტებაა, თუ მას არ დავსძლევთ, ვერ დავსძლევთ მემარჯვენე გადახრასაც. ეს არის მშიშარა ოპორტუნიზმი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აპრილის პლენუმის რეზოლიუციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს რეზოლიუცია აუცილებლად სთვლის ბრძოლას როგორც აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრასთან, ისე მის ფარულ ფორმასთან, ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, რომელნიც თითქოს ერთსულოვნად პარტიასთან არიან, აძლევენ ხმას მის დადგენილებებს, ხოლო თავის პრაქტიკულ მუშაობაში მემარჯვენე გადახრას ახორციელებენ.

საჭიროა მემარჯვენე გადახრის გამომჟღავნება პრაქტიკაში და მაშინ ჩვენ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვ. საქმე წარმატებით წავა.

ახალ გამარჯვებებისაკენ

ვათავებ რა მოხსენებას უნდა ვსთქვა შემდეგი:

„დიადი საქმეების განსახორციელებლად საჭიროა ენტუზიაზმით გამსჭვალვა“, —ამბობს სენ სიმონი. მხოლოდ დიადი მიზნები იწვევენ ენტუზიაზმს. ასეთ დიად მიზანს კი წარმოადგენს შეუჩერებელი წინსვლა სოციალიზმისაკენ, უკან დაუხევად და უპანიკოდ. ლენინი ამბობდა: „ან უნდა დავიღუპოთ, ან უნდა დავეწიოთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ წინ ეკონომიურადაც... ან უნდა დავიღუპოთ, ან მთელი სისწრაფით გავექანოთ წინ. ასეა დასმული კითხვა ისტორიის მიერ“. (ლენინი, ტომი მე-19).

და ისტორიის ამ კითხვაზე ჩვენ ვუპასუხებთ:

ჩვენ არ შეგვიძლია დავიღუპოთ, ჩვენ დაღუპვა „არ გვიწერია“. დიადი სოციალისტური მუშაობის გეგმის განსახორციელებლად საჭიროა ენტუზიაზმით გამსჭვალვა, საჭიროა შეურყეველი რევოლიუციონერ - ენტუზიასტების პარტია, დიდი ლენინის პარტია.

ჩვენ ვართ რკინისებური კომპარტია ასეთ მებრძოლთა. და, მაშასადამე, უზრუნველყოფილია გაქანება წინ მთელის სისწრაფით. ჩვენ ახალ ენერგეტიულ ნიადაგზე მოვაწყობთ მთელი ქვეყნის ეკონომიკას, ზაჰესების და რიონჰესების შუქს მოვფენთ ახალ საქართველოს მიყრუებულ სოფლებსაც კი, ამოვიღებთ მადნებს მაღაროებიდან, დავამუშავებთ ტყვარჩელის ქვანახშირს, ჩამოვასხამთ ლენინიზმის ფოლადს და ლენინის მოძღვრების ნიადაგზე მტკიცე ნაბიჯით გავსწევთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ, სოციალიზმისაკენ. (ყრილობა ფეხზე დგება და უკრავს ტაშს).

კამათის დასასრული ამხ. კახიანის მოხსენების გარშემ

4 ივლისი

ამხ. ნიკაშვილი

მიწათმოქმედების მეურნეობისათვის გადადებული საბიუჯეტო და საკრედიტო თანხები არ არის იმდენად დიდი, რომ მარტო მათი საშუალებით შეიძლებოდეს გლეხურ მეურნეობათა ჩქარი ტემპით განვითარება. ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციები კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საშუალებათა მესამე წყაროს, რომლის გამოყენება საქმეს შესამჩნევად გაგვიადვილებდა. ეს წყაროა ის ნაღდი, ის თანხები, რომელიც დაგროვილია თვით გლეხურ მეურნეობებში. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ გლეხურ მეურნეობათა საშუალებანი სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში.

აგრონომების ამ რიცხვს, რომელიც ეხლა გვყავს სოფლად, არ შეუძლიათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მით უმეტეს, რომ გზები მაზრებში ცუდია და მიმოსვლა მეტად ძნელია. ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება, რომ გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები იდგნენ თავის სიმაღლეზე. მაგრამ უბედურება ის არის, ეს სკოლები მხოლოდ სახელ შეცვლილ შვიდწლედებს წარმოადგენენ და არავითარ სპეციალურ სას.-სამ. განათლებას არ იძლევიან. განსახკომში ლაპარაკობს, რომ მასწავლებლებად გასაგზავნი აგრონომები არა გვყავს. თუ კი ასეა საქმე, მაშინ რად უნდა მოვატყუოთ გლეხები, რათ უნდა გავხსნათ ცრუ სახ.-სამეურ. სკოლები?.

ადგილობრივ მრეწველობას ნაკლებად მცირე რაოდენობით ეძლევა კრედიტი და საერთოდ ნაკლებ ყურადღება ექცევა. ეს არ ვარგა. ადგილობრივ წარმოებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ბიუჯეტისათვის, ისე უმუშევრობის შემცირების საქმეში. ამიტომ ის მეტი დახმარების ღირსია.

ტროცკიზმის ნამსხვრევებთან ბრძოლა უნდა გავაძლიეროთ. უკანასკნელად ტროცკისტები ხშირად იძლევიან სიტყვას, რომ ისინი ტროცკიზმს ჩამოშორდნენ, მაგრამ შემდეგ კი ისევ განაგრძობენ თავის კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობას. ასეთების წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო.

ამხ. ბლუაშვილი

წითელი არმია

შევეხები სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების კავშირს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კავშირი სამოქალაქო აპარატთან საკმაოდ მტკიცეა, მაგრამ კავშირი წითელარმიელთა მასებსა და მუშურ ორგანიზაციებს შორის მეტად მოიკოჭლებს. ქუთაისში ჩვენ შევეცადეთ დაგვეარსებია მუშათა და წითელ არმიელთა გაერთიანებული კლუბი, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას წავაწყდით პროფორგანიზაციების მხრივ. იქ პროფსაბჭოს მუშაობდა ვიღაც აბულაძე, რომელმაც ჩაგვიშალა გაერთიანებული კლუბის შექმნის საქმე და შემდეგ კი გასცა განკარგულება, რომ პროფკავშირთა კლუბებში არ შეუშვან წითელ არმიელები. რასაკვირველია ასეთ განკარგულებისათვის აბულაძე მოხსნეს სამუშაოდან, მაგრამ მსგავსი განწყობილება პროფორგანიზაციებს შორის კიდევ დარჩა.

დემობილიზაციაში მყოფ წითელარმიელთა გამოყენების შესახებ გვაქვს მოცემული მრავალი დირექტივა, მაგრამ ეს საქმე საქართველოში მაინც გაყინვის წერტილზეა. ჩვენ ამ მხრივ არაჩვეულებრივათ ჩამოვრჩით რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას. იქ სოფლის საბჭოებსა და აღმასკომების თავმჯდომარეთა 58 პროცენტს ყოფ. წ. არმიელები შეადგენენ, ჩვენში კი წითელ ყოფ. არმიელები აღმასკომის და სოფლის საბჭოთა თავმჯდომარეთა შორის მხოლოდ 8 პროც. გვყავს.

კოლმეურნეობათა მოძრაობამ შეარხია წითელ არმიელთა მასებიც. ქართული დივიზიიდან ჩვენ დემობილიზაციის დროს გამოუშვებთ კოლმეურნეობათა მუშაკთა 19 ჯგუფს. ეს წითელარმიელები სოფელში დაბრუნებისთანავე შექმნიან კოლექტივებს. ამ ჯგუფებში 211 კაცი ირიცხება. სულ კი კოლმეურნეობაში შესვლის მსურველი ჩვენ დივიზიაში არის 764 კაცი; საჭიროა ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები დაეხმარონ ყოფ. წითელარმიელთა ინიციატივას.

ამხ. მიხა ცხაკაია

ტროცკიზმმა თავისი ანტილენინური კონტრ-რევოლიუციონური სახე დიდი ხანია გამოაჩინა ჩვენშიაც და საზღვარ-გარეთის პრაქტიკაშიაც. ეს ხალხი აფერხებს ჩვენი პარტიის დირექტივების გატარებას. ამიტომ მათ წინააღმდეგ აუცილებელია დაუნდობელი ბრძოლის წარმოება. პირველყოვლისა აქ დიდი როლი უნდა ითამაშოს იდეოლოგიურმა ბრძოლამ, პარტიული მასების იდეოლოგიურმა შეიარაღებამ. ჩვენი პარტია დაწყებული კომინტერნიდან და გათავებული ძირითადი უჯრედით ლენინური იდეოლოგიით უნდა იყოს გაჟღენთილი.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წითელი არმია არის ოქტომბრის მონაპოვართა დამცველი. ამიტომაც მისი კადრების შერჩევას და მომზადებას დიდი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. წითელი არმია მარტო სამხედრო ორგანიზაცია კი არ არის, არამედ ის ამავე დროს არის სკოლა, საიდანაც გამოდიან ისეთი ხალხი, რომელიც გაუძღვება კოლმეურნეობათა მშენებლობას სოფლად და რომელიც ხელს შეგვიწყობს სამეურნეო ფრონტზე ბრძოლაში.

ახალი დარაიონება, ჩემის აზრით, აუცილებლად შეუწყობს ხელს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას. ამასთანავე საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს იმ დეფექტების გამოსწორებას, რომელიც კიდევ აქვს ჩვენ ორგანოებს მიწადმოწყობის საქმეში.

ანტირელიგიური ფრონტი ჩვენ თითქოს მივივიწყეთ. ამ დარგში ძალიან ცოტა არის გაკეთებული. მართალია ისეთ მიყრუებულ ადგილებში, როგორიცაა ახალქალაქი, რელიგიასთან ბრძოლა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ სწორედ ეს მაზრა განსაკუთრებით საინტერესო იმით, რომ სხვა რელიგიების მიმდევრებთან ერთად იქ ცხოვრობენ „დუხობორები“. წინათ ამ ხალხს ანარქისტებათ ნათლავდნენ და სწორედ ამიტომ გადმოასახლეს ისინი ა.-კავკასიაში, მაგრამ ეხლა კი ისინი ნამდვილი მონარქისტები არიან. მათთან მე კამათი მომიხდა. ჩემს მხარეზე იყო 2—3 კომკავშირელი, მაგრამ ისინი იშვიათად ლაპარაკობდნენ და თითქმის არავითარ დასკვნებს არ აკეთებდნენ. ეს ფაქტი გვეუბნება, რომ ჩვენ სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ანტირელიგიური ბრძოლის საქმეს. ამ დარგისათვის უნდა მოვამზადოთ სათანადო მუშაკები, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა შორის სამუშაოდ.

ამხ. სალუქვაძე

საქ. უნივერსიტეტი

ახალი სპეციალისტების აღზრდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დღევანდელ პირობებში. სწორედ ამიტომ საჭიროა ფხიზლად ვადევნოთ თვალყური იმას, თუ როგორ მუშაობენ ჩვენი უმაღლესი სკოლები, იმას თუ ვინ სწავლობს, ვინ ასწავლის და რას ასწავლიან იქ.

ჩვენს უნივერსიტეტში ბევრია ზედმეტი ბალასტი. იქ ირიცხება 600-მდე თავად-აზნაური, წელს გამოირიცხა 120-მდე საარჩევნო უფლება წართმეული სტუდენტი. უნივერსიტეტის წმენდაში ჩვენ ხელს გვიშლის ზოგიერთი პასუხისმგებელი კომუნისტიც. ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ბევრი ჩვენი პროფესორი სრულიად ზედმეტად სთვლის ლენინის წაკითხვას თვით ისეთ საგანშიაც კი, როგორიცაა სასოფლო - მეურნეობის ეკონომიკა. აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი პროფესურის გადარჩევის შესახებ, როგორც ეს მოხდა ბელორუსიაში და რუსეთში.

აგრეთვე უნდა დაისვას საკითხი სამეცნიერო მუშაკთა ახალი კადრების მომზადების შესახებ. ახალგაზრდობას ჩვენში არ აძლევენ დაწინაურების საშუალებას. საჭიროა მოვაწესრიგოთ ასპირანტურის შექმნის საკითხი და ყურადღება მივაქციოთ საზღვარგარეთის სასწავლებლებშიც მივლინებასაც, რადგან ამგვარ მივლინებებს ხშირად ღებულობს ისეთი ხალხი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ უნდა და არც შეუძლია.

პროფკავშირები არ მონაწილეობენ უმაღლესი სკოლის მუშაობაში. უნივერსიტეტის გამგეობის არჩევნების დროს მე რამდენჯერმე პირადათ ვსთხოვე პროფსაბჭოს გამოეგზავნა თავისი წარმომადგენელი, მაგრამ მან არავითარი წარმომადგენელი არ გამოუგზავნია. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ბიუჯეტის საკითხი არ არის მოგვარებული. უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის 90 პროც. მიდის ხელფასზე და მხოლოდ 10 პროც. ლაბარატორიებს და სხვ. სამეცნიერო დაწესებულებების მოწყობაზე. რასაკვირველია, თუ მდგომარეობა ასე გაგრძელდა სტუდენტობას არ ექნება მეცნიერული მუშაობის საშუალება და ამ საქმიდან არც არაფერი გამოვა.

რუსული ენის სწავლების გაძლიერების საკითხი კიდევ გადაუჭრელია. 10-წლედებზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენ უცხო ენების ანგარიშზე უნდა გავადიდოთ რუსული ენის საათების რიცხვი.

განათლების კომისარიატის ხელმძღვანელობა სუსტია და ეს ადვილი გასაგებიც არის, თუ ჩავუფიქრდებით იმ ფაქტს, რომ წმენდის დროს კომისარიატის ზოგიერთი განყოფილების გამგეები პარტიიდან გარიცხეს. ამასთანავე განსახკომის მუშაობის სისტემაც არ არის მოწესრიგებული. იქ ჩვენ ერთის მაგივრად ორი კომისარი გვყავს.

ამხ. ხარამიძე

გურია

მე-16 პარტიულმა კონფერენციამ მთავარ ამოცანად დასახა მეურნეობის კოლექტიური ფორმების განვითარება სოფლად. ამ დადგენილებებს გურიის ორგანიზაცია გამოეხმაურა და უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ჩვენ მიღწევები გვაქვს. განსაკუთრებით იზრდება და ვითარდება ჩაის კოლექტივები.

მრავალი სოფლელი კომუნისტი ცდილობს კოლექტივებში შესვლას. ჩვენ გადაჭრით უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ გლეხი, რომელსაც სურს პარტიაში ყოფნა, უნდა შევიდეს კოლმეურნეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პარტიულ ბილეთსაც უნდა გამოეთხოვოს.

გურიაში ჩვენ ვაწარმოებდით აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დარგის კონტრაქტაცია არ არის მიზანშეწონილი. ის არ აძლევს სტიმულს გლეხობას მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის.

მალული ვაჭრობის შემთხვევებთან ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას, მაგრამ ზოგჯერ ცენტრში მომუშავე ამხანაგები და ცენტრალური ორგანიზაციებიც ხელს გვიშლიან ამ საქმეში.

კომკავშირის მუშაობას ხშირად ავადმყოფურ ფაქტებს აქვს ადგილი. ამ გარემოებას პარტიამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. ჯავახიძე

ა. ლ. კ. კ. ცკა

მე მინდა უმთავრესად ვილაპარაკო ჩვენი ახალი კადრების აღზრდის შესახებ და თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, თუ ვინ, როგორ და რა პირობებში იზრდება მოზარდი თაობა.

ამას წინათ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მასალა იმის შესახებ, თუ რა სისაძაგლეს აქვს ადგილი ისეთ დაწესებულებებშიც კი, როგორიცაა თბილისის საცდელ-საჩვენებელი სკოლა. ამ სკოლაში ძლიერ ცუდათ ყოფილა დაყენებული საქმე. აქ ჩვენი ახალგაზრდობის გონებრივათ გაწვრთნას თურმე ჩვენთვის კლასიურად სრულიად უცხო ელემენტები განაგებდნენ.

მაგრამ ამაზე უარესი მდგომარეობაა კერძო კურსებზე. სწავლის სურვილი იმდენად დიდია ჩვენს ახალგაზრდობაში, რომ ჩვენი სკოლები ყველა მათგანს ვერ იტევს. ამ გარემოებით სარგებლობენ კერძო პირები და აწყობენ კერძო კურსებს.

თბილისის მარტო ერთ ქუჩაზე—პლეხანოვის პროსპექტზე 20-დე კერძო კურსებია გახსნილი, არც ერთი მათგანი არ არის განათლკომისარიატში აღრიცხვაზე გატარებული. ამ კურსებს ხელმძღვანელობენ საბჭოთა სკოლებიდან განდევნილი იდეოლოგიურათ უცხო და არა კვალიფიციური პედაგოგები.

მათ ხშირად უვარდებათ ხელში ღარიბი ახალგაზრდები, რომელნიც მოწადინებულნი არიან შევიდნენ უნივერსიტეტში. ამ კურსებზე საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები ერთსა და იმავე დროს ასწავლიან ქართულ ენას, საზოგადოებათ-მეცნიერებას, პოლიტიკურ ეკონომიას, საბჭოთა კონსტიტუციას, ეკონომიურ გეოგრაფიას, ფსიხოლოგიას, შრომის სკოლის პრინციპებს, პოლიტიკურ გეოგრაფიას, კოოპერაციას და შრომის უფლებას. რა უნდა გამოვიდეს ასეთ სწავლებიდან? ცხადია დომხალი მეტი არაფერი. ასეთი კურსების რიცხვი თბილისში სამასამდე აღწევს. ჩვენ ამ აფერისტობას ბოლო უნდა მოუღოთ.

არის თბილისის კერძო საბავშვო ბაღებიც. მეტად ცუდი მდგომარეობაა ამ საბავშვო ბაღებში. იქ 15 კვადრატ. არშინ ხაზინაო ფართობზე 35 ბავში მოდის. ამ ბაღებში მთავარ საგნებს შეადგენენ მორალი და ფრანგული ენა.

იცით იქ როგორ ესმით მორალი და როგორ ასწავლიან მას? აქაური „მორალი“ ოთხ დებულებით განისაზღვრება: დაემორჩილე უფროსს, ხელი არ ახლო სხვის ქონებას, აუცილებელია რევერანსის გაკეთება, სავალდებულოა ქალისათვის ხელზე კოცნა. აი ამ გან-
[illegible]
[illegible]
ბავშო ბაღებში შეხვდებით ჩვენი
მეგობარი ამხანაგების შვილებსაც. ეს ა
ბე გვერდს უვლიან საბჭოთა საბავშო ბ
და შვილებს აქ აბარებენ
რომ კერძო ბაღებში ფრანგულ ენას
ლამაზურ ქცევას ასწავლიან.
შემდეგი საკითხია რელიგიასთან ბრ
ჩვენი ლოზუნგია, რომ სკოლები ანტი
ყოფ სკოლებად გადავაქციოთ. სინამდ
ჩვენ ვხედავთ რომ რელიგია სკოლებ
შეტევაზე გადმოდის. ამას ხელს უწყ
ვე მასწავლებლების რეაქციონური განწყ
და ნაწილობრივ ჩვენი სახელმძღვანელ
ბიც.
ჩვენ სისტემატიური ბრძოლა გვჭირ
ლიგიის შემოტევასთან. რასაკვირველ
[illegible]
ჭირო შეიქმნის ანტირელიგიური
რების ქსელი, რომელიც მოამზადებ
მძღვანელ კადრებს ანტირელიგიურ
ბისათვის. აგრეთვე უნდა გამოიცეს
რიგი პოპულიარული ბროშურები
ლოგიურ თემებზე.
სამეურნეო აღმშენებლობის საქ
ყურადღება უნდა მიექცეს შრომის
ფიერების ზრდას და ამასთანავე და
ბით სოციალისტურ შეჯიბრების ჩატ
რამდენათ აგვწევს ჩვენ შრომის ნაყ
ბას, იმდენათ სწრაფი იქნება სოცია
მშენებლობის ტემპი. ამ საქმეში დიდი
უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა. ახ
უნდა იყვნენ ხელმძღვანელები და არა
ნჩალები.
ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერ
რემოებას, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას წარსულ
ნუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ
ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შ
კომკავშირელთა რევოლუციონური
გის და ენტუზიაზმის მაქსიმალურ გამ
ბას სოციალისტურ შეჯიბრებაში.
სამწუხაროდ ეს არ ესმის ზოგიერ
კახეთის მაზრიდან ერთმა კომკავშირელ
რიალი მოათავსა „ახალგაზრდა კომუნ
თავისი ფაბრიკის ცხოვრების შესახ
ატეხა დიდი ამბავი, დირექტორმა 8 სა
აიერა მთელი ფაბრიკის მუშაობა
რომ ეპოვნა ის კადნიერი, რომელმაც
კორესპონდენციის დაწერა.
ოზურგეთის მაზრიდან კომკავშირელ
ზეთში დასწერა შენიშვნა, რომ აქ კო
ცრომ ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამხ
ბარათით 8 ფუთი შაქარი მისცა კერძ
ლიმონადის ქარხნისათვის. პარტიის სა
კომიტეტმა ამ კორესპონდენტის
ფაქტი მენშევიზმათ მონათლა. ამგვარ
ბები ხდება იმიტომ, რომ ზოგიერთი ამ
ბი ვერ ერკვევიან კომკავშირის ხელმძ
ლობის საკითხებში.

ამხ. ლაკობა

აფხაზეთი

მე ვილაპარაკებ კადიროვის მოხზ
და მისი მოღვაწეობაზე. ეს გაზეთის
ვიდა აფხაზეთში პარტიული დირექ
შესრულების გამოსაკვლევად და იქ შ
რაღაც მიზნით, სპეკულიაცია გაეწია
თხებზე, რომლებსაც აფხაზეთში
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტ
ზე და რომლებიც მუდამ სწორად, ბოლ
კურად სწყდებოდნენ.
კადიროვი ცდილობდა გამოეწვია
ლაც „არანორმალური ურთიერთობა“
თველოს და აფხაზეთს შორის და რომ
ზას ვერ მიაღწია საქმე დაცანვით
გაეტანა. ის ეუბნებოდა აფხაზ ამხ
რომ ისინი გაბედულობას ვერ იჩენენ,
სალაპარაკო ბევრი აქვთ.
კადიროვმა აფხაზეთის ორგანიზაცი
შესაფერი პასუხი მიიღო. ლაპარაკი იმ
სახებ, რომ აფხაზეთი უკმაყოფილოა ს
თველოს რესპუბლიკით, სრული სი
აფხაზეთის მშრომელნი დიდი ხანია პ
კურად გაერთიანებულნი არიან სა
ლოს მშრომელებთან, ხოლო იმაზე, რომ
ხაზეთის ხალხი კულტურულად ჩამორ
ლია ქართველებთან შედარებით, არც ს
თველოს და არც აფხაზეთს ბრალი არ
ძლევს. საქართველოს კომპარტიის ცე
ლური კომიტეტი ამ მიმართულებით
ლობს ყველა შესაძლებელ ზომებს და
ზეთის მშრომელთა კულტურული
ამჟამად უქვს გარეშეა.
ასე რომ საქართველოში ნაციონალურ
კითხი ლენინურად არის გადაჭრილი.
კადიროვი, ვერც მენშევიკები, ვერც
ტისტები და სხვა კონტრ-რევოლუციონ
ბი ვერ შესძლებენ უნდობლობის
საქართველოსა და მასში შემავალ ეროვნ
ურ ოლქების მშრომელთა შორის.

5 ივლისი

ამხ. ურუშაძე

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან სჩანს, რომ ჩვენ მრავალი მიღწევა გვაქვს. შრომის ნაყოფიერების ზრდისა, თვითღირებულების შემცირების, წარმოების რაციონალიზაციის და სხვა საქმეში.

მიუხედავად ამისა ჩვენს მშენებლობას ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ. პირველყოვლისა აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა. ჩვენ ფართოდ, მასიური კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებით ბოლო უნდა მოუღოთ ყოველგვარ დამახინჯებას სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამეურნეო და სხვა ორგანოებში. ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი არაფერი გაგვიკეთებია. ეს ამხანაგმა კახიანმაც აღნიშნა. მომავალში ამ მხრივ კიდევ დიდი მუშაობა დაგვჭირდება.

მე მინდა ორიოდე სიტყვით ვსთქვა ამხ. ხარამიძის გამოსვლის გამო. უდავოა, რომ გურიაში საბჭოთა ხელისუფლებას მრავალი მიღწევა აქვს განსაკუთრებით კოლექტივიზაციის საქმეში, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მთლიანად სამაზრო კომიტეტის მოღვაწეობის შედეგი იყოს. გურიის ორგანიზაციაში სუსტად არის დაყენებული შინაპარტიული დემოკრატიის გატარებაც. ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც მე დავესწარი, გამოვიდნენ და სულ აპარატში მომუშავეებმა ილაპარაკეს. ეს გამიკვირდა და ვიკითხე, თუ რათ არ გამოდიან ადგილობრივი ამხანაგები. თავმჯდომარემ ამ შეკითხვისთანავე დასვა საკითხი კამათის შეწყვეტის შესახებ.

ყველა ეს და სხვა დეფექტები გველაპარაკებიან, რომ გურიის ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაა საჭირო.

ამხ. გეგეშიძე

მე მინდა შევჩერდე ქალთა წარმოებაში ჩაბმის საკითხზე. ეს საქმე ვერ არის ჩვენში კარგად, სათანადოთ დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ შენდება მრავალი ფაბრიკა-ქარხნები—ქალების ჩაბმა წარმოებებში სუსტად მიმდინარეობს. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება საგეგმო კომისიამ და სხვა დაწესებულებებმაც.

განათლების კომისარიატსაც უნდა უსაყვედუროთ, რომ ის არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ქალთა განვითარების საკითხს, ცუდათ დგას ქალთა შორის წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმეც. განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი ხშირად „ავათ ხდება“. როცა ქალთა კრებებზე მოხსენების გასაკეთებლად გამოვიწვევთ.

სამუშაოზე გაგზავნილ ქალებს ბევრჯერ უკან გვიბრუნებენ და იმართება ერთი მიმოწერა ამ ნიადაგზე. ძალიან დიდ დაბრკოლებებს შეხვდებით ქალთა დაწინაურების საქმეშიაც. უამრავ მაგალითების დასახელება შეიძლება ამ მხრით ოზურგეთის, ფოთის, კახეთის მაზრიდან და თვით თბილისიდანაც. დააწინაურებენ თუ არა მშრომელ ქალს დაიწყებენ ოფიციალურ ცნობების კრებას: მართლა მუშა-ქალია ის თუ არა. თუ კი ქალთა განყოფილება დასაწინაურებლად აყენებს მშრომელ ქალს, მას იმდენი ნდობაც უნდა ჰქონდეს, რომ შეცდომაში არავის შეიყვანს.

ჩვენ აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალთა შორის პოლიტაღმზრდელობით მუშაობას.

ამხ. მაჩაიძე

პროფსაბჭო

პროფკავშირები ჯერ კიდევ სუსტათ არიან ჩაბმული სამეურნეო მუშაობაში. პროფკავშირებს ჯეროვანათ არ დაუმუშავებიათ ჩვენი მეურნეობის 5 წლიანი გეგმა. ჩვენ კავშირებს უკიჟინებთ, რომ ისინი ვერ აწარმოებენ შესაფერის მასიურ მუშაობას, არა საკმაო ყურადღებას აქცევენ საწარმოო თათბირებს. ეს შეიძლება ითქვას, ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მიმართაც, რომელნიც არ აქცევენ ყურადღებას მუშების წინადადებებს წარმოების გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხში ერთნაირად მოიკოჭლებენ პროფკავშირებიც და სამეურნეო ორგანიზაციებიც.

პროფკავშირებმა ცოცხლად მოჰკიდეს ხელი სოციალისტურ შეჯიბრებას, მაგრამ უნ-
და ითქვას, რომ ამ საქმეში ისინი სა
მოქნილობას ვერ იჩენენ. ზოგიერთ სა
ნეო ორგანიზაციების სკეპტიკურად
ბენ ამ დიდ მნიშვნელობის მქონე ს
ერთხელ სამეურნეო ორგანიზაციამ გ
და: კარგია სოციალისტური შეჯიბრე
რამ ეს მარტო პროფკავშირების ს
ასეთი შეხედულება არ არის სწორი და
რომ ყრილობამ ყურადღება მას მიაქ
პროფკავშირებს უნდა დაეხმარონ ყველ
განიზაციები, მხოლოდ ამ პირობებში
უნაკლო ჩვენი მუშაობა, განმტკიცდებ
მის დისციპლინა, აიწევს შრომის ნაყ
რება და შემცირდება პროდუქციის თ
რებულება.

ამხ. ა. დოლიძე

ორატორი ეხება უმთავრესად თვითკ
კის გაშლის საკითხს. ის ამბობს, რომ
განსაკუთრებით უმაღლეს ორგანოებში
არის სათანადოთ გაშლილი თვითკ
ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, თვითკ
უნდა გაიშალოს ფართოდ, მხოლოდ ი
იყოს გულწრფელი და ჯანსაღი.
პრესას უდიდესი მნიშვნელობა აქვს
ნაკლოვანებების გამოსწორების საქმ
უდიდესი იარაღია, თვითკრიტიკის გ
ლად. მაგრამ როგორია პრესის მ
ჩვენ პრესას დიდი მიღწევები აქვს.
პრესა ემსახურება პარტიას, მაგრამ
დროს უნდა ითქვას, რომ პრესაშიც აქ
გილი მრავალ დამახინჯებას. პრესით ხ
ლობს ზოგიერთი საეჭვო პირი და
უტეხს პატიოსან მუშაკს. ხოლო შემდ
ბრალდების გაბათილება გაზეთში აღ
ჭდება.
ჩვენ ეს დამახინჯება თავიდან უნდა
ცილოთ.

ამხ. წულუკიძე

რაჭა-ლეჩხუმი

ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა
ცოთ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას,
ლიც გამოწვეულია ჩვენი მრეწველო
ფიციტიანობით და აგრეთვე ახალმშ
ხარჯთაღრიცხვების სისტემატიური
ვით. ამ საკითხზე ყრილობამ მტკიცე დ
ვა უნდა მისცეს ყრილობამ ცეკას ახ
მადგენლობას.
ახალი დარაიონება დაახლოვებს
საბჭოთა ორგანოებთან, დაახლოვებს
მმართვა-გამგეობის საქმესთან.
ხელს შეუწყობს სოფლის სოც
გარდაქმნასაც, მხოლოდ საჭიროა ის
შეიძლება მალე იქნეს ჩატარებული.

ამხ. მზარეულიშვილი

აქ ამხანაგები გამოდიან და აღნი
მრავალ დეფექტს სამეურნეო მშენებ
სამწუხაროდ ეს ამხანაგები ადგილებზე
ლაპარაკობენ ამ დეფექტების შესახებ.
ამხ. კალანდაძემ სთქვა, რომ ქუთაი
რიტის ქარხანა განზრახული 600 ათ
თის ნაცვლად, მილიონი დაჯდა. ეს არ
სწორი, იქ ამდენ დახარჯვას მშენებ
ადგილი არ ჰქონია. იქ ადგილი ჰქონდა
ლანგვებს და სხვა ნაკლოვანებებს,
ლის წინააღმდეგ ადგილობრივ ორგა
ას თავის დროზე არ მიუღია საჭირო
მარტო სამეურნეო აპარატი ვერ
ძღვანელებს მშენებლობას. საჭიროა
კონტროლის გაძლიერება. უნდა ჩავა
შები მშენებლობის საქმეში და მაშინ
ფექტებიც აღმოიფხვრება.
პროფკავშირებს რომ ნაკლი აქვთ,
თვით პროფკავშირებიც არ ფიცავენ.
ითქვას, რომ ამ დეფექტებს განსაკუ
დიდი ვნების მოტანა შეუძლიათ ეხლა,
საც ჩვენს წინაშე ხუთწლიანი სამეურ
მის განხორციელების ამოცანა
პროფორგანოებმა უნდა მიიღონ ზომე
სათვის, რომ დეტალურად გაეცნონ და
წავლონ მუშურ მასებს 5-წლიანი გეგ
ამასთანავე მათ ხელი უნდა შეუწყონ
მის ნაყოფიერების აწევას და თვითღ
ლების შემცირების საქმეს. ყველა ამის
ლებისათვის საჭიროა პროფორგანიზა
მუშაობას სათანადო ყურადღება მიაქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენდერსონის განცხადება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ყალბ დოკუმენტების დამამზადებელთა დამცველების ანტი-საბჭოთა გამოსვლები მარცხით დამთავრდა

პრესა ერთხმად აღნიშნავს პროცესის გარშემო შექმნილი „იდეურ" ბურუსის გაფანტვას

ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 5 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ხელ-სიტყვის გარშემო გამართული კამათის დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰენდერსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას სურს, რაც შეიძლება მალე განახლდეს ნორმალური საკონსულო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. შემდეგ ჰენდერსონმა სთქვა: „ინგლისის მთავრობა 1924 წელს დათანხმდა, რომ დე-იურედ ეცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. მას აქეთ საბჭოთა რუსეთის მთავრობა უნდა ვსთვლიდეთ ამ სახელმწიფოს მთავრობად, მას ინგლისის მთავრობა სწორედ ასე უყურებს. ურთიერთობის შეწყვეტამ 1927 წელს მხოლოდ შეაჩერა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც ახლა განახლებულ უნდა იქნას" (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია

რედაქტორის დაპატიმრების გამო

პარიზი, 4 ივლისი. ლილში გამართა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია კომპარტიის ადგილობრივ ორგანოს რედაქტორის ბლონდელის დაპატიმრების გამო. ბლონდელი ბრალდებულია იმისათვის, რომ მან დაბეჭდა წერილი ტრაგიკულად დაღუპული მუშის შესახებ. ეს მუშა გაჭყლიტა ავტომობილმა, რომელშიაც იჯდა ლილის რაიონის დიდი საფეიქრო ფაბრიკის პატრონი.

დემონსტრანტებმა სხვა ლოზუნგებს შორის წამოაყენეს ლოზუნგები: „ძირს იმპერიალისტური ომი", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს".

მოხდა შეტაკება პოლიციასთან. დაშავდა ბევრი, დააპატიმრეს სამი მუშა (ადს).

საფრანგეთი და ამერიკა

პალატამ მიიღო დადგენილება რატიფიკაციის შესახებ

პარიზი, 4 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ 17 ხმის უმრავლესობით 16 ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება ვალების საკითხზე შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, პრეზიდენტს დუმერგს შეუძლია დაამტკიცოს შეთანხმება ორი შენიშვნით, პირველი შენიშვნის მიხედვით, მელონ-ბერანჟეს შეთანხმებას ძალა აქვს „საერთაშორისო საფინანსო შეთანხმებათა ეხლანდელი მდგომარეობის პირობებში", მეორე შენიშვნის თანახმად, საფრანგეთი გაიღებს მელონ-ბერანჟეს შეთანხმებით გათვალისწინებულ გადასახადებს მხოლოდ იმ თანხებიდან, რომლებსაც თვით საფრანგეთი მიიღებს აღნიშნულ საერთაშორისო შეთანხმებათა ძალით. (ადს).

„დღესასწაული" მე-46 ქვეითი პოლკში

პარიზი, 4 ივლისი. ნეის რაიონში სამხედრო ხელისუფლებამ მე-46 პოლკში გამართა „ტრადიციული დღესასწაული". ამ ცოტა ხნის წინად ხსენებულ პოლკში ჯარისკაცებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია ყაზარმის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ერთი ჯარისკაცი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

„დღესასწაულის" დროს ჯარისკაცებმა დასტოვეს ყაზარმები. მათ არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს ოფიციალურ ზეიმში. (ადს).

ორლოვის და პავლონოვსკის პროცესი

ბერლინი, 4 ივლისი. პრესის გამოხმაურებანი ორლოვის პროცესის გამო მოწმობს, რომ დამცველთა ანტი-ბოლშევიკურმა გამოსვლებმა და მათმა ცდამ—სახელი გაუტეხათ მთავარი მოწმეებისათვის ვერ შეასუსტა მოწმეთა ჩვენებით მოხდენილი შთაბეჭდილება. თვით „ფორვერტს"-იც კი აღნიშნავს, რომ ცილისწამების ბურუსი, რომელსაც უნდა დაეფარა ბოროტმოქმედების შინაარსი, თანდათან იფანტება. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ უსირცხვილო ბრალდებულთა განცხადება, თითქოს ნაცერზიდიკერი არის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს და გერმანიის პოლიტიკური პოლიციის აგენტი.

4 ივლისის დილის სხდომაზე დამცველებმა ცად დაიწყეს. ორლოვის დამცველი იაფე იძულებული გახდა—უკან წაეღო თავისი განცხადება იმის შესახებ, ვითომ ნაცერზიდიკერი თავს ეჭირა ისე, როგორც პროვოკატორს და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს აგენტს. კამათი უმთავრესად სწარმოებს ზივერტის საიუვო საქმეების გარშემო. დამცველებსა და პოლიტიკურ პოლიციას შორის, რომელიც აშკარად მეგობრულობას უწევს ზივერტს, კონფლიქტი ჩამოვარდა.

სისხლის სამართლის პოლიციის მოხელემ გრასშვიცმა, რომელიც გამოვიდა, როგორც მოწმე, განაცხადა, რომ პოლიციის ხელმძღვანელობამ მას ნება არ დართო თავისუფლად მიეცა ჩვენება და მოსთხოვა, რათა მისთვის მიეცემოდა ყოველი კითხვა წინასწარ წარედგინოდა დასამტკიცებლად პოლიციის სამმართველოსთვის.

დამცველთა ენერგიული პროტესტის მიუხედავად, სასამართლომ მიიღო იქითი გადაწყვეტილება, რომელიც პოლიციის თვალსაზრისს ეთანხმება.

დღის სხდომაზე გამოქვეყნდა სასამართლოს გადაწყვეტილება—გადაიდოს პოლიციის კომისრების ბრაშვიცის და გელერის დაკითხვა იმ დრომდე, სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას ორლოვის დამცველის სარჩელის შესახებ.

სხდომის დასასრულს სასამართლომ განიხილა „სახელმწიფო პოლიტსამმართველოს წერილები". დამცველებმა კვლავ სრული დამარცხება განიცადეს (ადს).

საბოლოოდ გამოირკვა ორლოვის როლი

ბერლინი, 4 ივლისი. ორლოვის პროცესის შემდგომი მსვლელობის დროს ბრალდებულებმა და მათმა დამცველებმა უფრო დიდი მარცხი განიცადეს. როგორც ვიცით, პავლონოვსკი ამტკიცებდა, რომ მან ორლოვისაგან მიიღო „სახელმწიფო პოლიტსამმართველოს წერილები". ორლოვი კი აცხადებდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის.

წინააღმდეგობის მისახშობლად პავლონოვსკიმ სთქვა, რომ ორლოვმა მას გადასცა დაბეჭდილი კონვერტით დოკუმენტები, რომლებიც მან პრომშკოსაგან მიიღო. პავლონოვსკიმ თავის მხრით ეს კონვერტი ისევე დაბეჭდილი გადასცა ზივერტს. ამგვარად, პავლონოვსკის ჩვენების მიხედვით გამოდიოდა, რომ არც მან, არც ორლოვმა არ იცოდნენ დაბეჭდილი პაკეტის შინაარსი.

პროკურორის წინადადებით წაკითხულ იქნა პავლონოვსკის წერილები ამ დოკუმენტების დაწვრილებითი კომენტარიებით. ამ წერილების გამანადგურებელი შთაბეჭდილებით დაზაფრული პავლონოვსკი მოულოდნელად აცხადებს, რომ იგი მხოლოდ წუთიერი სისუსტის გავლენით შეეცადა დაეცვა ორლოვი, ნამდვილად კი მათ კარგად იცოდნენ როგორც დოკუმენტების, ისე ამ წაკითხული წერილების შინაარსი, სადაც დაწვრილებით განხილულია დოკუმენტების „განსაკუთრებით მაღალი ფასის" საკითხი.

პავლონოვსკი აცხადებს, რომ ეს წერილები ორლოვის მიერ იყო ნაკარნახევი.

დღევანდელმა სხდომამ საბოლოოდ გამოარკვია ორლოვის როლი (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის შექმნის 6 წლის თავი

მოსკოვი, 5 ივლისი. 1923 წლის 6 ივლისს საბჭოთა კავშირის ცაკმა დაამტკიცა კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ჯერ კიდევ 1922 წელს რუსეთის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის და ბელორუსიის სრულუფლებიანმა დელეგაციებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ადგენდნენ იქნა საბჭოთა კავშირის შექმნა. ეს ხელშეკრულება, აგრეთვე განსაკუთრებული დეკლარაცია დამტკიცებულ იქნა საბჭოების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ და დამატებით განხილვისთვის გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს.

1923 წლის 6 ივლისს მიღებულ კონსტიტუციაში ჩართულ იქნა ყველა ის შესწორება და დამატება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებმა შეიტანეს. კონსტიტუცია შეიცავს განსაკუთრებულ დეკლარაციას და ხელშეკრულების ტექსტს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. „საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება,—ნათქვამია დეკლარაციაში, — გამოიწვია საგარეო უშიშროების, შინაური სამეურნეო წარმატების და საბჭოთა ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ეროვნული განვითარების უზრუნველყოფის საჭიროებამ. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობით გაერთიანებას და თვითეულ რესპუბლიკას მინიჭებული აქვს კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება, ხოლო კავშირში შესვლა შეუძლია ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, როგორც არსებულს, ისე იმას, რომელიც მომავალში წარმოიშვება.

ხელშეკრულებას, კავშირის შექმნის შესახებ ხელი მოაწერეს რუსეთის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, ხოლო შემდეგ თურქმენისტანის და უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკებმა. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭო ინდუსტრიალიზაციის ფონდის შესახებ

მოსკოვი, 5 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭოს მუშების და მოსამსახურეებისაგან მოსდის უამრავი წინადადება 6 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღის მოწყობის შესახებ. განზრახულია, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მუშების და მოსამსახურეების საზოგადო კრებებზე.

საკავშირო პროფსაბჭო გამოდის შემდეგი კონკრეტული წინადადებით: 6 აგვისტო დაწესდეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღედ. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, მუშებისა და მოსამსახურეების საზოგადო კრებების დადგენილებით, ამ დღეს უქმეულად სწარმოებს ჩვეულებრივი მუშაობა იმ პირობით, რომ ამ დღის ხელფასი ჩაირიცხება ინდუსტრიალიზაციის განსაკუთრებულ ფონდში. ინდუსტრიალიზაციის ფონდები არსდება საკავშირო პროფსაბჭოსთან და პროფკავშირთა საოლქო და რესპუბლიკანურ საბჭოებთან შემდეგი წესით: დაგროვილი სახსრების 60 პროცენტი შედის საკავშირო პროფსაბჭოს ფონდში, ხოლო 40 პროცენტი — პროფკავშირთა საოლქო და რესპუბლიკანურ საბჭოებთან არსებულ ფონდებში.

ფონდებში დაგროვილი თანხა მოხმარდება მხოლოდ სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას. (ადს).

შეიძლება თუ არა წმენდამდე შვებულებაში წასვლა

მოსკოვი, 5 ივლისი. შეკითხვაზე—შეიძლება თუ არა წმენდამდე შვებულებაში წასვლა, მოსკოვის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის მდივანმა ამხ. კარავაევმა განაცხადა:

„პარტიის წევრს ვერავინ აუკრძალავს შემოწმებამდე წავიდეს შვებულებაში. მაგრამ სასურველია, რომ პარტიის წევრის შემოწმება შვებულებაში წასვლამდე მოხდეს, რათა არ შეფერხდეს წმენდის საერთო მიმდინარეობა. თუ პარტიელს რაიმე მიზეზით არ შეუძლია შვებულების გადადება, მისი შემოწმება მოხდება შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ უახლოეს ერთ-ერთ მორიგ კრებაზე". (ადს).

მშრომელ პოლონელთა ყრილობებზე

მოსკოვი, 5 ივლისი. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მცხოვრებ მშრომელ პოლონელთა ყრილობაზე გაიმართა კამათი ამხ. სახაცკის მოხსენების (საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა) გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ციმბირის, ლენინგრადის, ვოლგის რაიონის, კავკასიის, მოსკოვის და სხვა ადგილების დელეგატებმა.

დელეგატები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ იმ უდიდეს განსხვავებას, რომელიც არსებობს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმცირესობათა შორის. აღნიშნავდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირში მცხოვრები პოლონელების შემოქმედებითი მუშაობას კავშირის დანარჩენ მშრომელებთან ერთად.

ყრილობა თავის რეზოლუციაში აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, მიუხედავად ჩვენი მტრების ინტრიგების გაძლიერებისა, და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი პოლონელები საბჭოთა კავშირს, სადაც ხელისუფლების სათავეში არიან მუშები და გლეხები, სთვლიან თავიანთ ნამდვილ და ერთად ერთ სამშობლოდ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, ამხ. კრაევსკის მოხსენება საორგანიზაციო საზოგადოებრივი კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხ. ლიის მოხსენება პოლონელ მოსახლეობის შორის კულტურული მშენებლობის შესახებ და ამხ. პშიბიშევსკის მოხსენება ვარშავის ყრილობის შესახებ.

გაცხოველებული კამათისა და რეზოლუციის მიღების შემდეგ არჩეულ იქნენ დელეგატები ვარშავის ყრილობაზე. ერთხმად აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: როსტანისი—პუტილოვის ქარხნის დაზგის მუშა, ლესნევსკი—მუშა, დაბადებით ვარშაველი, ყოფილი პოლიტიკური გადასახლებული პშიბიშევსკი—მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი პოლონელი მწერლის შვილი და რუშკოვიჩი — პუტილოვის ქარხნის მუშა, რომელიც ლოძიდან გადაასახლა მეფის მთავრობამ.

ყრილობა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით, რომელიც დიდი ენტუზიაზმით შესრულდა. (ადს).

კიევი, 5 ივლისი. მშრომელ პოლონელთა სრულიად უკრაინის ყრილობაზე ამხ. სკრიპნიკმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა და პოლონელთა მშრომელი მასების მიღწევების შესახებ უკრაინაში. მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მნიშვნელობა უკრაინის პოლონური მოსახლეობისათვის.

ამჟამად უკრაინაში არის 329 პოლონური სკოლა და პოლონელთა 153 სასოფლო საბჭო. მშრომელი პოლონელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალაქის საბჭოებში შედის 4.124 პოლონელი, სასოფლო აღმასკომებში—62, რაიონულ აღმასკომებში—217, სრულიად უკრაინის ცაკის წევრია 10 პოლონელი.

ყრილობამ ერთხმად მიიღო ამხ. სკრიპნიკის წინადადება — გამოწვეულ იქნან საბჭოთა ბელორუსიის და საბჭოთა რუსეთის მშრომელი მასები სოციალისტურ შეჯიბრებაში პოლონური სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გეგმის სწრაფად შესრულებაზე, პოლონური მოსახლეობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციაზე 3 წლის განმავლობაში და სხვ.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა უკრაინაში მშრომელი პოლონელები სრული ბატონ-პატრონნი არიან თავიანთი ცხოვრების.

მინსკი, 5 ივლისი. მშრომელ პოლონელთა ბელორუსიის ყრილობაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვუტკევიჩის მოხსენება საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ და ამხ. კლისის მოხსენება ბელორუსიის მშრომელი პოლონური მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული მიღწევების შესახებ. მოხსენებების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40 კაცმა.

კამათში მონაწილე მუშები და გლეხები ლაპარაკობდნენ თავიანთი ფაბრიკა-ქარხნებისა და კოლექტიური მეურნეობების კულტურულ მიღწევებზე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ბელორუსიის მშრომელი პოლონელები არ საჭიროებენ პოლონელი ფაშისტების მზრუნველობას.

„საიდანაც არ უნდა მოგვევლოდეს ჩვენ საფრთხე — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ საბჭოთა ქვეყნის დასაცავად. ჩვენი ერთად-ერთი სამშობლო საბჭოთა კავშირია". (ადს).

კრედიტები თბ. წყალსადენის მშენებლობისათვის

მოსკოვი, 5 ივლისი. „ცეკომბანკ"-მა გადასწყვიტა — გაიღოს დამატებითი გრძელვადიანი სესხი 500.000 მანეთის რაოდენობით თბილისის წყალსადენის მშენებლობის განაგრძობად და 120.000 მან. ნუხის წყალსადენის დასამთავრებლად. მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1-ლი დეკემბრისათვის. (ადს).

აგროსპეციალისტების მომზადება და სასოფლო სამეურნეო სკოლები

(მასალები მიმდინარე პარტყრილობისათვის)

იმ დიად ამოცანებისათვის, რომლებსაც ისახავს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მეურნეობაში; საჭიროა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ჰყავდეს საკმაო რიცხვი სპეციალისტებისა; დღეს არსებული მდგომარეობა ამ მხრივ სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარება, არ შეიძლება სხვანაირად წარმოვიდგინოთ, თუ არა საერთო საწარმოო გეგმას დამორჩილებული, რაიონის ბუნებრივ და ეკონომიურ პირობების მიხედვით.

ასეთ მეურნეობას კი უთუოდ დასჭირდება ტექნიკოს - ოსტატები, ერთი მხრით მოსახლეობისათვის, როგორც ინსტრუქტორები, მეორეთი საწარმოო წამოწყებებისათვის. ასეთი იქნება მებაღეობა, მევენახეობა, ჩაის წარმოება, მესაქონლეობა, ტექნიკური კულტურები და სხვა.

ტექნიკოს - ოსტატების, უმცროსი აგრონომიული პერსონალის მომზადება უნდა ხდებოდეს სპეციალ ორწლიან სკოლებში. ამ სკოლებში მიიღებიან ოთხწლედის კურსდამთავრებულები.

ასეთი სკოლების რიცხვი და ხასიათი განსაზღვრული უნდა იყოს რაიონების მიხედვით.

რას წარმოადგენს დღევანდელი საშუალო სასოფლო - სამეურნეო სკოლა? ვერც სპეციალისტებს გვიმზადებს, რომლებიც ადგილობრივ აგრონომიულ მუშაკებად გამოდგებიან, ვერც ისეთ კადრს, რომელსაც შეეძლოს ჯეროვნად შეითვისოს უმაღლესი სასოფლო - სამეურნეო განათლება.

ამ სკოლების დანიშნულება უნდა იყოს შემდეგი: საშუალო, აგრონომიულ პერსონალის (სარაიონო, და სათემო აგრონომების), სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის პრაქტიკულ მუშაკების მომზადება ერთი მხრით და მეორეთი — აგრონომიულ ფაკულტეტის მომავალ მსმენელთა კადრის შექმნა.

სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმების დამთავრებელთ უნდა ეძლეოდეთ უპირატესობა აგრონომიულ ფაკულტეტზე მიღების დროს. კიდევ მეტი: აგროფაკულტეტის მსმენელთა რიცხვი უმთავრესად ასეთ სპეციალ საშუალო სკოლებ დამთავრებულთ, და პრაქტიკა - გავლილთაგან უნდა შესდგებოდეს.

ამ მიზნების მიხედვით არსებულ საშუალო სასოფლო - სამეურნეო სკოლების ქსელი და მათი პროგრამები საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს.

როგორ არის უმაღლესი სასოფლო - სამეურნეო განათლების საქმე დაყენებული?

თითქმის ათი წელია, რაც ფაკულტეტი არსებობს, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მის მუშაობას არ ახასიათებდა გარკვეული და მჭიდრო კავშირი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანოებთან.

1924 წელში შემოღებული ფაკულტეტის სასწავლო გეგმა დასპეციალებას აწარმოებდა მებაღეობისა, და სასოფლო - სამეურნეო დარგზე. ასეთი დასპეციალება, გარდა იმისა, რომ ძლიერ ზოგადი იყო, მიუღებელი იყო იმ მხრითაც, რომ მებაღეს, მაგალითად, წარმოდგენა არ ჰქონდა მესაქონლეობაზე და პირიქით.

იმავე დროს სწავლება სწარმოებდა უმთავრესად ლექციების წესით, კაბინეტები სრულებით მოუწყობელი იყო და ამასთან დაკავშირებით აკადემიური პრაქტიკა შემთხვევითი და ღარიბი. მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის შესწავლა ძლიერ სუსტი. ლაბორატორიები პედაგოგიურ ფაკულტეტთან ერთად ისეთ აუტანელ პირობებში იყო, რომ სტუდენტს ჯერის ცდა უხდებოდა 2—3 წელი.

1927 — 28 სასწავლო წლიდან ერთი მხრით სპეციალ შენობის მიღებით, მეორე — სამეურნეო ორგანოების, უმთავრესად, მიწსახკომის დახმარებით, მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდა. დღეს ფაკულტეტის კაბინეტების უმეტესობა სპეციალ კურსებზე (3 და 4) ცოტად თუ ბევრად რიგიანად არის მოწყობილი; ფაკულტეტს თავისი ქიმიური ლაბორატორია აქვს. ფაკულტეტთან დაარსდა სამი საცდელი სამეცნიერო სადგური მიწსახკომისა: ზოოტექნიკური, იარაღ - მანქანებისა და სატყეო (მუზეუმით). ამ სადგურების მნიშვნელობა ფაკულტეტისათვის ორგვარია: სტუდენტებისათვის მასსიური პრაქტიკისა და კვლევითი სამეცნიერო მუშაობისათვის გამოყენება. ფაკულტეტის სასწავლო გეგმაც საფუძვლიანად შეიცვალა და გართულდა — შეეფარდა სოფლის მეურნეობაში ახლად წამოყენებულ ამოცანებს.

თუ ორი პირველი წელი ბუნებისმეტყველებისა და სხვა ძირითად საგნების შესწავლას უნდება, მესამე წელი საერთო აგრონომიულ საგნების შესწავლას ემსახურება. დასპეციალება უკვე იძლევა მეოთხე წელი: მესაქონლე, მებაღე, მეველე და ეკონომისტი - ორგანიზატორი.

ამნაირი სპეციალისტი იმავ დროს, საკმაოდ შეიარაღებულია საერთო აგრონომიულ და სხვა დარგების ცოდნით. საბოლოო დასპეციალება სტაჟისა და პრაქტიკის პროცესში მოხდება, რასაც შედეგად სადიპლომო შრომის დამუშავება და დაცვა უნდა მოჰყვეს.

გართულდა ფაკულტეტის მუშაობა 1928 — 29 წლიდან აგრეთვე იმ გარემოებით, რომ მას შეუერთდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სას.-სამ. ფაკულტეტი. მაგრამ თუ ფაკულტეტს წინსვლა დაეტყო, მოთხოვნები, რომლებსაც მას უყენებს განვითარების საჩქარო ტემპით მიმდინარე სოფლის მეურნეობა, ბევრად აღემატება იმას, რაც ფაკულტეტს დღეს შეუძლია:

სუბტროპიკულ მეურნეობის კათედრა და საჭირო ლაბორატორიები ფაკულტეტს არა აქვს მოწყობილი.

მაშინ, როდესაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების ორგანიზაციას და ამისათვის საჭირო იქნება სპეციალისტები, ფაკულტეტს სრულიად არა აქვს სასოფლო - სამეურნეო ტექნოლოგიის ლაბორატორია.

განსაკუთრებით გაჭირვებულ პირობებშია ძირითად საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება.

40—50 სტუდენტი ერთს მიკროსკოპზე მუშაობს. ფიზიკის ლაბორატორიაში სტუდენტი ჯერს წლობით უცდის, ქიმიას მხოლოდ წიგნით სწავლობს და სხვა...

ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება:

საჭიროა სამეურნეო ორგანოებმა, მიწსახკომის მეთაურობით შექმნან სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისაგან შემოსულ თანხების ანარიცხებით სპეციალი ფონდი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმეს, ე. ი. აგრო-მუშაკთა მომზადებას უნდა მოხმარდეს.

იმავე ორგანოებმა უნდა თავის საცდელ - სამეცნიერო დაწესებულებების დაარსება და მუშაობა მჭიდროთ დაუკავშირონ აგრონომიულ ფაკულტეტის მუშაობას.

ასეთი კავშირი სახელმწიფო თანხების ეკონომიას მოგვცემს, სამეცნიერო საცდელ მუშაობას წინ წასწევს და აგრონომიულ ფაკულტეტის მუშაობასაც განამტკიცებს. რაც თქმა უნდა ამ ორგანოებს ასეთ პირობებში, უფლება ექნებათ მოითხოვონ უშუალოდ მონაწილეობა ფაკულტეტის მუშაობაში, მეთვალყურეობისა და კონტროლის ფუნქციები.

ამ მონაწილეობის ფორმები უნდა დაუყოვნებლივ დამუშავდეს და გატარდეს ცხოვრებაში.

ამასთან ერთად უნდა გადიჭრას ფაკულტეტის სხვა საორგანიზაციო კითხვები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი არიან მისი მუშაობისათვის.

აზერბეიჯანის რესპუბლიკამ სასოფლო - სამეცნიერო ინსტიტუტი მიწსახკომს გადასცა.

ეს საორგანიზაციო კითხვები სასოფლო - სამეურნეო უმაღლეს სკოლისათვის სხვა რესპუბლიკებშიაც სდგას.

ყოველ შემთხვევაში მართვა-გამგებლობისა, ის ცენტრალიზაცია, რომელიც არსებობს დღეს თბილისის უნივერსიტეტში, მეტად შემზღუდველია და მიუღებელი ტექნიკურ სკოლის (აგრონომიული ფაკულტეტის) ინიციატივისა და სამეურნეო ორგანოებთან კავშირისათვის.

ვან. კანდელაკი.

უკანასკნელი ცნობები

მაკდონალდის მთავრობის პოზიცია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხში

ლონდონი, 5 ივლისი. გარეშე საქმეთა მინისტრი ჰენდერსონი საგარეო პოლიტიკის შესახებ გამართული კამათის დროს შეჩერდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხზე. ჰენდერსონმა განაცხადა, მთავრობის მიერ გადადგმული ერთად-ერთი ნაბიჯი ამ საქმეში მდგომარეობს, რომ მან მოლაპარაკება დაიწყო დომინიონებთან. მეთოდი, რომელსაც ამ საკითხში მთავრობა გამართავს, რამდენადმე დამოკიდებული იქნება დომინიონების პასუხებისაგან. რაც შეეხება პროპაგანდის საკითხს, მაკდონალდმა უკვე აშკარად განაცხადა 1924 წელს, რომ ჩვენ არ მოვითმენთ პროპაგანდას, რომელიც წარმოადგენს როგორც თვით ინგლისის, ისე დიდი ბრიტანეთის რომელიმე ნაწილის შინაურ საქმეებში ჩარევას. ასეთია მთავრობის პოზიცია ამჟამად და ასეთივე იქნება კვლავაც. თუ მართალია ის, რომ რუსეთმა საზღვარგარეთიდან გამოიყენა თავისი გამოცდილება და ცდილობს ნორმალური საგარეო ურთიერთობა დაამყაროს ბრიტანეთის იმპერიასთან, მაშინ მე მზად ვარ ვიფიქრო, რომ რუსეთი თანახმა იქნება განსაზღვრული ვალდებულებანი იკისროს და თვალყური ადევნოს, რომ ეს ვალდებულებანი შესრულდეს. თუ რუსეთი ამ გზას დაადგება, ჩვენ მეტს არ უნდა მოველოდეთ მისგან; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პალატა ერთსულოვნად მოისურვებს, რათა მთავრობამ ეს საქმე წინ წასწიოს სეფე-სიტყვაში გატარებული თვალსაზრისის საფუძველზე (ადს).

საპარლამენტო არჩევნების შედეგები ჰოლანდიაში

ბერლინი, 5 ივლისი. ჰოლანდიიდან იუწყებიან: საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებს თვალსაჩინო ცვლილება არ შეუტანია ძალთა იმ განწყობილებაში, რომელიც არსებობდა დეპუტატთა პალატაში. კომუნისტებმა შეინარჩუნეს თავისი მანდატი (ადს).

სამხედრო მასალა პოლონეთის არმიისათვის

ბერლინი, 5 ივლისი. „დეიჩე ტაგესციტუნგი" დანციგიდან იუწყება: 27 და 30 ივნისს შვედ პოლონეთის ხომალდმა ნავთსადგურზე, დანციგის მახლობლად, გაატარეს სხვადასხვა სამხედრო მასალა; ეს დაკავშირებულია პოლონეთის არმიის სარდლობის სურვილთან, რომ შემოღებულ იქნას ერთნაირი შეიარაღება პოლონეთის არმიაში არსებული საზღვარგარეთის სხვადასხვა ტიპის თოფების ნაცვლად (ადს).

კაცთა მჭამელობა სიმშილის ნიადაგზე

პეკინი, 5 ივლისი. გაზეთი „ხუზიე-შიბაო" იუწყება: განსუს პროვინციაში სიმშილისაგან ყოველდღე იხოცება 2.000 კაცი. შიმშილით ადამიანის შეჭმის შემთხვევა (ადს).

ლიკვიდატორების გამორიცხვა პარტიიდან

ვენა, 4 ივლისი. ავსტრიის კომპარტიის ვენის ორგანიზაციამ პარტიიდან გამორიცხა ლიკვიდატორები შრეველდერი და პაულ შოშე იმის გამო, რომ მათ ხელი არ აიღეს ფრაქციულ მუშაობაზე. (ადს).

შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას

ტოკიო, 4 ივლისი. ახალი მინისტრები ოფიციალურად შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას. (ადს).

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი

მოსკოვი, 5 ივლისი. საბჭოთა კოოპერაცია შედის საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში, რომელიც აერთიანებს 36 ქვეყანას, 100.000 ორგანიზაციას და 50 მილიონ წევრს.

ალიანსის ლიდერები გაფთრებით ებრძვიან კოოპერაციის რევოლუციონურ პროლეტარულ მოძრაობას, მონაწილეობას იღებენ ბურჟუაზიულ მთავრობათა ორგანოებში, მხარს უჭერენ მათს პოლიტიკას და ხელს უწყობენ სამომხმარებლო კოოპერაციის შეზრდას კაპიტალისტურ საწარმოებთან.

ალიანსში პროლეტარულ შეხედულებას კოოპერაციაზე მხოლოდ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელნი იცავენ. საბჭოთა კოოპერატორები ალიანსში საკითხს სვამდნენ იმის შესახებ, რომ კოოპერაციას ებრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ და მონაწილეობა მიეღო პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში. ისინი მოითხოვდნენ, რომ ალიანსი პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციებთან ერთად გამოსულიყო შეიარაღებისა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხთა გამანთავისუფლებელი მოძრაობის დასაცავად.

დასავლეთის კოოპერატიული პრესა სისტემატიურად ეწევა ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კოოპერაციის წინააღმდეგ. საბჭოთა კოოპერაციის ვაჭრობა კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერაციასთან შეუჩერებლად იზრდება. „ცენტროსოიუზ"-თან ვაჭრობის მხრით პირველი ადგილი უჭირავს ინგლისისა და შოტლანდიის კოოპერაციას. თვალსაჩინო ინტერესს წარმოადგენს საკავშირო ურთიერთობის გაცხოველება ბელგიის კოოპერაციასთან. შარშან „ცენტროსოიუზ"-მა ბელგიაში იყიდა სპეციალური სახის ბამბის ქსოვილები. ამ ოპერაციისათვის „ცენტროსოიუზ"-ს მიეცა გრძელვადიანი კრედიტი 2 წლის ვადით. „ცენტროსოიუზ"-ის საკავშირო ურთიერთობა გერმანიის კოოპერაციასთან განისაზღვრება საბჭოთა საექსპორტო საქონლის — კვერცხისა და დაკლული ფრინველის გაყიდვით. ეს ოპერაციები ამჟამად საკმაოდ საგრძნობ თანხებს აღწევენ. უკანასკნელ ხანებში „ცენტროსოიუზ"-ის საქმიანი ურთიერთობა გაცხოველდა აგრეთვე ავსტრიის კოოპერაციასთან. „ცენტროსოიუზ"-ის საქმიანი ურთიერთობა სწრაფად ვითარდება მონღოლეთის კოოპერაციულ ცენტრთან. 1928—29 წელს „ცენტროსოიუზ"-ის საერთო ბრუნვა უცხოეთის კოოპერაციასთან აღემატება 15 მილიონ მანეთს, წინა წელს კი— 10.313.000 მანეთს უდრიდა (ადს).

ამერიკელი ფინანსიური მრჩეველი მოსკოვში

მოსკოვი, 5 ივლისი. ამჟამად მოსკოვში იმყოფება ამერიკელი ფინანსიური მრჩეველი პოლონეთში ჩარლზ დიუი, რომელიც არაოფიციალურად გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში. დიუი მიიღო სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარემ ამხ. პიატაკოვმა, მთავარი საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კამენევმა, საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოვალეობის აღმასრულებელმა ამხ. კარახანმა და საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. სტომონიაკოვმა. (ადს).

გარბიან ტროცკისტებისაგან

ტროცკიზმის სრული გახრწნის სურათი მოჩანს იმ მცირე რიცხოვანი მუშების ჩამოშორებით, რომელთა მოტყუებაც შეძლო ყოფილმა ოპოზიციამ. თბილისის ორგანიზაციის რაიკომებში ერთიმეორეზე შემოდის განცხადებანი ყოფილ ოპოზიციონერების; ისინი სრულიად იღებენ ხელს ტროცკისტულ ბანაკში მუშაობაზე და თან ამხილებენ ტროცკიზმის კონტრ-რევოლუციონურ შინაარსს.

— „მე ვტოვებ ტროცკისტების რიგებს და საბოლოოდ ვსწყვეტ კავშირს მათთან როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეურად. რამდენიმე წლის განმავლობაში პარტიის წინააღმდეგ მიმართული ფრაქციული ბრძოლა გარდაიქცა კონტრ-რევოლუციონურ ბრძოლად პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ვაღიარებ ჩემი მოქმედების ღრმა შეცდომას წარსულში და დარწმუნებული ვარ, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობისა და მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი სრულიად სწორია. მთელის ჩემის ენერგიით განვახორციელებ ამ გადაწყვეტილებებს და ამით მოვირეცხ ტროცკისტის სამარცხვინო ლაქას".—ასე სწერს სტალინის სახელობის ქარხნის სავაგონო საამქროს მუშა ამხ. **ხიორგი ბაირამაშვილი** თავისი განცხადებაში, რომელიც მან წარუდგინა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომს.

— „1927 წლიდან მე ვმუშაობდი ტროცკისტულ ოპოზიციაში. ეხლა გულდასმით შევაჩერე ტროცკისტების საქმიანობა და მივედი დასკვნამდე, რომ მათი მუშაობა კონტრ-რევოლუციონურია. ერთ წუთსაც ვეღარ დავრჩები მისტერ ტროცკის ორგანიზაციის რიგებში. მთლიანად ვიწონებ პარტიის ბრძოლის მეთოდებს ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ და ვეთანხმები საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობისა და მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს".—სწერს ქარხნის მეორე მუშა ამხ. **მელიტონ ცარახოვი.**

ყველა, ვინც კი შეცდენილია ოპოზიციამ შორდება. აი იმ დანარჩენი მუშების გვარები, რომლებმაც ლენრაიკომში შეიტანეს განცხადებები ტროცკისტული ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ: **ნიკოლოზ გრიგორიევი, პავლე ხუნდაძე, კონსტანტინე ალლაძე, შალვა ბზინაძე** — ტრამვაის მუშები; **გალაქტიონ ზაქრაძე, ქ. უჯმაჯურიძე**—საქონლის სადგურის მუშები; **მიხეილ მახარაშვილი, გიორგი ლაღიძე, პაპიშვილი, ალ. ქულიაშვილი, შ. შინაშვილი**—სტალინის სახელობის ქარხნის მუშები.

ქალაქის რაიკომში ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ განცხადება შემოიტანა პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიის მუშამ ამხ. **სარუხანოვმა.**

ექვსი ივლისი — კოოპერაციის დღე

კოოპერაციის გზით სოციალიზმისაკენ

(კოოპერაციის დღის გამო)

კოოპერაციის დღე არის კოოპერატიული ძალებისა და მიღწევების შემოწმების და აღრიცხვის, აგრეთვე მშრომელთა კოოპერატიული მასების საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაციის დღე.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, პროლეტარიატის, რომელსაც ყოველთვის ხელმძღვანელობს საკავშირო ლენინური კომპარტია (ბოლშევიკების) და, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მშრომელ გლეხობასთან, — კოოპერაციას საბჭოთა კავშირში სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კოოპერაცია აჩვევს ახალ წესებს, სახელდობრ: კოოპერატივებში მონაწილეობის საშუალებით წვრილი მწარმოებელი თანამედროვე პირობებში ებმება სოციალისტურ მშენებლობაში და სხვ.

„ ჩვენ, რომ შევსძლებდეთ ყველა მშრომელის შეკავშირებას კოოპერაციაში, ორივე ფეხით ვიდგებოდით სოციალისტურ ნიადაგზე", — ასე ამბობდა და სწერდა ჩვენი დაუვიწყარი ლენინი.

სხვადასხვა სახის კოოპერაციის განვითარება უკანასკნელ წლებში სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ყოველ წლობით ახალი და ახალი წევრები ემატება კოოპერაციას. მაგრამ ეს ზრდა თანაბარი ტემპით არ სწარმოებს კოოპერაციის ყველა დარგში.

კოოპერატიულ მოძრაობას საფუძვლად უდევს ყოველი მშრომელის მისწრაფება არა მარტო გააუმჯობესოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა, არამედ აგრეთვე განამტკიცოს მთლიანი საბჭოთა მეურნეობა; რადგან კოოპერაცია საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში წარმოადგენს მშრომელთა ინტერესების დამცველ სამეურნეო ორგანიზაციას, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის იარაღს.

მომხმარებელთა და მწარმოებელთა მასები, მიწის და მრეწველობის მუშაკები, რომლებიც კოოპერაციაში არიან გაერთიანებულნი, შეადგენენ დიდ მსოფლიო ოჯახს. კოოპერაცია საბჭოთა კავშირში არის მძლავრი იარაღი პროლეტარიატის გამარჯვებისათვის სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, იგი არის გზა სოციალიზმისაკენ.

მიხა ცხაკაია.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე და კოოპერატიული ალიანსი

კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაული ფორმის მხრივ, მართალია, მსოფლიო მასშტაბით ტარდება, მაგრამ შინაარსის მხრივ ის არასოდეს არ წარმოადგენდა მთლიანობას და არც დღეს წარმოადგენს. საბჭოთა კოოპერაცია, ჩაბმული საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, გამოდის როგორც მისი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერაცია, რომელიც მეურნეობის უკანა რიგშია ჩამდგარი, გამოდის როგორც მისი უმნიშვნელო მანჩალა. აქედან სულ სხვა დასხვაა დღიური ლოზუნგები ამ ორი სხვადასხვა მიმართულების კოოპერაციისა.

მიმდინარე წელს ეს განსხვავება უფრო მეტი სიაშკარავით ცხადდება ფორმის მხრითაც. ალიანსი, როგორც გარეგნული გაერთიანება, მთელი ქვეყნის კოოპერაციისა, აქამდე ახერხებდა გამოეცა საერთაშორისო დღისთვის ერთი მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერდენ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებიც. მართალია, ეს უკანასკნელნი იმავე დროს უფლებას იტოვებენ გამოეცათ საკუთარი მოწოდება საბჭოთა ქვეყანაში, მაგრამ ალიანსის გარეგნული მთლიანობისთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა იმასაც, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გასავრცელებელ მოწოდებებს ამშვენებდა კლასობრივ ნიადაგზე მდგარი კოოპერაციის წარმომადგენელთა ხელმოწერა.

მიმდინარე წელს ეს გარეგნული მთლიანობაც მოსპობილია: საერთაშორისო დღისთვის გამოცემულ მოწოდებიდან მოხსნილია საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთა ხელმოწერა. იმ გაალმასებულ კლასთა ბრძოლაში, რომელიც დღეს სწარმოებს, როდესაც ძველი ქვეყანა თავით ფეხებამდე იარაღით იჭურვება პროლეტარიატის დასათრგუნავად და პირველი პროლეტარული სახელმწიფოს გასასრესად, შეუძლებელი შექნა ხელისმოწერა ისეთ მოწოდებაზე, რომელიც კმაყოფილდება საერთო გაცვეთილი ფრაზებით და მშრომელ ხალხს არ მიუთითებს იმ უდიდეს საშიშროებაზე, რომელიც ომის სახით მზადდება მსოფლიო იმპერიალისტების მიერ.

ალიანსმა ჯიუტად უარყო საბჭოთა კოოპერაციის წინადადება მუშათა კლასის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან დასაახლოვებლად, სამაგიეროდ სიხარულით შეეგება ასეთი დაახლოვების იდეას მუშათა კლასის გამყიდველ მეორე ინტერნაციონალთან. ალიანსი „ნეიტრალობას" იცავს მუდამ, როდესაც საქმე ეხება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამოქმედებას, ხოლო ეს „ნეიტრალობა" მუდამ ავიწყდება მას, როდესაც ბურჟუაზიული ბანაკიდან ხელს დაუქნევენ და ხალხის ინტერესების გაყიდვას დაავალებენ.

ასე, მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ გამოააშკარაოს ფართო მასის თვალში ერთა ლიგის ნამდვილი ბუნება, ალიანსს დიდი მიღწევად მიაჩნია ამ ლიგის ზოგიერთ კომისიებში მონაწილეობა. ვინ არ იცის დღეს, თუ რას წარმოადგენს ერთა ლიგა? ეს უაღრესად კონტრ-რევოლუციონური იმპერიალისტური დაწესებულება პაციფისტური ფრაზების კორიანტელში ახვევს თავის ნამდვილ ზრახვებს; და ამ ზრახვების გამომზეურება წარმოადგენს მთელი ქვეყნის მუშათა პარტიებისათვის მათი ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ ამოცანას. ალიანსი კი, ნაცვლად ამისა, სახელს უკეთებს ერთა ლიგას მით, რომ მასში „დადებით მოღვაწეობას" ეწევა და ამით თავისი წვლილი შეაქვს მუშათა კლასის შეგნების დაბნელებაში.

დღეს, როდესაც ქვეყანა, ორ მტრულ ბანაკად არის გაყოფილი, შეუძლებელია ნეიტრალობა, ერთი ადგილის ტკეპნა, განზე დგომა და სეირის ყურება. ეს აღემატება ალიანსის ძალასაც. როგორც მშრომელი ხალხის გაერთიანების ორგანო (აერთიანებს 45 მილიონ მომხმარებელს), ის უნდა იდგეს მშრომელთა ბანაკში ქვეყნის მჩაგვრელთა და პარაზიტთა წინააღმდეგ. მისი დროშა მშრომელი ხალხის დროშა უნდა იყოს, მაგრამ იქ მოკალათებულ მენშევიკ - რეფორმისტების წყალობით ის შეგნებულად გაურბის ამ გზას და უფრო არჩევს მტრის ბანაკში იმოღვაწეოს.

აშკარაა, ასეთ პირობებში ყოველი მისი მოწოდება, ყოველი მისი ნაბიჯი ხალხის ფართო მასისაკენ გადადგმული, სულ წინააღმდეგ შედეგს აღწევს. და საბჭოთა კოოპერაციაც თუ რჩება ალიანსში, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს მისი საქმიანობა, გამოამზეუროს მისი ნაბიჯების ნამდვილი ხასიათი და მით ცხადჰყოს ფართო მასის თვალში, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე პირობებში მასიური ორგანიზაციის მუშაობა.

მ. ტოროშელიძე.

რა ხდება ადგილებზე

მოჯამაგირეების ექსკურსია

თელავი, 4 ივლისი. კომკავშირის და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის კომიტეტის ინიციატივით, მოეწყო მოჯამაგირეთა ექსკურსია ბაქოში. ექსკურსიაში 30 კაცი შედის, აქედან ოთხი ქალია. ექსკურსანტები თბილისში ჩავლენ და იქედან ბაქოში გაემგზავრებიან. (ადს).

აგრონომების ექსკურსია რუისპირის აგროპუნქტში

თელავი, 4 ივლისი რუისპირის აგროპუნქტში მოსულმა აგრონომთა ექსკურსიამ გაიცნო აგროპუნქტის მეურნეობა. თავი მოიყარა მრავალმა გლეხმა და კოლექტივის წევრებმა. აგროპუნქტის დათვალიერების შემდეგ აგრონომებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ ვაზი, დაავადების მიუხედავად, კარგ მდგომარეობაშია. ვაზის მოსაწამლავად აგროპუნქტი ხმარობდა საბჭოთა შაბიამანს. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეს შაბიამანი არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთიდან შემოტანილ შაბიამანს. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შემოდგომის მჭკრივად ნათესმა, რომელმაც საუცხოოდ გაიხარა. აგრონომების აზრით, რუისპირის აგროპუნქტი სამართლიანად ითვლება სანიმუშო აგროპუნქტად მაზრაში. (ადს).

აგრონომების მივლინება უკრაინაში

გურჯაანი, 4 ივლისი. სამაზრო საადგილმამულო განყოფილება უკრაინაში, შევჩენკოს საბჭოთა მეურნეობაში გზავნის ორ აგრონომს სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციის საქმის შესასწავლად. აგრონომთა მეორე პარტია კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში იქაურ კოლმეურნეობათა მუშაობის გასაცნობად. (ადს).

განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლა

ა.-კ. საუწყებათაშორისო კომისიის დაარსება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა ა.-კ. ს.მ.უ. საბჭოს გამოყოს საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დაევალება გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები ამიერ-კავკასიის მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოსაღებად.

კომისიაში ჩაბმული იქნებიან ა.-კ. რესპუბლიკანური ს.მ.უ. საბჭოების წარმომადგენლები, ა.-კ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. შრომის კომისარიატის, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის, ა. კ. პროფსაბჭოს და ზოგიერთ მსხვილ ტრესტებისა და წარმოებების წარმომადგენლები.

მრეწველობაში განუწყვეტელ საწარმოო წელიწადის შემოღების საკითხი კომისიამ უნდა შეისწავლოს 1-ლ ოქტომბრამდე და თავისი დასკვნები უნდა წარუდგინოს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

რა გამოარკვია სატყეო მრეწველობის შესწავლამ

საქართველოს სატყეო მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების საკითხის შესწავლა დაევალა სატყეო ტრესტის სპეციალისტს—ინჟ. ავალიანს, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— საქართველოს სატყეო მრეწველობაში შესდგება 5 დარგისაგან —სახერხი დარგი, გრეხილი ავეჯეულობის წარმოება, სტკეჩე წარმოება, სადურგლო დარგი და საფანერო მრეწველობა. ჩატარებული წინასწარ შესწავლიდან გამოირკვა, რომ ხე-ტყის სახერხს წარმოებში განუწყვეტელი მუშაობის შემოღება მიმდინარე წლის განმავლობაში არ იქნება შესაძლებელი, რადგან ამჟამად სწარმოებს მუშაობა სახერხი ქარხნების კონცენტრაციისათვის და სანამ საბოლოოდ არ მოხდება ეს კონცენტრაცია, არ გვეცოდინება, თუ სად უნდა გავატაროთ ეს რეფორმა. გრეხილი ავეჯეულობის წარმოებები შესაძლებელია გადაყვანილ იქნენ განუწყვეტელ მუშაობაზე, მაგრამ ამას დააბრკოლებს ნედლი მასალის მოწოდების მოუგვარებლობა. საქმე იმაშია, რომ ტრესტს არ მოეპოება სათანადო სატრანსპორტო საშუალებები, რომ დამზადებული ნედლი მასალა თავის დროზე მიაწოდოს წარმოებებს.

ჯერ-ჯერობით განუწყვეტელი სამუშაო წელიწადის შემოღება შესრულებული და აუცილებელია ზუგდიდის სახერხ ქარხანაში. ეს ქარხანა მუშაობს უმთავრესად საექსპორტო ხე-ტყის მასალის დამზადებაზე და იქ რეფორმა გატარებული იქნება მიმდინარე ზაფხულიდანვე.

განუწყვეტელი წელიწადი ახალ მშენებლობაში

ახალშენებათა სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ჩიკვაიძემ, რომელსაც ამასთანავე დავალებული აქვს ახალმშენებლობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების საკითხის შესწავლა, ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ჩატარებული შესწავლიდან გამოირკვა, რომ ახალი საამშენებლო სამუშაოებში განუწყვეტელი საწარმოო წლის შემოღებით შესაძლებელი გახდება ერთის მხრივ—აღმშენებლობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება და მეორეს მხრივ მისი გაიაფება. მაგრამ ამ რეფორმის შემოღება აღმშენებლობაში შესრულებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაძლიერებული იქნება სამუშაოებისათვის ფინანსების მიწოდების ტემპი.

ს.მ.უ. საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისის აზრით, მიმდინარე წლის განმავლობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოღებული უნდა იქნეს ცდის სახით მხოლოდ სამ საამშენებლო სამუშაოზე. ასეთი სამუშაოებია—თბილისის დიდი მექანიკური ქარხნის, თამბაქოს საწყობის ფერო-მარგანეცის ქარხნის საამშენებლო-სამუშაოები. სამავე აღნიშნული სამუშაოებზე რეფორმის გატარება დაიწყება წელსვე.

წინასწარი ვარაუდით განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლით აღმშენებლობის ტემპი გაიზრდება 16 პროცენტით.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის 10 წლის თავი

1919 წელს დაარსდა მუნიციპალური კავშირი, რომელიც აერთიანებდა შემდეგი წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს: ტფილისის საქალაქო თვითმმართველობა, წყალსადენის სახელოსნო, ავჭალის წყალსადენი, მეხანძრეთა რაზმი, სასაკლაოს, სახლებში მომუშავეებს, მებაღეებს და სახალხო სახლის და ბიბლიოთეკების მოსამსახურეებს.

კავშირის წევრების საერთო რიცხვი 3.000 კაცს უდრიდა. თბილისის თვითმმართველობასა და მეხანძრეთა რაზმთან დაარსდა ქვე-კომისიები და გამოყოფილი იქნა რამოდენიმე დელეგატი. დელეგატებს ხელმძღვანელობას უწევდა კავშირის გამგეობა.

1919 წელს, 19 აპრილს, სადელეგატო კრებაზე მუშა-მოსამსახურეებმა გამოჰყვეს სპეციალური კომისია 11 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა კავშირის წესდების გამომუშავება. მუშა-მოსამსახურეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომ მუშები ხშირად აწყობდნენ გაფიცვებს. ასეთი გაფიცვები მოეწყო 20—მარტს, როდესაც თბილისის თვითმმართველობამ უარი განაცხადა მუშებისათვის სამი თვის კუთვნილი ხელფასის მიცემაზე. 24 მარტს მოწვეული იქნა მეხანძრეთა რაზმის თანამშრომელთა საერთო კრება ამხ. კარპენკოს თავმჯდომარეობით. კრებამ ერთხმათ დაადგინა, რადგან თბილისის ყველა მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს გაფიცვა და მათ შორის ჩვენ გამოვრჩით, ამიტომ კრებამ სასურველად სცნო შეუერთდნენ გაფიცულებს. გაფიცულებისათვის კავშირს არავითარი მატერიალური დახმარება არ აღმოუჩენია და არც მოლაპარაკება უწარმოებია ქალაქის თვითმმართველობასთან. გაფიცვას შედეგად მოჰყვა მთელი რივი ამხანაგების დატუსაღება. მათ შორის მეხანძრეთა რაზმის ბრანდ-მაიორი ამხ. იურიევი. ამის შემდეგ ხელი მიჰყვეს მუშების დათხოვნას სამსახურიდან. პირველად დათხოვნილი იქნა ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ბუდაგოვსკი, რომელმაც ადმინისტრაციის ნებადაურთველად მოიწვია კრება. ასეთი რეპრესიული ზომების მიღების შემდეგ, კომისიებმა უკვე დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, რადგან მუშებს შორის ჩაერია საიდუმლო აგენტები. ამით კი მათ უნდოდათ შეცდომაში შეეყვანათ მუშები. 1920 წლის ბოლო რიცხვებში ისევ შეუწყვიტა ქალაქის თვითმმართველობამ ჯამაგირის მიცემა მუშებს, კავშირმა ვერავითარი ზომები ვერ მიიღო და ამიტომ ამორჩეული იქნა დელეგატები საერთო კრების ჩასატარებლად ადგილებზე. ამ საერთო კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. ისინი მხარს უჭერდნენ ქალაქის მმართველობას, მიუხედავათ ამისა საერთო კრებამ მაინც გამოიტანა დადგენილება გაფიცვის შესახებ, თუ სამი დღის განმავლობაში არ იქნებოდა გადახდილი ჯამაგირი, მაგრამ კავშირის თავმჯდომარე არ დაეთანხმა გაფიცვას, სანამ კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი არ გამოიტანდა თავის დადგენილებას.

მუშები დამარცხდნენ, რადგან ქალაქის თვითმმართველობამ დაქსაქსა და დაიჭირა მრავალი გაფიცული. ასეთივე პირობებში უხდებოდა მუშაობა აბანოს, სასაკლაოს, და სხვ. მუშებსაც. ასეთია კომ.მეურნეობის მუშაკთა კავშირის წარსული.

კ. ქორიძე. ჯრაანუ—ლსრზ-1აემ

120.190 ტონა 12.890 ტონას ნაცვლად

(მარგანეცის ამოღება ივნისში)

მარგანეცის ტრესტში მიღებული ცნობებით, ივნისის განმავლობაში ჭიათურაში ამოღებულია 120.190 ტონა მარგანეცი. აქედან გაურეცხიათ 70.660 ტონა და საზღვარ-გარედ გაუტანიათ 13 გემით 89.660 ტონა. აღნიშნული თვის განმავლობაში ჭიათურაში მუშაობდა 15 მაღარო და ამდენივე ქარხანა.

მიმდინარე წლის მაისში კი ამოღებული იყო 105.417 ტონა მარგანეცი. ერთი წლის წინად, ე. ი. მაშინ, როდესაც ჭიათურაში მუშაობდა კონცესიონერი, სახელდობრ 1928 წლის მაისში მუშაობდა 2 მაღარო და 1 ქარხანა, ხოლო თვის განმავლობაში ამოღებულ იქნა 12.890 ტონა მადანი.

ამგვარად საბჭოთა ხელისუფლების ხელში მარგანეცის სამუშაოების გადასვლის შემდეგ მარგანეცის ამოღებამ გადააჭარბა კონცესიონერის დროს ამოღებულ რაოდენობას რვაჯერ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში

ფიზკულტურის ინსტრუქტორების წმენდა

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭომ აუცილებლადდა დროულად სცნო, ამიერ - კავკასიის ფიზკულტურულ ორგანიზაციების ინსტრუქტორთა წმენდა; რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ წმენდაში და მოამზადონ ფიზკულტურის ინსტრუქტორთა ახალი კადრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინსტრუქტორების მომზადებას მუშათა წრიდან და იდგილობრივ ეროვნებები-

პროფსაბჭოების აპარატის წმენდა

საქართველოს პროფსაბჭოს აპარატის გამწმენდ კომისიაში ამიერ-კავკ. პროფსაბჭოდან შეყვანილია ამხ. ხარაბაძე. ამავე კომისიას დაევალა ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს აპარატის შემოწმებაც; სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოებს დაევალა შემმოწმებელ კომისიების შედგენა.

ფიზკულტურის ორკვირეული

ა.-წ. 27 ივლისიდან—11 აგვისტომდე ჩატარებული იქნება ფიზკულტურის ორკვირეულ

ქრონიკა

ამერიკელი მუსიკოსის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი დირიჟორი ქალ. სირაკუზადან—ვლად. ხავინი. თბილისში იგი გამართავს რამოდენიმე კონცერტს. 1-ლი კონცერტი მისი დირიჟორობით დანიშნულია 9 ივლისს.

სოხუმის ნავთსადგურის აგება

ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველომ მიიღო განკარგულება საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატისაგან, რომ მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან დაწყებულ იქნეს მუშაობა სოხუმის ნავთსადგურის ასაგებათ. აღნიშნული ნავთსადგურის საშუალებით გადაწყვეტილია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გაზიდვა გემებით ქერჩის ქარხნებისათვის.

ნავთსადგურის აგება სულ დაჯდება — 5.500.000 მანეთი, ხოლო ამთავითვე სამუშაოების დასაწყებათ გადადებულია 1.000.000 მანეთი. ნავთსადგურის აგება უნდა დამთავრდეს 2 წლის განმავლობაში.

229.000 მან. სესხი სასოფლ. მეურნეობას

ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკმა საქართველოს საბჭოთა მეურნეობის ტრესტს მევენახეობის გასაძლიერებლად გადასცა გრძელვადიანი სესხი — 100.000 მანეთის რაოდენობით.

გურჯაანის საგრენაჟო სადგურის მოსაწყობად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცა 120.000 მან. გრძელ-ვადიანი (19 წლიანი) სესხი.

სამხრეთ - ოსეთის რძის ნაწარმოებების ქარხნების შესაკეთებლად ა. კ. სას.-სამ. ბანკმა საქართველოს სას.-სამ. ბანკმა გადასცა 9.000 მან. გრძელვადიან სესხი.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის იუბილე

დღეს, საღამოს 7 ს., ტრამვაის მუშათა კლუბში გაიმართება კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირის 10 წლის არსებობის იუბილე.

საზეიმო სხდომის შემდეგ, მხატვრული პროგრამა.

სას.-სამ. კულტურების კონტრაქტაცია ამიერ-კავკასიაში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების კონტრაქტაცია დამთავრდა ამიერ-კავკასიის ყველა რაიონებში. ბამბის ნათესებზე კონტრაქტაცია დადებულია 163.936 ჰექტარზე, რითაც გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით, თამბაქო—15.384 ჰექტ., გეგმა შესრულებულია 105,9 პროც., კუნჟუტი—5.000 ჰექტ.—94,3 პროც., კენაფი—2.985 ჰექტ.—97,9 პროცენტი, ხორბლეული კულტურები—41.240—ჰექტ.—103,1 პროც. და მატყლი—2.013 ტონა—90.9 პროც..

თამბაქოს და ბეწვეულების დამზადება

სეზონის დასაწყისიდან პირველ ივლისამდე ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნა 9.038 ტონა თამბაქო, რომლის ღირებულება შეადგენს 10.940.300 მანეთს. წლიური გეგმა შესრულებულია 80,6 პროცენტით.

ბეწვეულობის დამზადების სეზონი უკვე დამთავრდა. სეზონის განმავლობაში შესყიდული იქნა 303.000 მანეთის ბეწვეული, რაც შეადგენს სეზონის გეგმის 80 პროც..

თბილისის აღმასკომში

◆ სახანძრე ავტომობილის შესაძენად აღმასკომმა გადასდო 5.000 მანეთი.

◆ ფშავ - ხევსურეთში ჯანმრთელობის განყოფილება ამ დღეებში აგზავნის სამედიცინო რაზმებს.

◆ საბავშო ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღმასკომმა გადასდო 4.000 მ.

◆ ალბულაღის კოლექტიურ მეურნეობებს დახმარების სახით მიეცა 1.150 მანეთი.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მეცხვარეთა ყრილობა.** დეკემბერში მოსკოვში შესდგება მეცხვარეთა საკავშირო ყრილობა, რომელზედაც საქართველოდან გაიგზავნება 7 წარმომადგენელი..

◆ **საბჭოთა მეურნეობის „უდაბნო"-სათვის** მიწად-მოქ. კომისარიატმა რუსეთიდან ჩამოიყვანა 700 სული მერინოსის ჯიშის ყოჩი.

გლეხკომებში

◆ **გლეხის სახლი.** მარტყოფში (სენაკის მაზრა), გაიხსნა გლეხის სახლი, იქვე მოწყობილია სამჭედლო და სახარაზო.

◆ **საავტომობილო მიმოსვლა.** სენაკის სამაზრო გლეხკომმა შეიძინა ავტომობილი, რომელიც ივლის სენაკსა და მარტვილს შორის. ავტომობილით შეღავათიან ფასებში იმგზავრებენ გლეხები.

სხვადასხვა

◆ **სადიპლომო პროექტის დაცვის** შემდეგ, ვ. ლენინის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამთო - ქიმიურ ფაკულტეტის საექსპლოატაციო დარგის სტუდენტს რაჟდენ ჯიქიას მიენიჭა სამთო-ინჟინერის წოდება.

◆ **პროფსაბჭოს** კულტგანყოფილებაში დღეს, საღამოს, 8 საათზე, შესდგება ყველა კავშირების კულტგანყოფილებების გამგეების, მუშათა კლუბების გამგეების თავმჯდომარეთა და ფიზკულტურის ინსტრუქტორების თათბირი.

◆ **ბავშვთა მეგობრების საზ.-ბის კონფერენცია.** უპატრონო ბავშვთა მეგობრების თბილისის საზოგადოების ქალაქის რაიონის მე-5 კონფერენცია მოწვეულია 16 ივლისს თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში. კონფერენცია გაიხსნება საღამოს სრულ 6 საათზე.

ღონისძიებები სპეციალისტთა ახალი კადრების მოსამზადებლად

(თათბირი ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოში)

გუშინ ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოსთან შესდგა თათბირი, ამიერ-კავკასიის ნავთსადგურში და მდინარეებზე მოწყობილ ნაოსნობის საქმეში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის აწევისა და მათი მომზადების შესახებ. თათბირს დაესწრნენ, როგორც ძველი, გამოცდილი ინჟინერ-სპეციალისტების, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების წარმომადგენლებიც.

თათბირის თავმჯდომარემ და ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროსმა ამხ. ტ. ხრინკველმა დამსწრეებს განუმარტა, რომ დასმულია საკითხი სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების შესახებ, რასაც ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმაც. ზოგიერთ დარგში ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმე დაჩქარებით უნდა დავიწყოთ, რადგან ჯერ ერთი სპეციალისტებზე მოთხოვნილება მატულობს და მეორეც თუ ეს ღონისძიება არ გავატარეთ ცხოვრებაში, გაძნელდება იმ მოხუცებული სპეციალისტების ახლებით შეცვლა, რომლებიც ფიზიკური სისუსტის გამო მუშაობას ვეღარ შეძლებენ.

თათბირმა აღიარა, რომ ახალი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლათ და მათთვის სათანადო გამოცდილების მისაცემათ საჭირო იქნება გამოცდილი სპეციალისტებს დახმარება. გამოცდილმა სპეციალისტებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს დავალებული სამუშაოების შესრულებაში, მისცენ მათ ახსნა-განმარტებები მუშაობის დროს წამოჭრილ ამა თუ იმ საკითხზე და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება. თათბირზე დამსწრე ძველმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ასეთ დახმარებას ისინი მუდამ უწევდენ ახალგაზრდა სპეციალისტებს და საერთოდ ახალგაზრდა და ძველ სპეციალისტებს შორის არსებობს ამხანაგური დამოკიდებულება, რაც აადვილებს მათ შორის თანამშრომლობას.

თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ყველა ნავთსადგურებში მომუშავე ძველ გამოცდილ ინჟინერ-სპეციალისტებს ევალებათ მიიღონ თავის თავზე მათთან მიმაგრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმე. ამასთანავე ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო გზებზე მომუშავე ინჟინერ-სპეციალისტები, რომ მათაც მიბაძონ ასეთი მაგალითს.

მასწავლებელთა ცოდნის ასამაღლებლად

პირველ საფეხურის შრომის სკოლის მასწავლებელთა შორის საგრძნობ პროცენტს შეადგენს ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება, მაგრამ აქვთ საკმაო მომზადება და სტაჟი იმისათვის, რომ დაშვებულნი იქნენ მასწავლებლებად.

იმ მიზნით, რომ მათ მიეცეთ საშუალო სკოლის კურსის ცოდნის მისაღებად გამოცდების ჩაბარების საშუალება, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სასწავლო წლის დასაწყისში ადგილებზე მოაწყოს სპეციალური კომისიები.

კომისიების მოწყობისა და მუშაობის შესახებ განათლების კომისარიატმა განათლების სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობები.

ცირკულიარის მიხედვით, განათლების სამაზრო განყოფილებებს ევალებათ სასწავლო წლის დასაწყისში განათლების განყოფილების და განათლების მუშაკთა კავშირის ადგილობრივ განყოფილების წარმომადგენლების, ათ წლიან და სპეც-ტექნიკუმების მასწავლებელთა შემადგენლობით დაარსონ საგამომცდელო კომისიები.

გამოცდებზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებული იქნენ კერძო პირები.

გამოცდები პროფესიონალურ განხრის გარდა, უნდა ჩატარდეს ათ წლიან შრომის პროგრამის მიხედვით.

წერითი გამოცდები ჩატარდება მხოლოდ ქართულში, რუსულში და მათემატიკაში, მხოლოდ ზეპირი ყველა საგნებზე.

კომისიების მუშაობის დამთავრებისთანავე მასალები უნდა გადმოეგზავნოს განათლების კომისარიატს გამოცდების შედეგების დასამტკიცებლად და მოწმობების გასაცემად.

კულტურული ლაშქრობა მთიულეთში

მთიელთა ყოფა - ცხოვრების გასაცნობად და მათი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მთიელთა კულტურული საზოგადოება ფშავ-ხევსურეთში აწყობს კულტურულ ლაშქრობას.

საზოგადოებას ამ ლაშქრობისათვის შემუშავებული აქვს სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით სხვადასხვა ალაგას მოეწყობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სულ გაიხსნება 20 სკოლა, თვითეულ სკოლაში წ.-კითხვას შეასწავლიან 20 კაცს.

სალიკვიდაციო სკოლებში მასწავლებლებად იმუშავებენ უმაღლესი სასწავლებლების მთიელი მოსწავლეები.

ლაშქრობა გასტანს 2—2 ნახ. თვეს, ამ ხნის განმავლობაში 6 ადგილას მოეწყობა მოძრავი აგრონომიული ორ-კვირეული კურსები, კურსებზე გლეხებს შეასწავლიან მესაქონლეობის და რძის ნაწარმოების დამზადების ახალ წესებს და აგრეთვე განუმარტავენ კოლექტიურ მეურნეობის მნიშვნელობას. განზრახულია ლაშქრობის დროს მოეწყოს რამდენიმე კოლექტივი.

გარდა ამისა ფშავში და ხევსურეთში გაიხსნება თვე-ნახევრიანი ჭრა-კერვის კურსები, რომელზედაც მთიელ ქალებს ჭრა - კერვის შეასწავლიან უფასოთ. ამავე კურსების ხელმძღვანელებს დავალებული აქვს წერა-კითხვა შეასწავლონ, როგორც კურსების მსმენელთ, ასე ახლო - მახლო მცხოვრებ მთიელ ქალებს.

მთაში იგზავნება ექიმები, მათ შორის ექიმი გინეკოლოგი. ექიმები საექიმო დახმარების გარდა, მოსახლეობაში ჩაატარებენ სანიტ-განათლების ხასიათის მუშაობას.

უმთავრესი ყურადღება მიექცევა ისეთ მავნე ჩვეულებების შესახებ საუბრების გამართვას, როგორიცაა ქალების გაძევება სახლიდან მშობიარობისა და მენსტრუაციის (თვიურის) დროს.

ფშავ - ხევსურეთის სოფლებში იმავე დროს მოეწყობა უფასო, აღმზრდელობითი მნიშვნელობის საღამო - წარმოდგენები და კონცერტები.

ფშავ - ხევსურეთშივე იგზავნება უამრავი რადიო - სადგურები და კინო.

საზოგადოების დავალებით მთაში მიემგზავრება მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურხული, რომელიც ხალხს გააცნობს როგორც ევროპიულ, ისე ქართულ მუსიკას და იმავე დროს შეაგროვებს ადგილობრივ ხალხურ სიმღერებს.

მოსწავლე ახალგაზრდობას დავალებული აქვთ შეაგროვონ ხალხური ლექსები, ანდაზები და ზეპირ - სიტყვაობა.

ლაშქრობის განმავლობაში მთიან ადგილებში მოეწყობა საზ-ბის უჯრედები, რომელნიც ეთნოგრაფიულ მუზეუმისათვის შეაგროვებენ მასალებს.

საზოგადოებას ლაშქრობისათვის გადადებული აქვს 5000 მანეთი. აგრეთვე შეძენილია ჭრა - კერვის სკოლებისათვის საჭირო ხელსაწყოები, წიგნები და სხ.

ლაშქრობაში მონაწილენი საზოგადოების კანტორაში უნდა გამოცხადდენ დღეს, საღამოს 5 ს. კვირას დილით მოლაშქრეები გაემგზავრებიან წინასწარ შემუშავებული მარშრუტით ფშა-ხევსურეთში.

ჯილდო საუკეთესო კოლმეურნეობებს

წელს ჩატარებულ ამიერ - კავკასიის კოლმეურნეობათა შემოწმების დროს გამოყოფილი იქნა 10 საუკეთესო კოლექტივი, რომლებსაც მეურნეობის კარგად დაყენებისათვის ჯილდოდ მიეცათ გრძელვადიანი სესხი 20.000 მანეთის რაოდენობით, აღნიშნული ჯილდო კოლმეურნეობათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: სას. სამ. არტელ „კიაგზირ აბად"-ს (ყაზახის მაზრა—აზერბ.) მიეცა 5.000 მანეთი, ზემო ქედის კომუნას (კახეთის მაზრა—საქართველო) — 3.000 მან., ფახულანის რაიონის ჯგუფურ განაეროთ (ზუგდიდის მაზრა) — 2.000 მანეთი, სოფელ სალდის (ახალქალაქის მაზრა) მიასნიკოვის სახელობას კომუნას — 2.000 მანეთი, ალბულაღის კომუნას — 1.000 მანეთი, აზიზბეკოვის სახელობის სას. სამ. არტელს (აზერბეიჯანი)— 1.000 მანეთი, სას. სამ. არტელ „წითელ ოქტომბრელს" (განჯის მაზრა—აზერბეიჯანი)— 1.000 მანეთი, არტელ „ამერაშხუციუნ" (სომხეთი) — 1.000 მანეთი, კომუნა „მოჯამაგირე"-ს მანგლისის რაიონი — 1.000 მან., სას. სამ. არტელ „გულგულა"-ს (კახეთი)—1.000 მანეთი, სას. სამ. არტელ „ლიმან"-ს (ზუგდიდის მაზრა)—2.000 მანეთი და სას. სამ. არტელ „ენიოლ"-ს (აზერბეიჯანი)—1.000 მან.

ქიმიურ-ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა სია

პროფ. პ. მელიქიშვილის სახელობის 1-ლი ქიმიური ტექნიკუმი დაამთავრა და ქიმიკოს-ტექნიკოსის სახელწოდება მიენიჭა შემდეგ პირებს: ამაშუკელი ნიკოლოზ, აღლაძე რაფიელ, ბენდელიანი მიხეილ, ბაგდანაშვილი ეკატერინე, ბრეგაძე ალექსანდრე, გარაყანიძე გიორგი, გამსახურდია რაჟდენი, გოგვაძე ვალერიო, დარჩიაშვილი ეკატერინე, თუშმალიშვილი ვლადიმერ, კალანდაძე ნინო, კვანტალიანი ვასო, კიკნაძე გიორგი, კიკნაძე ვახტანგი, მამალაძე ლეონიდე, მგალობლიშვილი მერი, მახაშვილი ზინა, ნოზაძე ვახტანგი, ოდიშარია მედეა, სოსიაშვილი თამარა, შენგელია ანდრო, ჩაგელიშვილი ალექსანდრე, ჩუბინიშვილი ნიკოლოზ, ხითარიშვილი გიორგი, ხომასურიძე გოგა, ჰანტურია ლუდმილა, ჰანიშვილი ევგენია, ჯოხაძე გიორგი და ქლივიძე ელენე.

სულ ტექნიკუმი დაამთავრა 29 კაცმა, მათი უმრავლესობა უკვე გაიგზავნა წარმოებებში, დანარჩენნი გაიგზავნებიან ამ დღეებში.

გარდა ამისა, ამავე ტექნიკუმის მე-3 კურსის მსმენელები გაიგზავნენ წარმოებებში პრაქტიკაზე.

ხელოვნება

ვოკალური კვარტეტის გასტროლები მუშათა კლუბებში

11 ივლისიდან მუშათა კლუბებში დაიწყება რუსეთის მუსიკალური მეცნიერების სახელმწიფო ინსტიტუტის ვოკალურ კვარტეტის (მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალური სტუდიის ყოფ. ვოკალური კვარტეტი) გასტროლები.

ვოკალური კვარტეტი ი. ზვიგუნოვის (ტენორი), მ. პოპოვის (ტენორი), ს. ფეოდოსოვის (ბანი) და პ. იგნატიევის (ბანი) შემადგენლობით დაარსდა მოსკოვში 1921 წელს სამხატვრო თეატრის მუსიკალურ სტუდიაში.

1925—26 წლის სეზონში კვარტეტი მონაწილეობას იღებდა მუსიკალურ სტუდიის საგასტროლო ტურნეში დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. სტუდიის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ კვარტეტი დარჩა საზღვარგარეთ დამოუკიდებელი საკვარტეტო მოღვაწეობისათვის. კვარტეტმა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში მოაწყო 100 მეტი გამოსვლა. ნიუ-იორკში და ჩიკაგოში კვარტეტი მიწვეული იყო რადიო-სტუდიაში, საიდანაც მისი სიმღერები გადაცემული იყო ჩრდილოეთ ამერიკის ყველა შტატებში. ვაშინგტონში კვარტეტი ელ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად გამოდიოდა პრესის საერთაშორისო კლუბში.

კვარტეტი რუსეთში დაბრუნდა 1926 წელს. 1927 წელს კვარტეტი თავის გამგეობაში აიყვანა მუსიკალური მეცნიერების სახელმწიფო ინსტიტუტმა.

თავის არსებობის 8 წლის განმავლობაში კვარტეტმა საბჭოთა კავშირის 30 ქალაქში გამართა 900 მეტი კონცერტი.

—:—

დრამატიული წრეების ოლიმპიადის შედეგები

პროფკავშირების დრამატიულ წრეების ოლიმპიადის ჟიურიმ განიხილა შეჯიბრების შედეგები და მოახდინა ჯილდოების განაწილება.

ვინაიდან შეჯიბრებამ გამოარკვია, რომ წრეებს შორის არ არის დიდი განსხვავება, ამიტომ ჟიურიმ დაადგინა პირველი ჯილდო არავისზე არ იქნეს გავრცელებული.

მეორე ჯილდო (სამი თეატრალური ჟურნალი ერთი წლით) მიეცა პლეხანოვის სახელობის კლუბის ქართულ წრეს, ორი ჟურნალი გამოიწერა მეტყავეთა კლუბის ქართულ დრამატიულ წრეს და ერთი ჟურნალი („სარეპერტუარო ბიულეტენი")—პლეხანოვის სახ. კლუბის რუსულ წრეს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ქართულ წრეს, ტრამვაელთა რუსულ წრეს, საბჭოთა მუშაკების ქართულ და რუსულ წრეებს და მშენებელ მუშების სომხურ წრეს.

—:—

ვერა მაიას კოლექტივის გასტროლები პროვინციაში

ხელოვნების მთავარ მმართველობის საკონცერტო ბიურო დასავლეთ საქართველოში აწყობს ვერა მაიას სახელობის ცეკვის კოლექტივის გასტროლებს. კოლექტივი თბილისიდან გაემგზავრება ამ დღეებში.

—:—

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრის** ქართული სექტორი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ზამთრის სეზონისათვის.

თეატრი ადგენს რეპერტუარს, რომელშიაც ჯერ - ჯერობით შეტანილი იქნება 3 ქართული ორიგინალური პიესა. დაწყებულია თეატრის შეკეთება. ყველა წარმოდგენებზე გამოშვებული იქნება აბონემენტები. აბონემენტების განაწილება დაიწყება აგვისტოში. სეზონი გაიხსნება 1-ლ ოქტომბერს. მთავარ რეჟისორად მოწვეულია ალ. თაყაიშვილი.

◆ **მედსანშრომის კლუბში** დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ **სიმფონიური კონცერტები.** ოპერის თეატრებში 9 ივლისიდან გაიმართება სიმფონიური კონცერტები ცნობილი დირიჟორის ვლადიმერ სავიჩის ხელმძღვანელობით.

რუსეთის სპეც. ტექნიკუმებში მიღების წესი

განათლების კომისარიატის ცნობით, რუსეთის სხვადასხვა სპეციალურ ტიპის ტექნიკუმებში საქართველოს დათმობილი აქვს 53 ადგილი.

ახალგაზრდები, რომლებიც ჩაირიცხებიან ტექნიკუმებში, უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით და საცხოვრებელი ბინებით.

რუსეთის ტექნიკუმებში მიღებულმა ახალგაზრდებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ რუსულ ენაზე 7 წლედის პროგრამის მიხედვით. ტექნიკუმებში მისაღები განცხადებები შეტანილი უნდა იქნას -1ლ აგვისტომდე, ამიტომ სამაზრო განათლების განყოფილებებს ევალებათ სასწრაფოდ შეუდგენ ტექნიკუმებში გასაგზავნთა შერჩევას და სია ქვემოთ ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად წარმოადგინონ განათლების კომისარიატის პროფგანათლების მთავარ მმართველობაში არა უგვიანეს 18 ივლისისა. სიას თან დართული უნდა ქონდეს აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ მსურველები რომელი ტიპის სპეც-ტექნიკუმებში აპირებენ შესვლას.

საჭიროა შემდეგი საბუთები: 1) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ. მოწმობაში უნდა აღინიშნოს, რომ გასაგზავნის მშობლებს არჩევნების უფლება არა აქვთ წართმეული, 2) წლოვანების მოწმობა, 3) ჯანმრთელობის შესახებ გასაგზავნები უნდა იყონ სრულიად ჯანმრთელნი და ქონდეთ ყვავილის საწინააღმდეგოდ აცრილი, 4) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, თუ ამას ჰასაკი მოითხოვს და 5) 2 ცალი ფოტოგრაფიული სურათი.

მეცადინეობა ყველა ტექნიკუმებში, სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმების გამოკლებით, დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. სას.-სამეურნეო ტექნიკუმებში კი 1 ოქტომბერს.

გამოცდები იწარმოებს ორი კვირით ადრე მეცადინეობის დაწყებამდე.

პედაგოგიურ და სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეები დაშვებულნი იქნებიან არა ნაკლებ 15 წლისა, ინდუსტრიალურ ტექნიკუმებში, არა ნაკლებ 16 წლისა.

საერთოდ ყველა ტექნიკუმებში მისაღებთა ჰასაკი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელიწადს.

მოწაფეები კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი 7 წლედის პროგრამების მიხედვით.

არტელ „რაჭა"-ს შემადგენლობის გაჯანსაღება

გუშინ, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების მოხსენება კოოპერატიულ ამხანაგობის „რაჭა"-ს მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამას წინად ჩატარებულ გამოკვლევის დროს „რაჭას" მუშაობაში აღმოჩენილი იქნა მრავალი დეფექტები და ბოროტმოქმედება. „რაჭას" გამგეობა ფქვილის განაწილებას თავის წევრთა შორის აწარმოებდა არა წესიერად, ხშირად ფქვილი ეძლეოდა არა წევრებსაც და სხ.

გარდა ამისა აღმოჩენილი იქნა გაფლანგვა, უყაირათობა და მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობა.

პრეზიდიუმმა დაადგინა: მოიხსნას სამუშაოდან „რაჭა"-ს საგანგებო დავალებათა აგენტი ისაკაძე, მოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის, შალვა აბიაშვილი—თანხების მითვისებისათვის, „რაჭას" საწყობის გამგე ლობჟანიძე, რომელსაც აღმოაჩნდა 1.137 ცალი ტომარა და 2127 მანეთის ღირებულების ფქვილის დანაკლისი. გამოეცხადოს საყვედური ბუღალტერ კერესელიძეს იმისათვის, რომ სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა ანგარიშის საქმეს.

გარდა ამისა პრეზიდიუმმა დაადგინა გამოკვლევის მასალები გადაეცეს თბილისის მაზრა-ქალაქის პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ადმინისტრაციულ ხარჯების შემცირების მიზნით გამგეობის ჯამაგირიანი წევრების რიცხვი დაყვანილი იქნეს 1 კაცამდე, ხოლო კონტროლიორების შტატი შემცირდეს 2 კაცით; სრულებით გაუქმდეს საგანგებო დავალებათა აგენტის თანამდებობა და ამასთანავე სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ამხანაგობის წევრთა წმენდა.

პრეზიდიუმმა დასასრულ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებების „რაჭა"-ს მუშაობის გასაჯანსაღებლად და წევრთა შორის კულტურულ მუშაობის გასაცხოველებლად.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

— **დამსახურებულ რევოლიუციონერებს და საზოგადო მოღვაწეებს.** გასულ თვეში (ივნისში) სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დამსახურებულ რევოლიუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს და მსახიობებს პენსიების სახით მისცა—**21.000 მანეთი.**

— **მივლინებიდან დაბრუნება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. **ვ. ვაშაკიძე**, რომელიც მივლინებაში იყო წასული რაჭის მაზრაში, დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

— **დახმარება ინვალიდებს.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მთავარმა სამმართველომ ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს ივნისში ერთდროული დახმარების სახით დაურიგა **3.232 მანეთი და 75 კაპ.**

— **დოტაცია მაზრას.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა სამხედრო ინვალიდების პენსიებით დასაკმაყოფილებლად თბილისის მაზრას დოტაციის სახით მისცა— **10.044 მანეთი და 80 კაპ.**

— **პენსიები და დახმარებები.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის, თბილისის საპენსიო განყოფილებამ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში (ამათზე შემოერთებულია ქალაქი დუშეთი და მისი მაზრა) მცხოვრებ ინვალიდებს გასულ თვეში პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა 7.710 მანეთი.

სასამართლო

შვილობილის მსხვერპლი

საჩხერის უბნის სახალხო სასამართლომ გაარჩია მოქ. **დავით ბერაძის** საქმე.

დავით ბერაძე პატარაობიდანვე იზვილა სოფ. სოსვარის მცხოვრებმა მოქ.სოდუნაშვილმა, რომელიც არაფერს არ ზოგავდა, არაფერი ეშურებოდა, ოღონდ მისი შვილობილი სწორ გზაზე დაეყენებია, აღეზარდა და კაცი გამოეყვანა.

მაგრამ ამაო აღმოჩნდა სოდუნაშვილის ზრუნვა. ისეთი უკუღმართი, უშვერი და ავი ზნის გამოდგა დავითი, რომ მამობილი ბედს იწყევლიდა: „რა ჭირი გადავიკიდე, რატომ არ დაიქცა ის დღე, როცა მაგის შვილად აყვანა მოვიფიქრე"-ო.

ბერაძე მუდამ ეჩხუბებოდა თავის გამზრდელს. არ მოსწონდა მისი კანონიერი შენიშვნა. ერთის სიტყვას, რომ მამობილი ეტყოდა, ოცდა-ათს შვილობილი მიახალებდა. უწმაწური სიტყვები პირზე ეკერა გალაზღანდარებულ ბერაძეს.

როცა უკვე სრულწლოვანი გახდა ბერაძე, მან მამობილი უკვე ზედმეტ ბარგად ჩასთვალა და გადასწყვიტა: ან მუდამ ჩხუბით და აყალ - მაყალით მოვაბეზრებ თავს, ვაიძულებ გამშორდეს და ცალკე იცხოვროს, ან კიდევ, თუ ამან არ გასჭრა — თოფი და მისი ჯანიო.

და მართლაც არ გასჭრა პირველმა საშუალებამ. მამობილი ითმენდა უმადურ შვილობილისაგან ყოველგვარ დამცირებას, ჩხუბს და ლანძღვა - გინებას.

ა.-წ. 11 აპრილს ჩვეულებრივი ჩხუბის დროს შვილობილი როდი დაკმაყოფილდა მარტო ლანძღვა - გინებით და მუშტი-კრივით. მან ხელში აიღო სანადირო თოფი, გამოუმიზნა და ესროლა თავის მამობილს. ერთ გასროლას მოჰყვა მეორე და მამობილი უსულოდ დაეცა მიწაზე.

როცა დააპატიმრეს ბერაძე, მან თავი ასე იმართლა: „კომკავშირში ჩაწერას მიშლიდა და ამიტომ მოვკალიო". რასაკვირველია ეს მოჭორილი ამბავია. ამ ხერხს მან მიმართა იმისათვის, რომ დაერწმუნებია ხელისუფლების წარმომადგენლები, თითქოს მამობილის მოკვლით მან დიდი „რევოლიუციონური აქტი" მოახდინა, გზა გაიკაფა კომკავშირისაკენ.

ბერაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ უფლების აყრა 3 წლის ვადით.

ბერ.

შემთხვევები

უბედური შემთხვევის მიზეზის გამოკვლევა

როგორც ვწერდით, 3 ივლისს, ა.-კ.მთავრობის სახლის ასაგებ სამუშაოთა ადგილას (ძერჟინსკის და ჩიტაძის ქუჩების კუთხეში) ჩაინგრა შენობის საფუძვლის ამოსაყვანათ ამოღებული მიწის ორმო. ნანგრევებს ქვეშ, 4 მეტრის სიღრმეზე, მოხვდა ორი მუშა: მარტიროს მიკირტუმიანი და მურად საფაროვი, რომლებიც მძიმედ დაშავდნენ.

უბედური შემთხვევის მიზეზების გამოსაკვლევად დანიშნული იყო კომისია, რომელმაც გუშინ დაასრულა მუშაობა.

საქ. შრომის კომისარიატის უფროს ტექნიკურ ინსპექტორის ინჟ. მანევსკის ცნობით, უბედური შემთხვევა მომხდარა შემდეგ პირობებში:

შენობის საფუძვლის ამოსაყვანად ამოღებული მიწის ორმო არ იყო დამაგრებული სათანადო ბოძებით. ორმოს კედელი იყო ჩამოჭრილი 4 მეტრის სიმაღლეზე. ზედმეტად იყო აგრეთვე დატვირთული ორმოს ფართობი, სადაც ხის ფარდულის ქვეშ დაწყობილი იყო აუარებელი ქვები. ამას გარდა მიწის ორმოს სიღრმეში გადიოდა წვიმის წყალი, რადგანაც ნაწვიმარ წყალს გასავალი არ ჰქონდა გაკეთებული შიო ჩიტაძის ქუჩაზე.

როგორც ირკვევა, ორმოს ზედა პირზე ფარდულის ქვეშ ქვების დაწყობა გამოწვეულაა ადგილის სივიწროვით.

დადასტურებულია, რომ სამუშაოთა ადგილზე მოისუსტებდა ტექნიკური ზედამხედველობა, რამაც ხელი შეუწყო უბედურ შემთხვევის გამოწვევას.

გამოძიება გრძელდება. კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ საქმე გადაეცემა პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

თავის დაჭრა

პეტრე ბასიკაშვილმა (მცხ. დიდუბის შესახ. № 13) თვითმკვლელობის მიზნით რევოლვერით დაიჭრა თავი. ბასიკაშვილი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

დაშავება

ქრისტეფორე თედორეს ძე გალინინმა (გოგოლის ქ. № 64) ჯოხის თავში დარტყმით დაშავა თავისი ცოლი ელენე ნიკოლოზის ასული გალინინი. ბოროტმოქმედი შეპყრობილია. მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

მოკვლის განზრახვა

გეიდარ სულეიმანოვმა მოკვლის მიზნით რევოლვერი ესროლა სულეიმან გუსეინოვს, (მცხ. აბანოს ქ. № 31), რომელიც უვნებლად გადარჩა. სულეიმანოვი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით, ვასილ მიხეილის ძე შუბინმა თავის ბინაზე (მოსკოვის ქ. № 19) იოდით მოიწამლა თავი. შუბინი სიკვდილს გადაარჩინეს.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა სონია მამედოვა (მცხ. სუმბათოვის ქ. № 7), რომელმაც დანიელ ყაზარიანცს ჯიბიდან ამოაცალა ფული და სხვადასხვა საბუთები.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ფ. ბულუნჩაძის ბინა (ბათომის ქ. № 32), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—გარდა ამისა, 4 ივლისს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა.

ჯიბგირობა

ვიღაც ბოროტმოქმედმა ტრამვაის ვაგონში მ. ნეიმანს ჯიბიდან ამოაცალა 88 მანეთი და მიიმალა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:— **მ. ცხაკაია.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:—**შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: — **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
თბილისი — სასახლე.

დებულება

სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდის შესახებ

1. სათესი მასალის სარეველასთან ბრძოლისა, თესლის გაუმჯობესებისა, სასტანდარტო ჯიშების შექმნისა და რაიონობით გამოცდილი ჯიშიანი მასალით უხვი თესლის შევსებისათვის არსდება ძირითადი კულტურების სახელმწიფო ჯიშიანი თესლეულის ფონდი.

2. სახელმწიფო საჯიშო ფონდი შესდგება ცენტრალური რესპუბლიკანური, და ადგილობრივი ფონდებისაგან.

3. ცენტრალური საჯიშო ფონდი არსდება ნატურალური ფორმით და ნაწილობრივ ფულადი ფორმით და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია.

4. ცენტრალური სათესლე ფონდი ნატურალური ფორმით შესდგება სასელექციო ჯიშიანი თესლეულისაგან და, პირველ ხანს, აგრეთვე გაუმჯობესებული თესლეულისაგან.

5. ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები არსდება ნატურალური ფორმით და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილებათა გამგებლობაშია.

6. სახელმწიფო საჯიშო ფონდების მიზანს შეადგენს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიურ მეურნეობებისა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის ჯიშიანი სათესი მასალის მიწოდება.

7. სახელმწიფო საჯიშო ფონდები შეიქმნება:

ა) გაუმჯობესებული ჯიშიანი (სასელექციო) თესლის გამოყვანით;

ბ) ამ თესლის გამრავლებით ჯიშების სიწმინდის შეუცვლელად.

8. სათესი მასალის გამრავლება მოხდება შემდეგი სქემის მიხედვით, რაც გატარებულ უნდა იქნეს რაიონობით:

ა) ელიტის წარმოება საცდელ სადგურებზე;

ბ) ელიტის პირველი გამრავლება (რეპროდუქცია) სადედე სანერგეებში და საცდელ სადგურებზე;

გ) მეორე რეპროდუქცია სათესლე სანერგეებში, რაც საცდელი სადგურების გამგებლობაშია;

დ) მესამე რეპროდუქცია სათესლე მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ე) მეოთხე რეპროდუქცია კოლექტიურ მეურნეობებსა და სათესლე ამხანაგობებში, კოლექტიურ და საგლეხო მეურნეობებისათვის უშუალო მიწოდების მიზნით.

9. სახელმწიფო ფონდების საბოლოოდ შექმნის ვადა განისაზღვრება 10 წლით.

10. თესლის წარმოებისა და თესლის მიწოდების საერთო ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და მოწესრიგება რესპუბლიკაში დაეკისრება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს.

11. ცენტრალური სახელმწიფო ფონდი დანიშნულია:

ა) ადგილობრივი სახელმწიფო ფონდების შექმნისა და ხელის შეწყობისათვის;

ბ) ცალკე რაიონების კოლექტიურ მეურნეობებისა და გლეხების მომარაგებისათვის ადგილობრივი ფონდის გამგე ორგანიზაციების მეშვეობით;

გ) გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლის წარმოებისათვის;

დ) სათესლე ამხანაგობათა სახსარის გაძლიერებისათვის.

12. ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები დანიშნულია:

ა) გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლეულით უწყებული რაიონის კოლექტიურ და საგლეხო მეურნეობების მასსიური მომარაგებისათვის;

ბ) სათესლე ამხანაგობებში სათესლე საქმის მოწესრიგებისათვის.

13. თესლის მიწოდება სწარმოებს თანდათანობით, ცალკე ჯიშების ერთიანი მასსივების შექმნის წესით.

14. გამრავლების დროს ჯიშების სიწმინდის დაცვისათვის სახელმწიფო კონტროლის გასაწევად მოეწყობა ქსელი საკონტროლო პუნქტებისა, რომელთა სათავეშიაც სდგას ცენტრალური საკონტროლო სათესლე სადგური.

15. სათესლე სესხი გაიცემა მხოლოდ ნატურალური ფორმით.

16. სათესლე სესხის გაცემის დროს მსესხებლებთან დაიდება განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათესლე სესხის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება.

17. სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს უახლოესი მოსავლიდან ნატურად ან ფულად მსესხებლის არჩევით. უკეთუ სესხი ნატურად იქნება დაბრუნებული, იგი უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ კონდიციას.

18. სათესლე სესხისთვის გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 4 პროცენტისა წლიურად; ამასთანავე, ღარიბი და კოლექტიურ მეურნეობებისათვის დადგენილია განსაკუთრებული შეღავათები, რის წესსა და რაოდენობას განსაზღვრავს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

19. ცენტრალური რესპუბლიკანური სახელმწიფო საჯიშო ფონდი შეიქმნება სახელმწიფო ბიუჯეტში გადადებული სახსარით.

ადგილობრივი სახელმწიფო ფონდები შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსარით და ცენტრალური რესპუბლიკანური ფონდიდან გადადებული სახსრით.

20. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დებულების განხორციელებისათვის.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქისა და ქალაქ - ადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ქალაქებისა და ქალაქ-ადგილების მშრომელი მოსახლეობისათვის პურის მიწოდების მოსაწესრიგებლად და პურის პროდუქტების არასამომხმარებლო საჭიროებისათვის (საქონლის საკვები და სხვ.) გამოყენების თავიდან ასაცილებლად — შემოღებულ იქნეს ტალონებიანი წიგნაკებით პურის მიწოდების სისტემა შემდეგ ქალაქებში: თბილისსა, ქუთაისსა, ბათომსა, ფოთსა და სოხუმში.

შენიშვნა: ამა დადგენილებაში აღნიშნული სისტემა პურის მიწოდებისა შეიძლება გავრცელებულ იქნეს სხვა ქალაქებსა და ქალაქ-ადგილებზედაც, რისთვისაც სათანადო საქალაქო საბჭო თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა შეუთანხმდეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

2 დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული პურის ნორმა ერთ სულზე დღეში მოსახლეობის შემდეგი ძირითადი ჯგუფებისათვის:

ჯგუფი „ა". საქარხნო - საფაბრიკო საწარმოთა, რკინისგზისა და კავშირგაბმულობის მუშები და ფიზიკური შრომის სხვა დარგის მუშები, მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი მილიციის სამწყობრო - საკომანდო შედგენილობა, წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მოსამსახურენი და ფიზიკური შრომის უმუშევარნი, რომელნიც აღნიშნულ დარგებში მუშაობდხენ;

ჯგუფი „ბ". „ა" ჯგუფში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები, ყველა მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები, ინვალიდები, უმუშევარნი („ა" ჯგუფში აღნიშნულთა გარდა), სამხედრო მსახურნი („ა" ჯგუფში აღნიშნულთა გარდა), პენსიონერები, მოსწავლენი, შინამრეწველნი და სხვა მშრომელი მოსახლეობა;

ჯგუფი „გ". არამშრომელი მოსახლეობა.

3. დაწესებული ნორმების ფარგლებში პურის მისაღებად მთელს მშრომელ მოსახლეობას („ა" და „ბ" ჯგუფი) მიეცემა პურის წიგნაკები ყოველდღე მოსახევი ტალონებით.

შენიშვნა: სასეზონო მუშებს ტალონებიანი პურის წიგნაკები არ მიეცემათ; წიგნაკების მაგიერ ეს მუშები მიიღებენ სპეციალურ პურის ფურცლებს.

4. პურის წიგნაკი გაიცემა ოჯახის მეთაურის სახელზე, რათა მის რჩენაზე მყოფმა პირებმა პური ერთად მიიღონ. ოჯახის იმ წევრს, რომელსაც დამოუკიდებელი საშოვარი აქვს ან რომელიც სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეა, უფლება აქვს მიიღოს ცალკე პურის წიგნაკი.

5. წიგნაკებით პურის გაცემა სწარმოებს ყველა პურის დუქანში (მე-6 მუხლში აღნიშნული დუქნების გარდა) მტკიცე ნორმების მიხედვით; ამასთანავე მომხმარებელნი თავისი წიგნაკებით მიეწერებიან განსაზღვრულ დუქნებს.

6. არამშრომელ მოსახლეობას (ჯგუფი „გ") პურის წიგნაკები არ მიეცემა.

არამშრომელი მოსახლეობისათვის პურის მისაწოდებლად გამოიყოფა ცალკე პურის დუქნები, სადაც პური მიეყიდება ყველას უწიგნაკოდ.

7. ყველა სამკურნალო დაწესებულება, ბავშვთა სახლი, ინტერნატი, სასადილო და სხვ. განსაკუთრებულ აღრიცხვაზე იმყოფება და პურის მტკიცე გეგმით მიწოდებისათვის მიეწერება განსაზღვრულ პურის დუქანს.

8. დაწესებულ იქნეს გადიდებული ფასი იმ პურზე, რაც გაიცემა მე-6 მუხლში აღნიშნულ სპეციალურ დუქნებიდან (უწიგნაკოდ) და აგრეთვე იმ პურზე, რაც მიეცემა კერძო სასადილოებს, რესტორანებს და სხვ..

9. გადიდებული ფასების შემოღების გამო (მუხ. 8) არამშრომელი მოსახლეობისათვის პურის მიყიდვით მიღებული მოგება ცალკე უნდა იქნეს აღრიცხული. აღნიშნული მოგება ჩაირიცხება პურის ცხობისა და პურის მიწოდების საქმის მექანიზაციისა და გაუმჯობესების ფონდში.

10. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები მოაწყობენ ცალკე კომისიებს.

11. იმ მშრომელთა აღრიცხვა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ პურის წიგნაკები, და აგრეთვე მათთვის აღნიშნულ წიგნაკების მიწოდება სწარმოებს საწარმოთა, დაწესებულებათა და მათ თანაბარ სხვა ორგანოთა (შრომის ბირჟა — უმუშევართათვის, დამზღვევი სალარო—ინვალიდთათვის და სხვ.) ადმინისტრაციის მეშვეობით. ეს ორგანოები პასუხისმგებელი არიან სიების შედგენისა და წიგნაკების განაწილების სისწორისათვის.

12. უკეთუ იმ პირთა ოჯახურ მდგომარეობაში, რომელნიც პურს წიგნაკებით იღებენ, რაიმე ცვლილება მოხდება, [illegible] მათ ოჯახურ მდგომარეობაში [illegible] პურის წიგნაკები გამოცვლილ უნდა იქნეს სათანადო ცნობების წარდგენისას.

13. პურის წიგნაკებისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს სასყიდელი მათი თვითღირებულების მიხედვით.

14. მოსახლეობის ცალკე კატეგორიების პურის მოხმარების ნორმას და აგრეთვე გასაყიდ ფასებს და გამომცხვარი პურის საერთო რაოდენობას არამშრომელი მოსახლეობისათვის დააწესებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში.

15. დამნაშავე, რომელიც ცრუ ან არასწორ ცნობებს მისცემს პურის წიგნაკების მიღების პირთა სამსახურებრივი, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის შესახებ, ან დაუთმობს სხვა პირს წიგნაკით პურის მიღების უფლებას, ან და ჩაიდენს სხვა ბოროტმოქმედებას, რაც შეიძლება ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გამომდინარეობდეს—მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებისამებრ.

16. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (საქართველოს სს.რ. რესპუბლიკაში) დაევალება გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:

ჰ. მეჭრელიშვილი.

1929 წ. ივნისის 21.
თბილისი — სასახლე.

შრომის ბირჟაში

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა პირველ სექციიდან: ქსენია გაბუნია, გიორგი ბერიძე, სამსონ ბაროიანი, თამარა დაიჩენკო, ნათელა არუთინოვა, ანდრონიკ ოგანეზოვი, ეკატერინე მგელაძე, მანუკ პოღოსოვი, გიგო კაციტაძე, მიკირტიჩ ნახაპეტიანი, მიხ. სარქისიანცი, მისაკ მიასოხოვი, პარმენ თოიძე, მარტ. ხაჩატუროვი, მ. ჩარლიშვილი, ევგენია კალმანკაროვა, ლუბა კაჰაროვა, მ. თვალაძე, ნაჯ. აკოპოვა, გიორგი სარუხანოვი, პაოლ დედაშევი, ლიდა აკოპოვი, მარია ივანოვი, ალექსანდრე სარქისოვა, სტეფანე სტეფანოვი, მ. კალაშევი, გალაქტიონ სამონაძე, გ. მარკარიანი, შალვა ჩოპიკაშვილი, გ. ბახმალოვი, მატრონა ბიბილაშვილი, მიტროფანე ბარკოვი, აშოტ გაბრიელიანი, პელაგია ფედოროვი, კორტანოვი, ტატიანა დრინმანი, არტ. სიმონიანც, თედორე ციხისელი, სოფიო გურგენიძე, ნინა სამხარაძე, ლ. აკოფოვი, ანდრო დაბაღიშვილი, ლევან ჯანიაშვილი, ოლგა კოგანი, ს. ძევერტოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 6 ივლისს, საღამოს სრულ 6 ნახ. საათზე, თბ. კომიტეტის აგიტპროპ განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ადამიანი, მდივანი, იაკოვლევი, დოიჯაშვილი, ასკერი, ჯაფარლი, კული მამედოვი, არუთინოვი, ქორიძე, დოლონაძე (ლენრაიკომი), ლინეცკი, ტერტერაშვილი, ბელოზეროვი, ესაიანი, ბოგდანოვი, სემიხი, კშონძერი, სალნიკერი, ბუდილევი, კაზაროვა, ბოკერია, ასათიანი ილია, პოტორაშვილი, ევინზონი და ბეშერიანი.

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვენ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) აგიტპროფ-ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში უმაღლესი ტექნიკუმების სასწავლებლების საკითხზე მოსალაპარაკებლად: ლადო ნუცუბიძე, კვირიკაძე, შანიძე და ბესარაბოვი.

—:—

დღეს, 6 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში (სოლოლაკის, 7), შესდგება ქალაქის რაიონის უჯრედების გამწმენდი კომისიების ყველა მდივნების თათბირი. დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 6 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე მშენებელთა კლუბის შენობაში (კახეთის მოედანი № 1) გაიმართება უჯრედის ბიუროს წევრების, აგიტპროპორგანიზატორების, ქალთა ორგანიზატორების, აგიტატორ-ინდივიდუალების, ჯგუფური ორგანიზატორების და პარტორგანიზატორების თათბირი.

დღის წესრიგშია: ბულგარეთის და პოლონეთის კომპარტიების წარმომადგენელთა მოხსენებები წითელი დღის მნიშვნელობის შესახებ.

—:—

საქართველოს ახალგ. ლენ. კავშირის თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი იუწყება, რომ კვირას, 7 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება კომკავშირის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნება საკავ. ახ. ლენ. კომკავშირის ცეკას გენერალური მდივნის ამხ. კოსარევის მოხსენება კომკავშირის მე-VI საკავშირო კონფერენციის მუშაობის შედეგებას შესახებ. მოხსენება გადაცემულ იქნება რადიოთი მოსკოვიდან. ლენრაიონის კომკავშირის უჯრედების წევრთა და კანდიდატთა დაუგვიანებლივი დასწრება სავალდებულოა.

მიწა-ტყის კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობა და მასთან არსებული სპეციალისტთა სექციის ბიურო ამით აუწყებს საზოგადოებას სექციის ენერგიული წევრის, აფხანაურის სახალხო მამულის გამგე

ამხ. სიმონ ავალიანის

ტრაგიკულად დაღუპვას. დასაფლავება მოხდება ა. წ. 7 ივლისს, სოფ. კვალითში, შორაპნის მაზრა. 2—1 2475

სამუდამოთ გულმოკლული ცოლი ნინა იგიკე (კვასო) სიმონის ასული ებრალიძე-ჩიხრაძისა; ძმები: ნესტორ, სარდიონ, ერასტო, ანთიმოზ თავიანთი ცოლშვილით; დები: ატატო გვენცაძისა, ფეროზა ენუქიძისა; ცოლის დები: ელენე ებრალიძე, აკვილინა ცინცაძისა; ცოლის ძმები: ლუკა, ნესტორ, დიმიტრი თავიანთ ცოლშვილით ებრალიძები იუწყებიან, რომ კვირას, 7 ივლისს, 5 ნახევარ საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

იპოლიტე ხახულის-ძე ჩიხრაძის

ორმოცი დღის ხსოვნის აღსანიშნავად. 2477

დამწუხრებული მეუღლე ბაბილინა, შვილები ევგენი და აკაკი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ კვირას, 7 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

მილქისედეკ ბესარიონის-ძე ბაქრაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ს)

სახელმწიფო კინოები

საზაფხულო აპოლო	**მეზღვაური** გაროლდ ლოიდის მონაწილეობით. პროგრამის გარდა—ზედმეტი სურათი
საზაფხულო ეთერი	**ძალა და სილამაზე** პატისა და პატაშონის მონაწილეობით
საზაფხულო პალასი	**განწირულნი** 5 და 6 სერია
მინიონი	პატი და პატაშონი სურათში **პატი ზღვაში**

მალე **დიადი საქმის კავშირი** და **მთის ბალადა**

საქ. სახელმწიფო სავაჭრო სააქციო საზოგადოებამ „**გრუზგოსტორგ**"-მა თავისუფლების მოედანზე № 3, **გახსნა შპალერის** მაღაზია № 8

შპალერი იყიდება ბითუმად და წვრილ-წვრილად. ფასები საპრეისკურანტოა. არის სხვადასხვა ფერისა და ხარისხის შპალერი.
2942 გამგეობა.

ქ. თბილ. 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გ. ბაბინოვი

აცხადებს, რომ ის 14 ივლისს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 2 ბელინსკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სერგო კანდელაკის მოძრავ ქონებას: როიალს, ბუფეტის შკაფს, წიგნების შკაფს და ძვირფას ლუმელს შეფასებულს 1150 მანეთად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან 11 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 523/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2483

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპა" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)
წასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების ბ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

კინო-პალასი
ორშაბათიდან 8 ივლისიდან
უდიდესი ისტორიული ფილმი ნიკოლოზ პირველის ეპოქიდან
დიადი საქმის კავშირი
(С. В. Д.)
პრესა ამ სურათზე საუკეთესო აზრისაა.
2941

ყველას... ყველას...
სიონის ქუჩა № 12
იყიდება „საპარიკმახერო"
თავის მოწყობილობით
პირობების გაგება შეიძლება დილის 8 საათ. საღამოს 7 საათამდე.
2421

ექიმი
პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ქუთაისში
ექიმი **ვ. დ. კუჭაიძე**
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს. იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.
2468 13—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„**სილამაზის ინსტიტუტი**"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული ა.-კ. რკ. გზ. ადმინისტრატიული განყოფილების მიერ მარგარიტა კონსტანტინეს ასული გაბისონიას სახელზე, ჩ. გ. 2478

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) ბ კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 28 სამი (3) სულის სიმონ შენგელიას სახელზე, ჩ. გ (შ. ც.)

დაიკარგა: საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი მარკოზ ნიკოლ-ძე ველიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2476

დაიკარგა: „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი № 40398 სარდიონ კარტოზიას სახელზე, ჩ. გ. 2480

დაიკარგა: პასპორტი ნინო მრდოიანის სახელზე, ჩ. გ. 2479

დაიკარგა: „ზაკტპო"-ს საწევრო წიგნაკი № 1578 მარია დავითის ასული აგლაძის სახელზე, ჩ. გ 2481

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ილია ზონენაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2484

დაიკარგა: ზესტაფონის 7 წლედის მიერ მოცემული მოწმობა № 150 კირილე უკლებას სახელზე, ჩ. გ 2484

დაიკარგა: პატენტი და ფულის ქვითარები მენაშე შოთას-ძე სეფიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2484

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 6127/398695 იოველ ბრეგაძეს სახელზე, ჩ. გ. 2484

დაიკარგა: საკრედიტო ამხანაგობის საწევრო წიგნაკი № 1055 ქეთის სიმონის ასული ადუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 248

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 83 იოსებ მათეს-ძე წურწუმიას სახელზე ჩ. გ. 248